

საქართველოს კულტურული  
მემკვიდრეობის ძეგლები



№ 7

2005



თბილისი

TBILISI

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
Georgian National Academy of Sciences

სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
Centre for Preservation and Studies of Antiquities

კულტურული ანთროპოლოგიის განვითარების  
საერთაშორისო ფონდი  
Cultural Anthropology Development International  
Foundation

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

№7

Monuments of Georgian Cultural Heritage

№7

თბილისი  
Tbilisi  
2005



უაკ (UDC) 902/904 (479.22

მ295

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. საფარ-ხარაბას (დღევანდელი სოფ. სამადლო) ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანზე 2005 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების სრულ დოკუმენტურ ანგარიშს.

სამაროვანზე საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2003-2005 წლებში კომპანია BP-ის დაკვეთით. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის ფარგლებში საველე სამუშაოებს აწარმოებდა ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. ნარიმანიშვილი).

ჟურნალის №4 ნომერში ქვეყნდება მხოლოდ 2003 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიშის ქართული ვერსია. №5 ნომერში დაიბეჭდება ამავე ანგარიშის ინგლისური ვერსია. №6 ნომერი მიეძღვნა 2004 წლის გათხრების ანგარიშს, №7 კრებულში ქვეყნდება 2005 წელს საფარ-ხარაბას სამაროვანზე ჩატარებული საველე სამუშაოების და მონაცემების ლაბორატორიული დამუშავების შედეგები. ჟურნალის მე-8 ნომერში კი დაიბეჭდება საფარ-ხარაბას სამაროვანზე 2005 წელს განხორციელებული მცირე სამუშაოების ანგარიშები და 2005 წლის დეკემბერში გათხრილი სამარხების საველე-კვლევა ძიების შედეგები.

**მთ. რედაქტორი**

გოდერძი ნარიმანიშვილი

**Editor-in-chief**

Goderdzi Narimanishvili

**სარედაქციო საბჭო:**

ამირანაშვილი ჯუანშერი

კვაჭაძე მარინე

მელიქიშვილი ლია

მინდიაშვილი გიორგი

შანშაშვილი ნინო

**Editorial board**

Amiranashvili Juansher

Kvatchadze Marina

Melikishvili Lia

Mindiashvili Giorgi

Shanshashvili Nino

ISBN 99928-0-794-6

ISBN 99928-0-795-4

© ა(ა)იპ სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
Centre for Preservation and Studies of Antiquities

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი  
Centre for Archaeological Studies

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი  
Centre for Archaeological Studies

**საშარ-ხარაბას სამაროვანზე**

**2005 წელს**

**ჩატარებული არქეოლოგიური**

**გათხრების ანგარიში**

(ლაბორატორიული სამუშაოები)



შინაარსი:

**თავი I**

**ნარიმანიშვილი გ., ამირანაშვილი ჯ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., შანშაშვილი ნ., კვაჭაძე მ** საფარ-ხარაბას სამაროვანზე 2005 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში

|                                                                                      |    |
|--------------------------------------------------------------------------------------|----|
| §1. შესწავლილი ტერიტორიის ზომები და გაჭრილი თხრილების საერთო რაოდენობა -----         | 5  |
| § 2. ძეგლების რაოდენობა და მათი ტიპების მოკლე ანგარიში -----                         | 6  |
| § 3. მოპოვებული არტეფაქტების საერთო რაოდენობა, მათი ძირითად კლასებად დაჯგუფება ----- | 7  |
| § 4. ძეგლზე არტეფაქტების პროცენტული თანაფარდობა. -----                               | 9. |
| § 5. ზოგადი სტრატეგრაფიული ჭრილი -----                                               | 10 |

**თავი II**

|                                  |     |
|----------------------------------|-----|
| § 1. სამარხების აღწერილობა ----- | 11  |
| § 2 ტაბულების აღწერა -----       | 69  |
| § 3. სურათების აღწერა -----      | 77  |
| სურათები -----                   | 91  |
| ტაბულები -----                   | 285 |

**თავი III.**

|                   |     |
|-------------------|-----|
| არტეფაქტები ----- | 453 |
| დანართი 1 -----   | 454 |

**თავი IV**

|                                                                                                              |     |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>ყვავაძე ე., ნარიმანიშვილი გ.</b> საფარ-ხარაბას სამაროვანზე მოპოვებული მასალის პალეონოლოგიური კვლევა ----- | 456 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|

|                                                                                            |     |
|--------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>ბენდუქიძე ო.</b> საფარ-ხარაბას სამაროვნის ოსტეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგები ----- | 485 |
|--------------------------------------------------------------------------------------------|-----|

|                                                                                        |     |
|----------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>ბითაძე ლ.</b> საფარ-ხარაბას სამაროვნის მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება ----- | 490 |
|----------------------------------------------------------------------------------------|-----|

|                                                                                                       |     |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>ესაკია ქ.</b> საფარ-ხარაბას სამაროვნის ქვის ინვენტარის ტრასოლოგიური მეთოდით კვლევის შედეგები ----- | 497 |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|

|                                                             |     |
|-------------------------------------------------------------|-----|
| <b>ინანიშვილი გ.</b> ლითონის მასალის კვლევის შედეგები ----- | 511 |
|-------------------------------------------------------------|-----|

## თავი I

### § 1. შესწავლილი ტერიტორიის ზომები და გაჭრილი თხრილების საერთო რაოდენობა.

- ა) საფარ – ხარაბას სამაროვანზე 2005 წელს შესწავლილია 1157 მეტრი სიგრძის და 20 მეტრი სიგანის ტერიტორია. საერთო ფართობით – 23140 კვადრატული მეტრი.
- ბ) 2003 – 2005 წლებში განთავისუფლდა სამარხებისაგან 1157 მეტრი სიგრძის და 44 მეტრი სიგანის ტერიტორია, 50908 კვადრატული მეტრის ფართობი.
- გ) სამარხების მოძიების მიზნით 2005 წელს გავლენულია სადაზვერვო თხრილები შემდეგ მონაკვეთებზე;  
kp.119 + 500 დან kp.120 + 200 მდე გაიჭრა 38 სადაზვერვო თხრილი, საერთო სიგრძე- 290 მეტრი, საშუალო სიგანე 2 მეტრი.
- დ) ამავე მონაკვეთზე 2003 წელს გაიჭრა 6 თხრილი, საერთო სიგრძე- 450 მეტრი სიგანე- 2 მეტრი.
- ე) kp.120 + 200 –ზე 2005 წელს გავლენულია 3 სადაზვერვო თხრილი, საერთო სიგრძე- 240 მეტრი, სიგანე – 2მეტრი.
- ვ) kp.120 + 200 დან kp.120 + 500 მდე გაიჭრა 6 თხრილი, საერთო სიგრძე – 210 მეტრი, სიგანე – 2მეტრი.
- ზ) 2005 წელს სულ გავლენულია 41 სადაზვერვო თხრილი საერთო სიგრძით - 530 მეტრი, სიგანე – 2 მეტრი.
- თ) მთლიანად სამაროვანზე გაჭრილია – 1190 მეტრი სიგრძის და 2 მეტრი სიგანის თხრილი.



**§ 2. ძეგლების რაოდენობა და მათი ტიპების მოკლე  
ანგარიში:**

2005 წელს საფარ – ხარაბას სამაროვანზე გამოვლენილი იქნა 91 სამარხი. აქედან 13 შეუსწავლელია, რადგან გადის ენერგოდერეფნის ფარგლებს გარეთ. 6 შემთხვევაში ყრილის ქვეშ სამარხი არ დადასტურდა.

სამარხების ძირითადი ნაწილი ქვაწრიანია, გადახურულია ქვის ფილებით. არის ხის ძელებით და ქვის ყრილით გადახურული კამერებიც. ქვაწრის შიგა სივრცე უმეტეს შემთხვევაში შევსებულია წვრილი ქვებით, რომელიც ხშირად ფარავს გადახურვის ქვებსაც, ასევე შევსებულია მიწაყრილით.

დასაკრძალავი ორმოები ძირითადად წაგრძელებული, კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმისაა. ჩატრილია შავი და ყვითელი ფერის ნიადაგში.

საფარ – ხარაბას სამაროვანი წარმოსდგენს ერთფენიან ძეგლს. განვითარებული და საშუალო საუკუნეების მასალა დაფიქსირდა ზედაპირულად, ტექნიკის მიერ მოჭრილ მიწის ნაყარში და სამაროვნის ტერიტორიაზე.

**§ 3. მოპოვებული არტეფაქტების საერთო რაოდენობა, მათი ძირითად კლასებად დაჯგუფება:**

**1. კერამიკული ნაწარმი – 198 ერთეული.**

- ა) დერგი – 66.
- ბ) ქოთანი – 53ც
- გ) ბაღია -- 11ც
- დ) ქილა -- 18ც
- ე) კოჭობი – 10ც
- ვ) ჯამი -- 7ც
- ზ) ქვაბ-ქოთანი – 3ც
- თ) ლანგარი – 1ც
- ი) სასმისი – 2ც
- კ) საწური – 2ც
- ლ) თიხის ჭურჭლის ნატეხები – 25 შემთხვევა

**1. ლითონის ნაწარმი – 12 ერთეული**

- ა) სატევარი ბრინჯაოსი – 1ც.
- ბ) კვერთხისთავი ბრინჯაოსი – 1ც.
- გ) საკინძი ბრინჯაოსი – 1ც.
- დ) სამაჯური ბრინჯაოსი – 2ც.
- ე) მძივი ბრინჯაოსი – 1ც.
- ვ) მძივი ოქროსი – 6ც.

**2. ობსიდიანის ნაწარმი – 69 ერთეული.**

- ა) ისრისპირი – 22ც.
- ბ) ანატკეცი – 47ც.

**3. კაჟის ნაწარმი – 10 ერთეული**

- ა) ისრისპირი – 7ც.
- ბ) ანატკეცი – 3ც.

**4. ქვის ნაწარმი – 5 ერთეული**

- ა) სალესი – 1ც.
- ბ) შურდულის ქვა – 1ც.
- გ) ანდეზიტის ანატკეცი – 1ც.
- დ) ხელსაფქვავი – 1ც.
- ე) სანაყი - 1ც.

**5. ნახევრადძვირფასი ქვა – 382 ერთეული**

- ა) სარდიონის – 301ც.



ბ) აქატის -51ც.

**6. მინის ნაწარმი – 817 ერთეული.**

ა) მძივი – მინისებრი პასტის – 809ც.

ბ) მძივი – მინის – 8ც.

**7. ძვლოვანი მასალა**

ა) ადამიანი – 44 ინდივიდი

ბ) ცხოველი – 41 ფრაგმენტი

4 მთლიანი ჩონჩხი

**§ 4. ძველზე ან კულტურულ ფენაში აღმოჩენილი და შემთხვევით მოპოვებული არტეფაქტების პროცენტული თანაფარდობა.**

**1. კერამიკული ნაწარმი – 183 ერთეული**

ა) თიხის მრგვალი ფირფიტები – 5 ც.

**2. ლითონის ნაწარმი – 2 ერთეული.**

ა) საკინძის ფრაგმენტი – 1ც.

ბ) რკინის ნივთი, გაურკვეველი – 1ც.

**3. ობსიდიანი – 185 ერთეული.**

ა) ობსიდიანი გამოყენების კვალით –115ც.

ბ) ისრისპირი ობსიდიანის –4 ც.

**4. ქვის ნაწარმი – 26 ერთეული.**

ა) ხელსაფქვავეს ფრაგმენტი – 1ც.

ბ) სალესი ქვა – 6ც.

გ) კაუის ჩასართი – 2ც.

დ) კაუის საფხეკი – 4ც.

ე) ქვის ცულის ფრაგმენტი –1ც.

ვ) ანდეზიტის საფხეკი – 1ც.

ზ) სარდიონის ნამზადი – 1ც.

თ) იასპის ანატკეცი --1ც.

ი) ანდეზიტის ანატკეცი – 1ც.

კ) ქვის სანაყი -- 2ც.

ლ) ანდეზიტის ხელცული – 1ც.

მ) მძივი სარდიონის -- 2ც.

ნ) აქატის ანატკეცი - 1ც.

ო) კაუის ანატკეცი - 3ც.

**5. მინის ნაწარმი –8 ერთეული.**

ა) სამაჯურის ფრაგმენტი – 7ც.

ბ) მძივი –1ც.

**6. ცხოველის ძვლები – 10 ერთეული.**



იმის გამო, რომ ზედაპირულად ძეგლის თანადროული მასალა არ დაფიქსირებულა, ამიტომ პროცენტულ თანაფარდობას ვერ ვიძლევი. ტექნიკური მონაცემები ასეთია: ა). სამარხებში მოპოვებული ნივთების რაოდენობაა 1461 ერთეული. ბ). შემთხვევით ან ზედაპირულად მოპოვებული 403 ერთეული.

### **§ 5. ზოგადი სტრატეგრაფიული ჭრილი.**

საფარ – ხარაბას სამაროვანი წარმოსდგენს ერთფენიან ძეგლს. განვითარებული და საშუალო საუკუნეების მასალა დაფიქსირდა ზედაპირულად, ტექნიკის მიერ მოჭრილ მიწის ნაყარში და სამაროვნის ტერიტორიაზე.

## თავი II სამარხების აღწერილობა

### სამარხი № 32

მდებარეობდა CCXVIII ნაკვეთის მე-8, 9, 11, 12 კვადრატებში. (ტაბ. I, II; სურ. 16-19).

ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი.

სამარხი კამერა, დამსრობილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, გადახურული იყო ბაზალტის ორი ქვის ფილით, მათი შეერთების ადგილი შევსებული იყო მცირე და საშუალო ზომის ქვებით. სამარხის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე გადახურვის ფილის ზომებია: 1,55 x 1,00მ, ხოლო სამხრეთისა – 1,80 x 1,17მ. (ტაბ. II; სურ. 16).

სამარხი კამერა (2,40 x 1,10 x 0,80მ), კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმისა, გაჭრილი იყო ყვითელი ფერის ქვალორდიან ნიადაგში და შევსებული იყო შავი ფერის თიხნარით.

სამარხის დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში დაფიქსირდა მძარცველების მიერ ჩათხრილი ორმო, რომლის შიდა პირთან მიხვეტილი იყო მიცვალებულის ქვედა ყბა, მხრისა და წინამხრის ძვლები, ე.ი. მიცვალებულის ძვლების ანატომიური განლაგება დარღვეულია. (ტაბ. II; სურ. 17).

სამარხში თიხის ჭურჭლის (ინვ. №277) ქვეშ დადასტურდა წვრილფეხა საქონლის ძვლები, აღმოსავლეთ კედელთან და სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან - მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №277), (ტაბ. III). თიხის, შავი ფერის, რუხკეციანი, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
2. დერგი (ინვ. №278), თიხის, ლევა-მოჩალისფრო, რუხკეციანი, წვრილმძარცველოვანი მინარევებით, ამოღარული და თოკისებური ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.
3. ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. №279), (ტაბ. IV-2). თიხის, აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის (ინვ. №278) ქვეშ.
4. ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. №280), (ტაბ. IV-3). თიხის, აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში.
5. ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. №281), (ტაბ. IV-4). თიხის, აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში.

## სამარხი № 33

მდებარეობდა CCXVIII ნაკვეთის მე-9,12 და CCXIX ნაკვეთის მე-7,10 კვადრატებში. (ტაბ. I, V, VI; სურ. 21-25).

ქვაწრიანი ორმოსამარხი. დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

კრომლეხი შედგენილი იყო საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისაგან, შემორჩენილი იყო ქვაწრის ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი. ქვაწრის დმ - 3,20მ. ქვაწრის დასავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, ტექნიკამ დააზიანა. ქვაწრე შეესებულებოდა იყო მცირე ზომის ქვებით. სამარხი კამერა გადახურული იყო ორი მოზრდილი ფილაქვით, რომელიც სამარხის ცენტრალური ნაწილისაკენ იყო ჩაქცეული. ჩრდილოეთით მდებარე ქვის ფილის ზომაა 1,40 x 0,90მ, ხოლო სამხრეთისა - 0,79 x 0,80მ, მათი შეერთების ადგილი შეესებულებოდა იყო მცირე ზომის ქვებით.

სამარხი ჩატრილია ყვითელი ფერის კენჭნარევი ფენაში. სამარხის კამერას ირგვლივ შემოუყვებოდა საფეხურისებრი ჩაღრმავება, რომელზეც დაყრდნობილი იყო გადახურვის ქვები. დასაკრძალავი კამერის ზომებია - 1,35 x 1,10 x 0,78მ. სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში იატაკზე დაფიქსირდა მიცვალებულის კბილები. (ტაბ. VI; სურ. 23).

### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქვაბ-ქოთანის (ინვ. №282), (ტაბ. VII-2; სურ. 26). თიხის, ჩაღრმავებული ზედაპირითა და შიდაპირით, მოხალისფრო კეციტით, ჭდეული და თოკისებური ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
2. ქოთანის (ინვ. №283), (ტაბ. VII-3; სურ. 27). თიხის, ლეგა ზედაპირით, მონა-ცრისფრო შიდაპირითა და რუხი კეციტით, მარცვლოვანი მინარევეებით, ამოღარული ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა №282 ჭურჭლის სამხრეთით.
3. ქოთანის (ინვ. №284), (ტაბ. VII-4). თიხის, შავი ზედაპირით, ჩაღრმავებული შიდაპირითა და რუხი კეციტით, მარცვლოვანი მინარევეებით, ამოღარული ვერტიკალური და კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
4. მძივები (ინვ. №285), (ტაბ. VII-1; სურ. 28). აქატის ცილინდრული ფორმის - შავი, ვარდისფერი, მოყავისფრო, მოყვითალო 20ც. მინისებური პასტის ბორბლისებური ფორმის - მოყავისფრო, მომწვანო, ოქროსფერი 25ც. მინისებური პასტის - ცილინდრული ფორმის, თეთრი 8ც. მინისებური პასტის - სპირალისებური,

მომწვანო 5ც. მიივები აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

### სამარხი № 34

მდებარეობდა CCXIX ნაკვეთის მე-10 კვადრატში. (ტაბ. VIII, XI; სურ. 29). ყვითელი ფერის კონგლომერატში ჩატრილ კუთხეებმომრგვალებული სამკუთხედის ფორმის ორმოში ჩადგმული იყო თიხის ოთხი ჭურჭელი.

ორმო დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ზომა 1,20x0,70x0,2მ.

სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №286), თიხის, ლეგა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით, თოკისებური ორნამენტით. აღმოჩნდა ორმოს სამხრეთ ნაწილში.
2. დერგი (ინვ. №287), (ტაბ. X-1). თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით, ამოღარული ორნამენტით. აღმოჩნდა №286 ჭურჭლის ჩრდილოეთით.
3. ქოთანი (ინვ. №288), თიხის, ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით, მარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა №286 და №287 ჭურჭლებს შორის.
4. ქოთანი (ინვ. №289), (ტაბ. X-2). თიხის, მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირითა და შიდაპირით, ნაცრისფერი კეცით, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა ორმოს აღმოსავლეთ ნაწილში.

### სამარხი № 35

მდებარეობდა CCXIX ნაკვეთის მე-10 კვადრატში. (სურ. 30). ქვაწრე, რომლის ზომებია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 1,25მ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 1მ, შედგენილი იყო მცირე ზომის ბაზალტის ქვებისაგან. ქვაწრის ქვეშ სამარხი კამერა არ დადასტურდა.

### სამარხი № 36

მდებარეობდა CCXIX ნაკვეთის მე-7, 8 კვადრატებში. (ტაბ. I, IX, XI; სურ. 30-34).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი.

ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში დადასტურდა დასაკრძალავი კამერა, რომელიც გადახურული იყო რამდენიმე დიდი ზომის ბაზალტის ქვის ფილებით.

სამარხკამერაში (1,7x1,3x0,5მ), რომელიც დამსრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დაფიქსირდა ადამიანის ძლიერ დაშლილი რამდენიმე კბილი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა მცირე ზომის ხის ნაშთი. დასავლეთი კედლიდან 0,2მ-ის დაშორებით გაიწმინდა მსხვილფეხა საქონლის ძვლის ნაშთი.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინგ. №290), (ტაბ. X-3; სურ. 34). თიხის, წითელი ზედაპირით, შიდა-პირითა და მოწითალო კეცით, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით; ამოღარული ხაზებითა და ნაჭდევებით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში.
2. ქოთანი (ინგ. №291), (ტაბ. X-4; სურ. 35). თიხის, მოყავისფრო-მოწითალო ზედა-პირით, შიდაპირითა და კეცით, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, №290 ჭურჭლის აღმოსავლეთით.

### სამარხი № 37

მდებარეობდა CCXIX ნაკვეთის მე-2, 5 კვადრატებში. (ტაბ. XII; სურ. 36-38).

წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხია.

ქვაყრილი (ღმ - 4,0მ) დაზიანებული იყო, შედგებოდა რამდენიმე საშუალო და მცირე ზომის ბაზალტის ქვებისაგან. ქვაყრილის ნაწილი სამარხ ორმოში იყო ჩაცვენილი - გაიწმინდა ექვსი ფენა წვრილი და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისა.

სამარხი ორმო, დამსრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მცირედი გადახრით სამხრეთისაკენ, ჩაჭრილია მოყვითალო ფერის თიხნარში, კამერის ზომებია 1,85x1,25x0,75მ.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინგ. №292), (ტაბ. XIII-1). თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მონაცრისფრო კეცით, მსხვილმარცვლოვანი, ნაჭდევებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.

2. ქოთანის (ინვ. №293), (ტაბ. XIII-2). თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო კეციტით, ამოღარული ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო კედელთან.
3. მძივები (ინვ. №294) (ტაბ. XIII-3). – მინისებური პასტის, მოცისფრო, მოთეთრო 2ც. (ფრაგმენტირებული). აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კედელთან.

### სამარხი № 38

მდებარეობდა CCXIX ნაკვეთის მე-3, ნკვადრატებში. (ტაბ. XIV-1; XV-1; XVI; სურ. 39-42).

ქვაწრიანი ორმოსამარხი.

ქვაყრილის სავარაუდო (შემორჩენილი) დიამეტრი დაახლოებით 7მ-ია. ქვაყრილს შემოსაზღვრავდა საშუალო ზომის ქვებით შედგენილი ქვაწრე, რომლის ნაშთიც უკეთესად ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარესაა შემორჩენილი. ქვაყრილის შიდა სივრცე შევსებული იყო წვრილი და საშუალო ზომის ბაზალტის ფლეთილი ქვით. სამარხის ცენტრში დადასტურდა სამარხ-ორმოში ჩაცურებული სახურავის მასიური ბაზალტის ქვები.

კუთხეებმომრგვალებული მართკუთხა ფორმის დასაკრძალავი კამერა (2,78x0,80x0,20) დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა ორი მიცვალებული. ერთი დაკრძალული იყო სამარხის ჩრდილო ნაწილში, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოსხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. ჩონჩხი ძალიან ცუდად იყო დაცული. სამხრეთით დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი არ დაფიქსირდა. შემორჩა მხოლოდ კბილების ნაშთი.

სამარხში დაფიქსირდა თიხის 3 ჭურჭელი და მძივების 4 ჯგუფი.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანის (ინვ. №295), (ტაბ. XVII-7). თიხის, მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეციტით, ნაჭდეგებიანი ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან.
2. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. №296), თიხის, ჩალისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეციტით.
3. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. №297), (ტაბ. XVII-8). თიხის, შავი ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და შავი კეციტით.
4. მძივები, I ჯგუფი (ინვ. №298), (ტაბ. XVII-3, 5; სურ. 44, 46). სარდიონის, მოწითალო-მოყავისფრო 7 ც.; მინისებური პასტის, მოყავისფრო 3 ც.; პასტის მოყავისფრო, მომწვანო, დაღარულები 10 ც.; პასტის იოტები თეთრი, ყავისფერი 19ც.; პასტის შინდისებური, მოყავისფრო 5 ც.; მინისებური პასტის, მოყავისფრო 1 ც.;

5. საბეჭდავი (ინვ. № 298ა), პასტის, მოყვითალო, ბადისებურად დაღარული 1ც. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან.
6. მძივები, II ჯგუფი (ინვ. №299), (ტაბ. XVII-2; სურ. 47). სარდიონის შინდისფერი-მოწითალო 22ც. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედლიდან 0,80მ-ის დაშორებით.
7. მძივები, III ჯგუფი (ინვ. №300), (ტაბ. XVII-4; სურ. 48). სარდიონის მოწითალო, 6ც.; მინისებური პასტის, ოვალური, 2ც.; პასტის რგოლისებური, მონაცრისფრო, მოშავო, 9ც.; აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან, თავის ქალის მახლობლად.
8. მძივები, IV ჯგუფი (ინვ. №301), (ტაბ. XVII-6; სურ. 49). სარდიონის მოყავისფრო, 2ც.; აქატის, შავი, 6ც.; პასტის იოტები თეთრი, ყავისფერი, 9ც.; აღმოჩნდა ჩრდილოეთით მდებარე მიცვალებულის მხრის ძვალთან.
9. ანატკეცი (ინვ. №302), (ტაბ. XVII-3; სურ. 43). ობსიდიანის.

### სამარხი № 39

მდებარეობდა CCXIX ნაკვ. მე-3 კვ-ში. (ტაბ. XIV-2; XV-2; XIX; XX; XXII; სურ. 50-55).

წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხი.

ქვაყრილის მხოლოდ სამხრეთ ნახევარია გამოვლენილი, ჩრდილოეთ ნაწილი გადის ენერგოკორიდორის ფარგლებს გარეთ. ქვაყრილის დიამეტრი დაახლოებით 6,2მ-ია. სამარხის ქვაყრილს შემოსდევდა ორმაგი ქვაწრე, რომელიც შედგენილი იყო ბაზალტის საშუალო ზომის ქვებისაგან

ქვაყრილი სამარხ კამერაში 0,20-0,25მ-ის სიღრმეზე იყო ჩაშვებული და ზედ ედო სამარხის შემავსებელი 0,60მ. სისქის (მოშავო და მოყვითალო ფერის) მიწის ფენას, რაც კარგი მოწმობაა იმისა, რომ სამარხის სახურავზე ჯერ მიწაყრილი გაუკეთებიათ და მხოლოდ შემდეგ ქვაყრილი.

სამარხი კამერა (1,65X1,40X0,75მ) დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ოდნავი გადახრით დასავლეთისაკენ. სამარხის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა მიცვალებულის ძლიერ დაშლილი ძვლები (თავის ქალის და კბილების, ზედა და ქვედა კიდურების, ხერხემლის მალეებისა და ნეკნის ძვლების ნაშთი). მიცვალებული დაკრძალული იყო თავით ჩრდილოეთისაკენ, კიდურებმოსხრილი, მარჯვენა გვერდზე.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანის (ინვ. №303), თიხის, მოწითალო-მოყავისფრო ზედაპირით, ყავისფერი შიდაპირითა და კეცით, ამოღარული ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.



- ქოთანი (ინვ. №304), (ტაბ. XXV-1). თიხის, მოშავო ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, ამოღარული ორნამენტით. აღმოჩნდა №303 ჭურჭლის დასავლეთით.
- ანატკეცი (ინვ.№305) (ტაბ. 25-2; სურ. 56). ობსიდიანის.

#### სამარხი № 40

მდებარეობდა CCVIII ნაკვ. მე-10 კვ.-ში. (ტაბ. XIV, XV, XVI, XXII; სურ. 57, 58).

ქვაწრიანი ორმოსამარხი.

შემორჩენილი ჰქონდა წრის სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ქვები ძირითადად ბაზალტის იყო. წრის დიამეტრი 3,5მ-ს შეადგენდა. დასაკრძალავი კამერა დაფიქსირდა წრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. იგი დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. კამერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ზედაპირზე აღმოჩნდა ერთი პასტის მძივი.

დასაკრძალავ კამერაში (1,40x0,70x0,30.) 0,5მ-ის სიღრმეზე, მის სამხრეთ ნაწილში დაფიქსირდა ხის ძელის ანაბეჭდი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო მიმართული.

სამარხში აღმოჩნდა:

- 1.საბეჭდავი (ინვ. №306), (ტაბ. XXV-3; სურ. 59). პასტის, მოყვითალო ფერის, 1ც.

#### სამარხი № 41

მდებარეობდა CCIX ნაკვ. 10 კვ.-ში. (ტაბ. XXVI, XXVII, XXXIII; სურ. 60).

მიწის თანამედროვე ზედაპირზე დაფიქსირდა თიხის ორი ჭურჭელი, ძლიერ დაზიანებული.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინვ. №307), თიხის, მოშავო ზედაპირითა და შიდაპირით, ნაცრისფერი კეცით, მსხვილმარცვლოვანი, ამოღარული კონცენტრული და კლაკნილი ხაზებით.
2. ქოთანი (ინვ. №308), თიხის, მონაცრისფრო ზედაპირით, მოჩაღისფრო შიდაპირითა და მონაცრისფრო კეცით, მსხვილმარცვლოვანი.

## სამარხი № 42

მდებარეობდა CCVIII ნაკვ. 11, 12 კვ.-ში. (ტაბ. XXIII-1, 3, 5; სურ. 61, 62).

ქვაწრიანი ორმოსამარხი. წრის ზომებია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 2,20მ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 3,40მ. ქვაწრე შედგენილია დიდი ზომის ბაზალტის ქვებისაგან, ხოლო შიდა სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით. ქვაწრის ცენტრში დადასტურდა სამი დიდი ზომის ქვა, რომლის ქვეშ აღმოჩნდა დასაკრძალავი კამერა (0,70X0,48X0,35მ). სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, თიხის ჭურჭლის მახლობლად დაფიქსირდა მიცვალებულის კბილების ფრაგმენტები.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანის (ინვ. №309), თიხის, ჩალისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, მცხვილმარცვლოვანი, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.
2. კოჭობი (ინვ. №310), (ტაბ. XXV-5). თიხის, მონაცრისფრო ზედაპირით, მოჩალისფრო შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით, მსხვილმარცვლოვანი, ნაჭდევებით. აღმოჩნდა №309 ჭურჭელში.
3. მძივები (ინვ. №311), (ტაბ. XXV-4; სურ. 63). პასტის მომწვანო 23 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის კბილების მახლობლად.

## სამარხი № 43

მდებარეობდა CCVIII ნაკვ. 12 კვ.-ში. (ტაბ. XXVI; სურ. 64).

დაფიქსირდა დიდი ზომის ქვა (0,9X0,70მ), რომელსაც ჰქონდა შემოწყობილი რამდენიმე მცირე ზომის ქვა. ქვაყრილის ალაგების შემდეგ მის ქვეშ სამარხი კამერა არ დადასტურდა.

## სამარხი № 44

მდებარეობდა CCVIII ნაკვ. 9, 12 კვ.-ში. (ტაბ. XXVII, XXVIII, XXIX; სურ. 65-67).

ქვისფილებით გადახურული ორმოსამარხი. დასაკრძალავ კამერაში, (1,85 X 1,35 X 0,6მ), რომელიც დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინვ. №312), (ტაბ. XXX-1). თიხის, ჩალისფერი ზედაპირით, მონაცრისფრო შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ნაჭდევებით, თოკისებური ორნამენტითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხესთან.
2. ქოთანი (ინვ. №313), (ტაბ. XXX-2). თიხის, მონაცრისფრო ზედაპირით, მოჩალისფრო შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით, მსხვილმარცვლოვანი. აღმოჩნდა №312 ჭურჭლის აღმოსავლეთით.
3. მიივები (ინვ. №314), სარდიონის, მოწითალო, ნც.; აქატის, მოყავისფრო, 1ც. აღმოჩნდა მიცვალებულის მაჯასთან.
4. ანატკეცი კაუის (ინვ. №315), (ტაბ. XXX-3). კრემისფერი, 1ც.

### სამარხი 45

მდებარეობდა CCVIII ნაკვ. 9, 12 კვ.-ში. და CCIX ნაკვ. 7, 10კვ.-ში.  
ქვაწრიანი ორმოსამარხი. (ტაბ. XXVIII, XXXI; სურ. 70-74).

კრომლესი საშუალო ზომის ქვებისაგან შედგება. წრე ალაგ-ალაგ დაზიანებულია, აკლია შევსების ქვები. დაზიანებულ ადგილებში ფიქსირდება წვრილი ქვები. წვრილი ქვები გაიწმინდა კრომლესის შიგნითაც. კრომლესის ზომებია ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ 4,90მ; აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ - 5,20მ.

დასაკრძალავი კამერა ჩატრილია ჯერ შავ, შემდეგ ყვითელ ნიადაგში. კამერის ზომებია 1,50X1,00X0,60მ. ორმო დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

სამარხში დაკრძალულია ერთი ინდივიდი, მარცხენა გვერდზე მკვეთრად ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთით. ზედა კიდურები სახის წინ აქვს დალაგებული, თავის ქალა ძლიერაა დაზიანებული.

სამარხის პრეპარაციის დროს დაფიქსირდა ძელების ანაბეჭდი (შავი ლაქების სახით).

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. ღერგი (ინვ. №316), (ტაბ. XXXII-2; სურ. 76). თიხის, მოშავო ზედაპირით, მონაცრისფრო შიდაპირითა და მოშავო კეცით, მარცვლოვანი, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.
2. ქვაბ-ქოთანი (ინვ. №317), თიხის, მონაცრისფრო-მოჩალისფრო ზედაპირით, შიდაპირითადა მოჩალისფრო კეცით, მსხვილმარცვლოვანი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ.
3. ჯამი (ინვ. №318), (ტაბ. XXXII-1). თიხის, ლევა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ.

4. ჯამი (ინვ. №319), (ტაბ. XXXII-4). თიხის, ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ.
5. მძივები (ინვ. №320), (ტაბ. XXXII-3; სურ. 75). სარდიონის, მოწითალო 9ც. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში.

#### სამარხი № 46

მდებარეობდა CCVIII ნაკვ. 5, 7, 8, 9 კვ.-ში. (სურ. 77).

სამარხის დიდი ნაწილი სცილდება ენერგოდერეფნის ფარგლებს.

#### სამარხი 47

მდებარეობდა CCVIII ნაკვ. 6, 9კვ-ში და CCIX ნაკვ. 4, 7კვ-ში.

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. (ტაბ. XXX-1; სურ. 78).

ქვაყრილი (1,95 X1,50მ) შედგებოდა წვრილი და საშუალო ზომის ქვებისაგან, რომლის ქვეშ დაფიქსირდა კამერა (2,10X1,40X0,20მ). სამარხი ცარიელი იყო.

#### სამარხი № 48

მდებარეობდა LXXI ნაკვ. მე-8 კვ-ში. (ტაბ. XXXIV; სურ. 79-80).

სამარხი დაზიანებული იყო.

დაფიქსირდა თიხის სამი ჭურჭელი, ჩადგმული შავი ფერის ნიადაგში. ერთ ჭურჭელს ზემოდან ეფარა ბრტყელი ქვა.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინვ. №321), თიხის, მოშავო ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და მოყავისფრო-მოჩალისფრო კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთით.
2. ქოთანი (ინვ. №322), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ამოღარული ხაზებითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა №321 ჭურჭლის სამხრეთით.
3. ქოთანი (ინვ. №323), (ტაბ. XXXV-1). თიხის, ლევა ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ნაჭდეუებიანი ორნამენტით. აღმოჩნდა №321 და №322 ჭურჭლებზე მიყრდნობილი დასაყვლის მხრიდან.

## სამარხი № 49

მდებარეობს CCIX ნაკვ. მე-2 კვ-ში. (ტაბ. XLVIII-2; XLIX-2; სურ. 81, 82).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი.

№51 სამარხის კრომლექის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან დაფიქსირდა მცირე ზომის ყრილი (2,0X1,7მ); დიდი ზომის ქვას (1,10 X1,70მ) ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა მცირე ზომის ქვები. ყრილის ქვეშ გამოვლინდა ორმო (91,0X0,7X0,3), რომელშიც აღმოჩნდა ერთმანეთთან მჭიდროდ დალაგებული თიხის ჭურჭლები

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. ქვაბ-ქოთანი (ინვ. №324), (ტაბ. L-1). თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, მოწითალო-მოყავისფრო ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით, ამოღარული სარტყლით, ნაჭდევებითა და დაკეჭნილი ძირით, აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში.
2. ქოთანი (ინვ. №325), (ტაბ. L-2). თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო კეცით, ამოღარული კონცენტრული და ტეხილი ხაზებით, ნაჭდევებითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა №324 ჭურჭლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს.
3. დერგი (ინვ. №326), (ტაბ. L-3). თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს.
4. ქოთანი (ინვ. №327), (ტაბ. L-4). თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა №324 ჭურჭლის ქვეშ.

## სამარხი №50

მდებარეობდა CXCVIII ნაკ. მე-10, 11; CXCVII ნაკვ. მე-12; CCIX ნაკვ. მე-3 და CCX ნაკვ. 1, 2 კვადრატებში. (ტაბ. XXXVI-XLVI; სურ. 83-95).

ქვაწრიანი ორმოსამარხი.

გარეთა დიდი წრე შედგებოდა საშუალო ზომის დაუმუშავებელი ბაზალტის ქვებით, შიდა სივრცე შევსებული იყო წვრილი ქვებით, რომელიც გრძელდებოდა წრის გარეთაც ისე, რომ კრომლექის ქვებზეც გადადიოდა.

ქვაწრის (დმ – 10,5 მ) ცენტრში გამართული იყო დასაკრძალავი კამერა, რომლის ჩრდილოეთ მხარეს იღო დიდი ზომის ლოდი. კამერა

დაფარული იყო წვრილი ქვებით. წრის სამხრეთი მხარე დაზიანებულია ტექნიკის მიერ.

დასაკრძალავ კამერაზე მდებარე ყრილის ალაგების შემდეგ მის ქვეშ, სამხრეთ ნაწილში გამოიკვეთა მცირე ზომის ქვებით შემოფარგლული სამკუთხედი, რომელიც წვერით სამხრეთისაკენ არის მიმართული. მისი ზომებია: 50X50X40 მ.

სამარხ კამერაზე მოწყობილი წვრილი ქვების ყრილის ალაგების შემდეგ 0,20 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა ორი დიდი ლოდი, რომლებიც ჩაყირავებული იყო სამარხის ცენტრისაკენ.

დასაკრძალავი კამერის ჩრდილოეთით მდებარე ქვის ქვეშ დაფიქსირდა ხის ძელების კვალი, მიმართული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ასევე ძელების წყობა, ლაქების სახით, ფიქსირდებოდა დასაკრძალავი კამერის გვერდებზეც, ოღონდ გრძივი კედლების მიმართულებით.

დასაკრძალავი ორმოს ზომა, შავი ლაქის მიხედვით – 2,10X1,30 მ-ია. როგორც ჩანს, ხის ძელები დაწყობილი იყო ორმოს მთელ ფართობზე, რომელზეც ზემოდან დიდი ქვები იყო დალაგებული.

ორმოს პირიდან 0,60 მ სიღრმეზე დაფიქსირდა საქონლის კბილის ნაშთი. ამავე დონეზე ფიქსირდება მუქი შავი და ალაგ-ალაგ ღია ფერის ლაქები, ორმოს თითქმის მთელ ფართობზე ლაქებისაგან (ტყავისგან?), შექმნილია სხვადასხვა ფორმის ფიგურები – წრეები, სამკუთხედები ...

ქვაყრილის დონიდან 0,75 მ სიღრმეზე ლაქამ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა მიიღო, მისი ზომებია: სიგრძე 2,05 მ; სიგანე 1,10 მ.

ორმოს ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა მიცვალებულის კბილები და ცალკეული ძელების ნაშთი. თავის ქალა დაზიანებულია, შემორჩენილია ლაქის სახით.

მიცვალებული დაკრძალულია თავით ჩრდილოეთით, მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. აღმოსავლეთ კედელთან დაფიქსირდა ალაპი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ნაშთი, ერთი ბეჭის ძვალი, ძელების უმეტესი ნაწილი დაჩეხილი და დანაწევრებულია.

№328 ჭურჭლის ალაგებისას მასში აღმოჩნდა საქონლის რამდენიმე ძვალი (ამოღების დროს დაიშალა).

სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №328), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და შავი კეციით; ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით, ნაჭდეკვებითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა ჩრდ.-აღმ. კუთხეში
2. დერგი (ინვ. №329), თიხის, შავი ზედაპირით, მოყავისფრო-მოჩაღისფრო შიდაპირითა და მოშავო კეციით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. კედელთან

## სამარხი №51

მდებარეობდა CCIX ნაკვ. 2, 3, 5, 6 კვ-ში. (ტაბ. XLVII-1,3; LI-LIV; სურ. 96-102).

წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხი. ქვაყრილის (დმ 8 მ) გარე წრე შედგებოდა დიდი ზომის ბაზალტის ლოდებისაგან, შიდა სივრცე და ლოდებს შორის არსებული მანძილი შევსებულია წვრილი ქვით. ქვაყრილის ცენტრში დაფიქსირდა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დიდი და საშუალო ზომის ქვების ყრილი. რომლის ქვეშ აღმოჩნდა დასაკრძალავი კამერა. სამარხ კამერაში 0,65 მ-ის სიღრმეზე შავი ლაქა დაფიქსირდა, რომელიც სამარხის მთელ ფართობზე იკვეთებოდა და იატაკის დონემდე ჩასვლისას ფორმას ნაწილობრივ იცვლიდა. მოგრძო ფორმის ასეთივე შავი ლაქები აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კუთხესთან, ისინი ვერტიკალურად ეშვებოდნენ სამარხის კედლებზე.

დასაკრძალავი კამერა (ზომები 2,20X1,40X0,90 მ.) დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული. ჩონჩხი ძლიერ დაზიანებულია. დაფიქსირებული ჩონჩხის ფრაგმენტების მიხედვით, მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, კიდურებმოხრილი.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №330), თიხის, ლეგა ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. ნაჭდევებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან
2. ქილა (ინვ. №331), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და მოშავო-მოყავისფრო კეცით. აღმოჩნდა № 330 ჭურჭლის დასავლეთით.
3. ანატკეცი (ინვ. 332), (სურ. 332). ობსიდიანის, აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში 0,6 მ-ის სიღრმეზე.

## სამარხი №52

მდებარეობდა CXCVIII ნაკვ. მე-9, 12 და CXCIX ნაკვ. მე-7, 10 კვ-ში. წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხი. (ტაბ. XL-1; LVI; LVII; LVIII-1; სურ. 105-110).

ქვაყრილის სამხრეთი ნაწილი დაზიანებულია ტექნიკის მიერ. ყრილის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა დიდი ზომის დაუმუშავებელი ბაზალტის სამი ლოდი (1,50X0,90 მ; 1,20X0,75 მ; 1,20X0,95 მ). სამივე ქვა ჩაყირავებული იყო სამარხი კამერის ცენტრისაკენ.



დასაკრძალავი კამერა (2,00X1,32X0,95მ) დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხის კამერის სხვადასხვა დონეზე დაფიქსირდა ძელების კვალი, რომელიც მიმართული იყო, როგორც სამარხის სივრძივი, ასევე განივი მიმართულებით. ძელების გარდა დაფიქსირდა შავი ლაქები, რომლებიც სამარხი ორმოს სხვადასხვა დონეზე ღებულობდა ოდნავ შეცვლილ ფორმას.

სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, თავით ჩრდილო დასავლეთით, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. ჩონჩხი ცუდად არის დაცული.

კამერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა საქონლის ძელები.

### **სამარხში აღმოჩნდა:**

1. დერგი (ინვ. №333), თიხის, მოწითალო-ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. ნაჭდევებითა და თოკისებური ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. აღმოსავლეთ კუთხეში.
2. კოჭობი (ინვ. №334), (ტაბ. XXXV-3). თიხის, რუხი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა №1 ჭურჭლის (333) ძირში, მისგან სამხრეთით.
3. დერგი (ინვ. №335), თიხის, შავი ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, ამოღარული კონცენტრული და ტეხილი ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში
4. ბადია (ინვ. №336), თიხის, რუხი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა ჩრდ. დას. კუთხეში.

### **სამარხი №53**

მდებარეობდა CXCVIII ნაკვ-ის მე-5, 6 კვ-ში. (ტაბ. LIX; LX; სურ. 111-112).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი

სამარხს აქვს თითქმის წრიული ქვაყრილი, რომლის ზომებია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 2,90 მ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 3,30 მ. ქვაყრილის გარეთა კიდე შედგება დიდი ზომის ბაზალტის ქვებისაგან, ხოლო შიდა სივრცე შევსებულია მცირე და საშუალო ზომის ქვებით. ქვაწრის სამხრეთი ნაწილი მონგრეულია.

სამარხის შიდა ქვაყრილის ალაგების შემდეგ პასტის მიივები დადასტურდა.

### **სამარხში აღმოჩნდა:**

1. მძივი (ინვ. №337), (ტაბ. XXXV-4). აქატის, მოყავისფრო – 5ც. პასტის, თეთრი – 10ც.

### სამარხი №54

მდებარეობდა CXXX ნაკვ. მე-9 კვ-ში. (ტაბ. LXI; სურ. 114).  
ორმოსამარხი.

თიხის ორი ჭურჭელი ჩადგმულია ყვითელი ფერის დედაქანში ჩატრილ ორმოში. ჭურჭლები გვერდი-გვერდ მჭიდროდ დევს. ერთ მათგანს თეთრი ფერის წვრილი ქვები აქვს შემოწყობილი. ორმოს ზომებია 0,70X0,40X0,70 მ. №339 ჭურჭლის ძირთან დაფიქსირდა პასტის მძივები.

ზემოაღნიშნული ორმოსამარხი მდებარეობს 2003 წელს გათხრილ №№ 15 და 18 სამარხების ჩრდილოეთით.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №338), თიხის, შავი ზედაპირით, ყავისფერი შიდაპირითა და კეცით. წვრილმარცვლოვანი მინარევეებით, რელიეფური სარტყლებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. დასავლეთ მხარეს.
2. დერგი (ინვ. №339), თიხის, ლეგა ყავისფერი ზედაპირით, მორუხო-მოშავო შიდაპირითა და მოშავო-მოყავისფრო კეცით. წვრილმარცვლოვანი, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს.
3. მძივები (ინვ. №340), (ტაბ. XXXV-5). პასტის, შავი და თეთრი ფერის, 70 ც. აღმოჩნდა №339 თიხის ჭურჭელში.

### სამარხი 55

მდებარეობდა CXCIX ნაკვ. მე-4, 5 კვ. (ტაბ. LXII; სურ. 116-118).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი.

№73 სამარხის წრეს ჩრდილოეთის მხრიდან მჭიდროდ ებჯინებოდა ერთი ბრტყელი ლოდი - 1,50X0,70 მ. რომელიც საშუალო ზომის ქვებით არის შემოზღუდული.

ბრტყელი ქვის ადების შემდეგ გამოიკვეთა მცირე ორმო, რომელიც ჩატრილი იყო ყვითელი ფერის თიხნარში. ორმოში დადასტურდა 7 თიხის ჭურჭელი.

№342 და №344 თიხის ჭურჭლებს შორის დაფიქსირდა სამარხის იატაკში ჩატრილი ორმო (დმ-ია 0,25 მ), რომელიც ცარიელი იყო.

## სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №341), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, ამოღარული ტეხილი და კონცენტრული ხაზებით, თოკისებური ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა ორმოს ცენტრში.
2. ბადია (ინვ. №342), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა №341 დერგის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს.
3. დერგი (ინვ. №343), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ამოღარული ტეხილი და კონცენტრული ხაზებით, ნაჭდევებით. №342 ბადიის ქვეშ.
4. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. №344), თიხის, ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით. აღმოჩნდა №341 დერგის დასავლეთ მხარეს.
5. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. №345), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა №341 და №344 ჭურჭლებს შორის, სამხრეთ მხარეს.
6. ჯამი (ინვ. №346), თიხის, ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით. წვრილი მინარევებით. ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა №341 დერგის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს.
7. ჯამი (ინვ. №346), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. იგი №341 და №344 ჭურჭლებზე იყო მიყრდნობილი დასავლეთის მხრიდან.

## სამარხი №56

მდებარეობდა CLXXXVIII ნაკვ-ის მე-4, 7 კვ-ში. (ტაბ. LXIII- LXVI; სურ. 119-125).

წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხი.

ქვაყრილი (დმ – 8მ) ძლიერაა დაზიანებული.

სამარხი კამერა გადახურული იყო ბაზალტის ქვის ბრტყელი ფილებით.

სამარხი კამერა (2,30X1,20X0,78 მ) დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხში დაკრძალული იყო ერთი ინდივიდი, მიცვალებულის ჩონჩხი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. კბილებისა და ჩონჩხის ფრაგმენტების განლაგებით მიცვალებული დაკრძალული იყო თავით ჩრდილოეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, სამარხის ცენტრალურ ნაწილში. დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვლის ფრაგმენტები.

სამარხი კამერის ზედაპირიდან 0,50 მ სიღრმეზე დაფიქსირდა შავი ლაქა, რომელიც სამარხის მთელ ფართობზე იყო განფენილი, ვცვლდებოდა იატაკამდე და სიღრმისაკენ იცვლიდა ფორმას.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №348), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, მორუხო შიდაპირითა და შავი კეციოთ, თოკისებური ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.
2. ქილა (ინვ. №349), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, ლეგა-ნაცრისფერი შიდაპირითა და ნაცრისფერი კეციოთ, რელიეფური სარტყლით. აღმოჩნდა №348 ჭურჭლის აღმოსავლეთ მხარეს.
3. კოჭობი (ინვ. №350), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეციოთ, აღმოჩნდა №348 ჭურჭლის სამხ. მხარეს ჩრდ. კედელთან.
4. საკინძი (ინვ. №351), (ტაბ. LXVII-5; სურ. 133). ბრინჯაოსი, მრავალგანივკეუთიანი, თავთან ოთხი შვერილით, გამჭოლი ნახვრეტით. აღმოჩნდა მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.
5. სამაჯური (ინვ. №352), (ტაბ. LXVII-10; სურ. 134). ბრინჯაოსი, ბრტყელგანივკეუთიანი, გახსნილი, მოკაუჭებული თავებით. აღმოჩნდა მიცვალებულის მაჯასთან.
6. მძივი (ინვ. №353), (ტაბ. LXVII-6; სურ. 132). ოქროსი, ცილინდრული ფორმის, ბოლოებზე ამოღარული წრიული ორნამენტით. აღმოჩნდა მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.
7. მძივები (ინვ. №354), (ტაბ. LXVIII-1,7,8; სურ. 128-130). სარდიონის, მოწითალო ფერის 23ც.; აქატის, შავი და მოყავისფრო 2 ც.; პასტის ცისფერი, თეთრი, მოყავისფრო 15 ც.
8. საბეჭდავი (ინვ. №345), პასტის, მომწვანო 1 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.
9. სალესი ქვა (ინვ. №355), (ტაბ. LXVII-9; სურ. 128). შავი ფერის. აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალთან.
10. ანატკეცი (ინვ. №356), (ტაბ. LXVII-2; სურ. 126). ობსიდიანის, 1ც. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან.
11. ანატკეცები (ინვ. №357), – ობსიდიანის 1ც.; კაუის 1ც. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში.

#### სამარხი №57

მდებარეობდა CXXVIII ნაკვეთის, მე-12 კვ-ში და CLXXXVIII ნაკვეთის, მე-2, 3 კვ-ში. (სურ. 135).

ქვაყრილი შედგება მცირე და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისგან. გადის ენერგოკორიდორის ფარგლებს გარეთ.

#### სამარხი №58

მდებარეობდა CXXIX ნაკვ-ის, მე-10 კვ-ში. (სურ. 136).

ქვაყრილი შედგება მცირე და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისგან. წარგძელებული ოვალური ფორმა აქვს. მისი ზომებია 2,85X1,82მ.

გადის ენერგოკორიდორის ფარგლებს გარეთ.

#### სამარხი №59

მდებარეობდა CXXX ნაკვ-ის, მე-2 კვ-ში. (ტაბ. LXVIII; სურ. 137, 138).

შემორჩენილია წვრილი ქვების მცირე ყრილი (1,10X0,50X0,30 მ). თიხის ორი ჭურჭელი ჩადგმულია შავი ფერის ნიადაგში, ერთმანეთის გვერდზე. ერთს ზემოდან ქვა აფარია.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქილა (ინვ. №358), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და კეციით, ამოღარული კონცენტრული ხაზით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. დასავლეთ კუთხეში.
2. დერგი (ინვ. №358), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, რუხი-მოჩალისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეციით. ამოღარული კონცენტრული, ტეხილი და თოკისებური ორნამენტით. დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

#### სამარხი №60

მდებარეობდა CXXIX ნაკვ. მე-5, 6 კვ-ში. (სურ. 139).

წრიული ქვაყრილი (დმ-2,60 მ), შედგება მცირე და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისგან

ქვაყრილი გადის ენერგოკორიდორის ფარგლებს გარეთ.

## სამარხი №61

მდებარეობდა CLXXXIX ნაკვ. მე-2, 3 კვ-ში; (ტაბ. LIX-1,3; LXX; სურ. 140-144).

ქვაწრიანი ორმოსამარხი.

ქვაყრილის სამხრეთი ნაწილი დაზიანებულია ტექნიკის მიერ. ჩრდილოეთით შემორჩენილია დიდი ზომის ქვებით შემოზღუდული ქვაყრილი. ქვაყრილის ცენტრში დაფიქსირდა სამარხი ორმოს გადახურვის ბრტყელი ქვები, რომლის ქვეშ აღმოჩნდა 2,70 მ დიამეტრის შავი ლაქა. დაღრმავების შემდეგ გამოიკვეთა კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმის დასაკრძალავი კამერა (2,10X1,30X0,70 მ). სამარხი დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხ კამერაში, ზედაპირიდან 0,50 მ სიღრმეზე, დაფიქსირდა მართკუთხა შავი ლაქა, რომელიც იცვლიდა ფორმას და სამარხის იატაკამდე ჩადიოდა.

სამარხ კამერაში, დაკრძალულია ერთი მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. მიცვალებულის გულმკერდის წინ და თიხის ჭურჭლის გვერდით დაფიქსირდა ალაპის ნაშთი.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №360), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეციით ამოღარული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. ნაწილში, მიცვალებულის თავთან.

## სამარხი №62

მდებარეობდა CXXIX ნაკვეთის მე-6, 9 კვ-სა და CXXX ნაკვეთის მე-4, 7 კვ-ში. (ტაბ. LXXI-LXXIII; სურ. 145-149).

ქვაწრიანი, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია. კრომლესი, რომლის დმ-ია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 7,5 მ; აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ – 7,8 მ, შედგენილი იყო დიდი ზომის დაუმუშავებელი ბაზალტის ქვებისაგან.

კრომლესის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა სამარხი კამერა, რომელიც გადახურული იყო დიდი ზომის ქვებით. მათგან გამოირჩევა ხუთი ქვის ფილა, რომელთაგან უდიდესი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ფარავდა სამარხის უდიდეს ნაწილს. მისი ზომებია 1,30x0,80x0,12 მ.

სამარხში აღმოსავლეთ კედელთან ჩადგმული იყო ბაზალტის ბრტყელი ქვა. 0,60x0,78x0,12მ; სამხრეთ კედელთან მდებარე ბრტყელი ქვა (1,18x0,60) სანახევროდ კამერაში იყო ჩაშვებული; სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან წვერით ქვემოთ ჩაყრდენებული ქვა (0,85x0,60 მ) დაფიქსირდა. დასაკრძალავი ორმო (1,50X0,90X1,10) გაჭრილია ყვითელი ფერის თიხნარში.

დასაკრძალავ კამერაში 0,6 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა ხის ძელის ანაბეჭდები (ლაქის სახით), რომელიც მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

სამარხში დაუკრძალავთ ერთი მიცვალებული, თავით ჩრდილო-დასავლეთით, კიდურებმოხრილი, მარჯვენა გვერდზე. ხერხემლისა და მენჯის ძვალი არ დაფიქსირდა.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №361), თიხის, წვრილი მინარევებით, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და შავი კეცით, ამოღარული ხაზებითა და ნაჭდევებით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. აღმ. კუთხეში.
2. დერგი (ინვ. №362), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. შავი ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა იატაკის დონეზე ჩრდ. აღმ. კუთხეში, №361 ჭურჭლის ქვეშ;
3. ბადია (ინვ. №363), (ტაბ. LXXVI-1). თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. რელიეფური სარტყლებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. დასავლეთ კუთხეში.
4. კოჭობი (ინვ. №364), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით რუხი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით.. აღმოჩნდა №361 ჭურჭელში
5. კოჭობი (ინვ. №365), (ტაბ. LXXVI-2; სურ. 151). თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, რუხი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, ამოღარული სარტყლით. აღმოჩნდა №361 ჭურჭლის დასავლეთით.
6. ანატეცები (ინვ. №366), (ტაბ. LXXVI-3,4,5,6; სურ. 150). ობსიდიანის, 3 ც.; კაჟის 1ც. აღმოჩნდა კამერის ცენტრალურ ნაწილში, 0,8 მ. სიღრმეზე.

### სამარხი №63

მდებარეობდა CXXX ნაკვეთის მე-2, 5 კვადრატში. (ტაბ. LXXIV-1,3; LXXV; სურ. 151-154).



ქვაწრიანი ორმოსამარხი

ქვაწრის შიდა ზომებია 4,90მ; გარეთა – 5, 40მ. წრეს შემოუყვება დიდი ზომის დაუმუშავებელი ბაზალტის ქვები, რომელიც რამდენიმე ადგილზე დარღვეულია. ქვაწრეს შიგნით შემოუყვება წვრილი ქვებისაგან შედგენილი წყობა, რომელიც მჭიდროდ არის შეესებული; მისი სიგანეა 0, 50 მ.

სამარხი ორმო ჩაჭრილი იყო ქვაწრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ყვითელი ფერის ნიადაგში. დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. აქვს მცირე ზომის კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმა. მისი ზომებია: 1,23x0,85x0,55 მ. დადაბლებისას თავიდან გამოიკვეთა ოდნავ შესამჩნევი მოყავისფრო ლაქა, რომლის ადების შემდეგ, მის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა შავი ლაქები და 0,25 მ სიგრძის ხის ნაშთი.

ორმოს ჩრდილოეთ ნაწილში 0,50 მ სიღრმეზე დადასტურდა მიცვალებულის კბილები, თავის ქალა თითქმის მთლიანად დაშლილი იყო. მიცვალებულის ძვლები შემორჩენილია ლაქების სახით, რომლის მიხედვით, მიცვალებული დაკრძალული იყო თავით ჩრდილოეთით, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხის სხვადასვა დონეზე აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცები.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. ანატკეცები (ინვ. 367), (ტაბ. LXXVI; სურ. 154). ობსიდიანის, 4 ც. აღმოჩნდა 0,20-0,30 მ-ის. სიღრმეზე.

#### **სამარხი №64**

მდებარეობდა LXXI ნაკვეთის მე-12 კვ-ში. (ტაბ. LXXVII; სურ. 156).

შემორჩენილია წვრილი ქვებისაგან შედგენილი ყრილი (2,80x2.10მ), რომლის ალაგების შემდეგ სამარხი კამერა არ დაფიქსირდა

#### **სამარხი №65**

მდებარეობდა LXXI ნაკვეთის მე-5 კვადრატში. (ტაბ. LXXVIII; სურ. 157).

მცირე ზომის ქვებისაგან შედგენილი ქვაყრილი გადის ენერგოკოდორის ფარგლების გარეთ.

#### **სამარხი №66**

მდებარეობდა LXXI ნაკვეთის მე-3 კვ-ში და LXXI ნაკვეთის 1 კვ-ში. (ტაბ. LXXIX; სურ. 158). ქვაყრილი წარმოდგენილია მცირე ზომის

მოწითალო ფერის ბაზალტის ქვებით. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 1,10 მ; აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ – 1,0 მ)  
სამარხი კამერა გადის ენერგოდერეფნის ფარგლებს გარეთ.

### სამარხები №67, 68

მდებარეობდა LXXII ნაკვეთის მე-3,6 კვ-ში და LXXIII ნაკვეთის 1, 2, 4, 5 კვ-ებში. (ტაბ. LXXX; სურ. 158).

ქვაწრეა, რომლის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ორი (№67, 68) ორმო სამარხი.

წრის სამხრეთ ნაწილი მთლიანადაა მოჭრილი ტექნიკის მიერ. ქვაწრის შიდა სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით. ქვაწრის სიგანე ზოგ ადგილას 1,79 მ-ია. წრის შიგნით დაფიქსირდა ერთმანეთის გვერდზე მდებარე მოყავისფრო ლაქები, რომლის ქვეშ შემდგომ გამოიკვეთა დასაკრძალავი კამერები (№67, 68).

### სამარხი №67

მდებარეობდა LXXII ნაკვეთის მე-6 კვადრატში. (ტაბ. LXXX-LXXXV; სურ. 159-163).

ქვაწრიანი ორმოსამარხი.

სამარხი (1,50x0,90x0,70 მ) დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ჩატრილია ჯერ შავ, ხოლო შემდეგ ყვითელი ფერის ნიადაგში. ორმო კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმისაა. ორმოს პირიდან 0,50 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა ხის ძელების ნაშთი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენაა მიმართული. ორივე ძელი სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ დაფიქსირდა. ძელების ზომებია: 1,06x0,26x0,16 მ. ძელებს შორის მანძილი 5 სმ-ის.

სამარხში დაფიქსირდა ერთი ინდივიდი, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთით. ზედა კიდურები სახის წინ და სახის ქვეშ აქვს დალაგებული. მიცვალებულის ჩონჩხი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, თავის ქალა დაზიანებულია.

თიხის ჭურჭლის პირის დონეზე, სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გაიწმინდა წვრილფეხა საქონლის ძელის ფრაგმენტები.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. ჯამი (ინვ. №368), (სურ. 165). თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. გოფირებული. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში

2. მიხეობი (ინვ. №369), (ტაბ. LXXXIX-1; სურ. 164). ბრინჯაოსი, 1 ც.; პასტის, 7 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.

### სამარხი №68

მდებარეობდა LXXIII ნაკვეთის 1, 4 კვ-ში. (ტაბ. LXXX-LXXXV; სურ. 159-161: 166-170).

ორმოსამარხი, დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ. აქვს კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმა. ჩაჭრილია ყვითელი ფერის თიხნარში. დასაკრძალავი კამერა ზემოდან დაფარულია მცირე ზომის ქვებით, რომლის ქვეშ 0,25 მ სიღრმეზე ხის ძელების ანაბეჭდი დადასტურდა. ძელები ძირითადად სამარხის სივანეზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა მიმართული (0,77x0,620 მ; 1,03x0,30 მ; 0,76x0,14 მ; 0,93x30 მ; 0,50x0,24 მ).

ორმოსამარხში (2,10x1,50x1,00 მ) დაკრძალული იყო 4 ინდივიდი. მათი ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. პირველი მიცვალებული დაუკრძალავთ სამარხის ცენტრალურ ნაწილში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, კიდურებმოხრილი, მარჯვენა გვერდზე; მეორე ინდივიდი - სამარხის აღმოსავლეთ კედელთან, თავით ჩრდილოეთით, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. ძელები აქაც ცუდად არის შემორჩენილი - დაფიქსირდა თავის ქალის ფრაგმენტი და კბილები, დანარჩენი ძელები ლაქების სახით იყო შემორჩენილი. მესამე ინდივიდი დაკრძალულ იყო სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში თავით სამხრეთით, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. მეოთხე მიცვალებული დაკრძალული იყო პირველი მიცვალებულის გულმკერდთან - დაფიქსირდა მხოლოდ კბილები.

მიცვალებულთა ძელების ზემოთ ფიქსირდებოდა ყავისფერი, ხოლო სამარხის იატაკზე შავი ფერის ლაქები.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №370), თიხის, მორუხო-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და შავი კეცით, ამოღარული ხაზებით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან, ჩრდ. დას. კუთხის მახლობლად.
2. დერგი (ინვ. №371), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარეგებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა №1370 ჭურჭელზე მიდგმული აღმოსავლეთიდან.
3. კოჭობი (ინვ. №372), თიხის, რუხი ზედაპირით, შიდაპირით და კეცით. აღმოჩნდა აღმოსავლეთის კედელთან

4. მძივები (ინვ. №373), (ტაბ. LXXXIX-2; სურ. 171). პასტის იოტები, თეთრი ფერის - 9 ც.; შავი ფერის - 6 ც. აღმონდა მეორე მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.

### სამარხი №69

მდებარეობს XII ნაკვეთის მე-9, 12 და XIII ნაკვეთის მე-7, 10 კვადრატებში (ტაბ. LXXXVII; სურ. 172-176).

ქვაწრიანი ორმოსამარხია. ქვაწრე შემოზღუდულია დიდი ზომის ბაზალტის ქვებისაგან, ხოლო შიდა სივრცე შევსებულია მცირე ზომის ბაზალტის ქვებით.

ქვაწრის (6,5x7,5 მ) ცენტრალურ ნაწილში აღმონდა სამარხი ორმო. სამარხი კამერის პირიდან 0,45 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა შავი ფერის ლაქა, რომელიც დასაკრძალავი კამრის მთელ ფართობზე ვრცელდებოდა. ორმოსამარხში დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ იყო დაზიანებული; თავის ქალა იღო ლანგარზე. დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა.

### სამარხში აღმონდა:

- 1.დერგი (ინვ. №374), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, მოყავისფრო ზედაპირით, მოშავო შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. თოკისებური ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმონდა სამარხის ჩრდ. დას. კუთხეში.
- 2.დერგი (ინვ. №375), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმონდა სამარხის ჩრდ. - აღმოს. კუთხეში.
- 3.სასმისი (ინვ. №376), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმონდა სამარხის ჩრდ. დას. კუთხეში. იღო №374 ჭურჭელზე
- 4.ლანგარი (ინვ. №377), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმონდა №374 და №375 ჭურჭლების სამხრეთით. მასზე იღო მიცვალებულის თავის ქალა.
- 5.მძივები (ინვ. №378), (ტაბ. LXXXIX-3; სურ. 177).სარდიონის, 4 ც.; პასტის, 1 ც. აღმონდა №377 ჭურჭელში
- 6.ანატკეცი (ინვ. №379), (ტაბ. LXXXIX-4; სურ. 178).ობსიდიანის. აღმონდა სამარხის დას. კედელთან.

### სამარხი №70

მდებარეობდა XIII ნაკვეთის მე-9 კვადრატსა და XIV ნაკვეთის მე-7 კვადრატში. (სურ. 197).

მცირე ზომის ქვებისაგან შედგენილი ყრილი გადის ენერგოკორიდორის საზღვრებს გარეთ.

## სამარხი №71

მდებარეობდა XV ნაკვეთის მე-12 კვადრატში (ტაბ. LXXXVIII; სურ. 180-184).

ქვაყრილიანი ორმოსამარხია

ქვაყრილი დაზიანებული იყო, შედგებოდა რიყის და ბაზალტის საშუალო ზომის ქვებისაგან. დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მისი ზომებია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 2,4 მ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 1,6 მ.

ქვაყრილის პირველი ფენის ქვეშ დაფიქსირდა უფრო მომცრო რიყისა და ბაზალტის ქვებისაგან შედგენილი ქვაყრილი, რომლის ქვეშ აღმოჩნდა ყვითელი ფერის თიხის გრუნტში ჩატრილი ორმოსამარხი. სამარხი შეესებოდა იყო შავი ფერის თიხანარევი მიწით. კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმის დასაკრძალავი კამერა (2,05x1,25x0,5მ) დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში იატაკზე დაკრძალულია ერთი მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი; თავის ქალა დეფორმირებულია და გადაადგილებული. მარჯვენა ხელი ტანის გასწვრივ, ხოლო მარცხენა ხელი მოხრილია იდაყვში და მუცლის არეში უდევს.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. ქოთანის (ინვ. №380), (ტაბ. LXXXIX-5); თიხის, მოყავისფრო-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, თოკისებური ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. ნაწილში.
2. ქოთანის (ინვ. №381), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდა პირითა და კეცით. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის ჩრდილოეთით.

## სამარხი №72

მდებარეობდა LXXII ნაკვეთის მე-3 კვადრატში (ტაბ. LXXXI; XC; სურ. 185-187).

ქვისფილებით გადახურული ორმოსამარხი.

შავი ფერის ნიადაგში ჩატრილ ორმოში (0,85x0,65x0,10მ) დაფიქსირდა თიხის ოთხი ჭურჭელი.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. კოჭობი (ინვ. №382), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით.

2. დერგი (ინვ. №383), (ტაბ. XCII-2). თიხის, მოვარდისფრო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, თოკისებური ორანმენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა №382 ჭურჭელთან.
3. ქილა (ინვ. №384), (ტაბ. XCII-1). თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა №382 და №383 ჭურჭლების დასავლეთით.
4. ქილა (ინვ. №385), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. ამოღარული კლაკნილი და კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა №384 ჭურჭლის სამხრეთით.

### **სამარხები №№73, 73<sup>1</sup>**

მდებარეობდა CXCIX ნაკვ. 4, 5, 7, 8 კვ-ში.

ქვაწრე, რომლის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ორი (№73, 73<sup>1</sup>) ორმოსამარხი, დაზიანებულია ტექნიკის მიერ - ჩამოჭრილია სამხრეთ ნაწილი. კრომლეხი (დმ. - 7,5 მ) შედგება საშუალო და დიდი ზომის ბაზალტის ქვებისაგან, შიდა სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით.

### **სამარხი №73**

მდებარეობდა CXCIX ნაკვ. მე-7 კვ-ში (ტაბ. XCI-1; სურ. 188-191). ორმოსამარხი.

კრომლეხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ორი ქვით (1,25x1,90 მ; 1,10x0,50 მ) გადახურული დასაკრძალავი კამერა, რომელიც დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სამარხი ორმო (1,15x0,60x0,80 მ) ჩატრილია ყვითელი ფერის თიხნარში. მასში დაკრძალულია ერთი ინდივიდი. ჩონჩხის ანატომიური განლაგება დარღვეული იყო – სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ქვედა ყბა, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დაზიანებული თავის ქალა, სამხრეთის კედელთან – ზედა კიდურების ფრაგმენტები.

### **სამარხში აღმოჩნდა:**

1. დერგი (ინვ. №386), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, მოყავისფრო-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. ამოღარული კლაკნილი ხაზებით, თოკისებური ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. აღმოსავლეთ კუთხეში.
2. კოჭობი (ინვ. №387), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან

3. საკინძი (ინგ. №388), (ტაბ. XCII; LI-LIV; სურ. 193). ბრინჯაოსი, მრგვალგანივკეთიანი, თავთან ოთხი შერილით. აღმოჩნდა №386 ჭურჭლის აღმოსავლეთით
4. მძივები (ინგ. №389), (ტაბ. XCIII-1,3,4,5; სურ. 194-195). სარდიონი, მოწითალო 14 ც.; პასტის მომწვანო, თეთრი, მოშავო; ბორბლისებური, ცილინდრული, დაღარულზედაპირიანი, 300 ც.; მინის ცისფერი 2 ც. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

### სამარხი 73<sup>1</sup>

მდებარეობდა CXCIX ნაკვ. მე-8 კვადრატში.  
ორმოსამარხი.

აღმოჩნდა ქვაწრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. დასაკრძალავი ორმო გაჭრილია ჯერ შავ, შემდეგ ყვითელი ფერის ნიადაგში, დამხრობილია ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ.

ორმოსამარხში დაკრძალულია ერთი ინდივიდი, ჩონჩხი დაზიანებულია. შემორჩენილი ძვლების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, კიდურებმოსხრილი, თავით ჩრდილოეთით.

სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინგ. №390), თიხის, მინარეგებით, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან.
2. ქილა (ინგ. №391), (სურ. 196), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში
3. სასმისი (ინგ. №392), თიხის, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით. ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში
4. მძივები (ინგ. №393), (ტაბ. XCII-3; სურ. 192). სარდიონი, მოწითალო 10 ც.; პასტის მომწვანო, თეთრი 29 ც. აღმოჩნდა №391 ჭურჭლის ქვეშ.

### სამარხი 74

მდებარეობს XII ნაკვეთის მე-11 და LXXII ნაკვეთის მე-2 კვ-ში.

ქვაწრიანი ორმოსამარხია. (ტაბ. XCIV; XCV; სურ. 197-199).

წერილი ქვებით შედგენილი ქვაწრე დაზიანებულია. ყრილი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით 3.10 მ-ია. ქვაწრის

ცენტრალურ ნაწილში კამერის გადახურვისათვის გამოყენებული რამდენიმე ქვა დადასტურდა.

სამარხი ორმო (1,30x0,70x0,55 მ) დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სამარხის ცენტრალურ ნაწილში, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ ალაპის ნაშთი დაფიქსირადა.

სამარხში აღმოჩნდა

1. ბადია (ინვ. №394), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. ამოღარული სარტყლებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
2. ქოთანის (ინვ. №395), თიხის, მოყავისფრო-მოვარდისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, ამოღარული კონცენტრული და ტეხილი ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კედელთან
3. ქილა (ინვ. №396), თიხის, შავი ზედაპირით, ყავისფერი შიდაპირითა და კეცით. ამოღარული კონცენტრული სარტყლებით. მიღებული იყო №394 და 395 ჭურჭელის გვერდებზე.
4. კოჭობი (ინვ. №397), (ტაბ. XCIX-13). თიხის, წვრილმარცვლოვანი, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.
5. მძივები (ინვ. №398), (ტაბ. XCIX-2; სურ. 200). თიხის, პასტის მოშავო, თეთრი 35 ც. აღმოჩნდა სამარხის სამხ.-აღმოს. ნაწილში.
6. ანატკეცები (ინვ. 399), ობსიდიანის, 4 ც. აღმოჩნდა სამარხის იატაკზე.

### სამარხი №75

მდებარეობდა CVXXVII ნაკვ. მე-12 კვადრატსა და CXCIX ნაკვ. მე-2, მე-3 კვადრატებში. (ტაბ. XCVI-XCVIII; სურ. 202-206).

ქვაწრიანი ორმოსამარხია.

კრომლესი შედგება საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისაგან, მისი ზომებია: ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 5,60 მ; აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ – 5,45 მ. დასავლეთიდან კრომლესს უერთდება ორ რიგად განლაგებული საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისაგან შედგენილი გზა, რომლის შემორჩენილი სიგრძეა 11,50 მ, სიგანე 0,30 მ.

კრომლესის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა გვერდიგვერდ ჩაწყობილი ოთხი ფილა ქვა (1,10x0,64x0,18 მ; 1,30x0,65; 1,20x0,50 მ; 1,40x0,40), რომლებიც სამარხი კამერის გადახურვას წარმოადგენს; მათგან მეორე და მესამე ფილაქვები 0,30 მ-ით დაბლა მდებარეობს, ვიდრე პირველი და მეოთხე.

გადახურვის ფილაქვების ქვეშ აღმოჩნდა მართკუთხა ფორმის სამარხი ორმო. იგი დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.



ორმოსამარხის პირიდან დაახლოებით 0,25 სიღრმეზე, კამერის მთელ ფართობზე, დაფიქსირდა შავი ლაქა, (1,45x0,7 მ), რომელიც კონტურის მცირე ცვალებადობით, გრძელდება სამარხის სიღრმეში.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში იატაკზე დაკრძალულია ერთი მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილი. ჩონჩხი და თავის ქალა ძლიერ დაზიანებულია, თავის ქალა დაძრულია და დევს მარჯვენა მხრის ძვალზე.

სამარხის ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელიც გამურულია. ქოთანში დაფიქსირდა წვრილფეხა საქონლის ძვლები და ყბა. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები (ბეჭისა და ლულოვანი ძვლების ფრაგმენტები), რომელთა ქვეშ იდო წვრილფეხა საქონლის თავის ქალა. სამარხის დასავლეთ კედელთან დაფიქსირდა წვრილფეხა საქონლის ნეკნები.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეციები.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინვ. №400), (ტაბ. XCIX-3). თიხის, მოყავისფრო-მოვარდისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეციით, წვრილმარცვლოვანი, ამოღარული კონცენტრული და ტალღისებური ხაზებით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში.
2. ობსიდიანის (ინვ. №401), (ტაბ. XCIX-6). ანატკეცი, 2 ც. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედესთან. 0,45 მ. სიღრმეზე.

### სამარხი №76

მდებარეობს XXV ნაკვეთის მე-7 კვადრატში. (ტაბ. C; CI; სურ. 208). წარმოადგენს ორმოს (0,40x0,40x0,05 მ), რომელშიც აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული თიხის ორი ჭურჭელი. არტეფაქტების აღება ვერ მოხერხდა.

### სამარხი 77

მდებარეობდა XXVIII ნაკვეთის მე-8 კვადრატში. (ტაბ. CI-2,4; სურ. 209, 210).

წარმოადგენს მცირე ზომის ორმოს (0,8x0,5x0,05 მ), რომელშიც ჩადგმული იყო თიხის სამი ჭურჭელი. ორმო მიბჯენილი იყო №78 სამარხის ქვაწრეზე ჩრდილოეთიდან. არტეფაქტები ძლიერ იყო დაშლილი და აღაგება ვერ მოხერხდა.

## სამარხი № 78

მდებარეობდა XXVIII ნაკვეთის მე-7, 8, 10 და 11 კვადრატებში. (ტაბ. CII; სურ. 211-216).

ქვაწრიანი ორმოსამარხია.

ქვაწრე (დმ. – 8 მ) ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, შედგება საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისაგან. ქვაწრის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ქვაყრილი (ამორფული ოთხკუთხედის ფორმის) (3,0 X 1,5 მ), რომლის ქვეშ დაფიქსირდა ორმოსამარხი (2,00 X 1,40 X 1,00 მ). დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. დასაკრძალავი კამერის ცენტრალურ ნაწილში, იატაკზე, დაკრძალულია ერთი მიცვალებული, თავით ჩრდილოეთისკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. ჩონჩხი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

დასაკრძალავ კამერაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, მსხვილფეხა და წვლირფეხა საქონლის ძეგლები.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №402), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ნაჭდევებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. დასავლეთ კუთხესთან.
2. ქოთანი (ინვ. №403), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, მოყავისფრო-მოვარდისფრო შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან.
3. დერგი (ინვ. №404), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზითა და ნაჭდევებით, დაკენჭილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან.
4. ქილა (ინვ. №405), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ნაჭდევებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
5. ქოთანი (ინვ. №406), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან.
6. ანატკეცი (ინვ. №407), (ტაბ. XCX-4; სურ. 217). ობსიდიანის. აღმოჩნდა № 403 ჭურჭლის სამხრეთით, ბატკნის ჩონჩხის მახლობლად.
7. ანატკეცი (ინვ. №408), (ტაბ. XCIX-9; სურ. 218). ობსიდიანის. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, დასავლეთის კედელთან მდებარე ბატკნის ბუჯის ქვეშ.

### სამარხის ქვაყრილში აღმოჩნდა:

8. ისრისპირი (ინვ. №409), (ტაბ. XCIX-5; სურ. 220). ობსიდიანის აღმოჩნდა ქვაყრილის დასავლეთ ნაწილში.
9. ანატკეცი (ინვ. 410), ობსიდიანის აღმოჩნდა სამარხის ზედაპირულ ფენაში.

### სამარხი № 79

მდებარეობდა XXIX ნაკვეთის მე-10 კვადრატში.

ორმოსამარხი (0,80 X 0,65 X 0,20 მ) ჩატრილი იყო მოყვითალო თიხის გრუნტში. სამარხის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე დაფიქსირდა ბაზალტის ორი ქვა, რომელიც თიხის ჭურჭლებზე (ინვ. №411, № 412) იყო მიბჯენილი დასავლეთის მხრიდან.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №411), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. ამოღარული საძებრით, ნაჭდევებითა და დაკენჭილი ძირით. აღმოჩნდა ორმოს ცენტრალურ ნაწილში.
2. დერგი (ინვ. №412), თიხის, წვრილმარცვლოვანი, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით. აღმოჩნდა № 411 ჭურჭლის სამხრეთით.
3. ჯამი (ინვ. №413), თიხის, წვრილმარცვლოვანი, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. ამოღარული სარტყლით. აღმოჩნდა ორმოს ცენტრალურ ნაწილში.

### სამარხი № 80

მდებარეობდა XXIX ნაკვეთის მე-2, 3 კვადრატებში.

შემორჩენილია რამდენიმე საშუალო ზომის ქვისგან შედგენილი ყრილი, რომლის ალაგების შემდეგ სამარხი კამერა არ დადასტურდა.

### სამარხი № 81

მდებარეობდა XXVI ნაკვეთის მე- 8 კვადრატში.

ორმოსამარხი დაზიანებულია, კონტურები არ დაფიქსირდა. ჭურჭლები აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,40 მ სიღრმეზე.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინვ. №414), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში.
2. ქოთანი (ინვ. №415), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში.

### სამარხი № 82

მდებარეობდა XXXI ნაკვეთის მე-10 კვადრატში. (ტაბ. CV; სურ. 224).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ქვაყრილი ძლიერ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ორმოსამარხი (1,45 X 1,00 X 0,30 მ) დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. სამარხ კამერაში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული. შემორჩენილი ჩონჩხის ფრაგმენტების მიხედვით, იგი დაკრძალული იყო თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ, მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. ქილა (ინვ. №416), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
2. სასმისი ქუსლიანი (ინვ. №417), (ტაბ. ჩVII-1). თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან 0,25 მ-ის დაშორებით.

### სამარხი № 83

მდებარეობდა XXXI ნაკვეთის მე-7 კვადრატში. (სურ. 225).

დაფიქსირდა მცირე ზომის ქვაყრილი – დაზიანებული, რომელშიც აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები. პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ ქვების ქვეშ თიხის ერთი ჭურჭელი იყო ჩამსხვრეული.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. ქილა (ინვ. №418), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით.

### სამარხი №84

მდებარეობდა XXXII ნაკვეთის მე-10 კვადრატში (ტაბ. CVI; სურ. 226-231).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი.

ქვაყრილი შემორჩენილი იყო ცალკეული ქვების სახით. სამარხი კამერის ჩრდილოეთ კედელთან დაფიქსირდა დიდი ზომის ბაზალტის სამი ქვა.

სამარხ კამერაში (1,70x0,90x0,80 მ) დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით ჩრდილოეთით, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი.

სამარხი კამერის ჩრდილოეთ კედლის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ინვ. №420 ჭურჭელთან დაფიქსირდა მოყავისფრო ლაქა (შესაძლოა ქსოვილის), რომელზეც ეწყო სარდიონის მძივები (ინვ. №426).

ინვ. №419 ჭურჭელში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. №419), (ტაბ. CVII-5). თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში
2. დერგი (ინვ. №420), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა №419 ჭურჭლის დასავლეთ მხარეს.
3. ქილა (ინვ. №421), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, თავის ქალის უკან.
4. მძივი (ინვ. №422), (ტაბ. CVII-6; სურ. 235). ოქროს ფირფიტის მილაკისებური. აღმოჩნდა მიცვალებულის ყბის ფოსოსთან.
5. მძივი (ინვ. №423), (ტაბ. CVII-6; სურ. 231). ოქროს ფირფიტის მილაკისებური. აღმოჩნდა მიცვალებულის ყბის ფოსოსთან.
6. მძივი (ინვ. №424), (ტაბ. CVII-6; სურ. 236). ოქროს ფირფიტის მილაკისებური. აღმოჩნდა მიცვალებულის მკერდის არეში.
7. მძივები (ინვ. №425), (ტაბ. CVII-6; სურ. 425). ოქროს ფირფიტის სფერული 2 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის ყბასთან.
8. მძივები ( ინვ. 426), (ტაბ. CVII-4; სურ. 234).სარდიონის, წითელი, 13 ც. აღმოჩნდა თავის ქალის უკან, ინვ. №420-ს ჭურჭლის სამხრეთით.
9. მძივები (ინვ. 427), (ტაბ. CVII-3; სურ. 233). სარდიონის, წითელი, 70 ც. მინის ლურჯი 2 ც. აღმოჩნდა თავის ქალის უკან, ინვ. №420-ს ჭურჭლის სამხრეთით.
10. მძივები (ინვ. 428), (ტაბ. CVII-2; სურ. 232). სარდიონის, წითელი, 114 ც. პასტის შავი, 8 ც. ცისფერი 5 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში.
11. მძივები (ინვ. 429), მინის, რგოლისებური, ცისფერი, 1. ც. აღმოჩნდა ინვ. №421-ს ჭურჭლის დასავლეთ მხარეს.

## სამარხი №85

მდებარეობდა XXXIII ნაკვეთის მე-12 კვადრატში. (ტაბ. CVIII - CX; სურ. 239-251).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი.

ქვაყრილი დაფიქსირდა მხოლოდ დასაკრძალავი კამერის თავზე. მას მართკუთხედის ფორმა ჰქონდა და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისაგან შედგებოდა. ყრილის ქვები ჩაწოლილი იყო დასაკრძალავ კამერაში და იატაკამდე ვრცელდებოდა. გაიწმინდა 6 რიგი (თუ ფენა) ქვაყრილისა. მათ შორის ჩნდებოდა დანახშირებული ხის ძეგლები, რომლებიც სამარხის სიგრძივ და განივ ღერძზე იყო დამხრობილი.

სამარხი კამერა (2,70x1,70x1,00მ) დამხრობილია ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ, ჩაჭრილია მოყვითალო ფერის თიხის გრუნტში. სამარხის ცენტრალურ ნაწილში, იატაკზე დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოსხრილი.

დასაკრძალავი კამერის სხვადასხვა ნაწილში დაფიქსირდა რამდენიმე ჯგუფად განლაგებული ადაპის ნაშთი – წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძეგლები.

### სამარხში აღმოჩნდა:

- 1.დერგი (ინვ. №430), (ტაბ. CXI-1). თიხის, ლეგა-ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.
- 2.ქილა (ინვ. №431), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, №430 ჭურჭლის სამხრეთით.
- 3.ქილა (ინვ. №432), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, №431 ჭურჭლის აღმოსავლეთით.
- 4.ქილა (ინვ. №433), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა მიცვალებულის კეფასთან.
- 5.ქილა (ინვ. №434), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან, ჩრდილოეთი კედლიდან 0,38 მ-ის დაშორებით.
- 6.ბუნიკი (ინვ. №435), (ტაბ. CXIII; სურ. 249, 252, 253). ბრინჯაოსი, ხუთი კოპით, კოპების ორ-ორი სამკუთხედისებური სიცარიელე შევსებულია მომწვანო პასტით. კოპებს შორის რამდენიმე

ამოღარული ვერტიკალური ხაზი დაუყვება. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ მხარეს, თავის ქალის წინ.

7. სატევარი (ინვ. №436), (ტაბ. CXIV; სურ. 245, 247, 254). ბრინჯაოსი, ძვლის სახელოვანი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ.-აღმოსავლეთ კუთხეში, ცხოველის ნეკნებს ქვეშ.
8. ისრისპირი (ინვ. №437), (ტაბ. CXII-1; სურ. 258). კაუის, ამოღარულქუსლიანი, ღია ყავისფერი. აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
9. ისრისპირი (ინვ. №438), (ტაბ. CXII-2; სურ. 258). კაუის, ამოღარულქუსლიანი, ყავისფერი. აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
10. ისრისპირი (ინვ. №439), (ტაბ. CXII-3; სურ. 258). კაუის, ამოღარულქუსლიანი, ყავისფერი. აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
11. ისრისპირი (ინვ. №440), (ტაბ. CXII-7; სურ. 258). კაუის, ამოღარულქუსლიანი, მოჩაღისფრო-მოყვითალო. აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
12. ისრისპირი (ინვ. №441), (ტაბ. CXII-5; სურ. 258). კაუის, ამოღარულქუსლიანი, მოთეთრო-მონაცრისფრო. აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
13. ისრისპირი (ინვ. №442), (ტაბ. CXII-6; სურ. 258). კაუის, ამოღარულქუსლიანი, ჭრელი-ნახევარი თეთრი, ნახევარი ყვითელი. აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
14. ისრისპირი (ინვ. №443), (ტაბ. CXII-4). კაუის, ამოღარულქუსლიანი, კრემისფერი. აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
15. ისრისპირი (ინვ. №444), (ტაბ. CXII-8; სურ. 257). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, (ცალი ფრთა მოტეხილი), აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
16. ისრისპირი (ინვ. №445), (ტაბ. CXII-9; სურ. 257). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, (ცალი ფრთა მოტეხილი), აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
17. ისრისპირი (ინვ. №446), (ტაბ. CXII-10; სურ. 257). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, (ცალი ფრთა მოტეხილი), აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
18. ისრისპირი (ინვ. №447), (ტაბ. CXII-12; სურ. 257). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, (ცალი ფრთა მოტეხილი), აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
19. ისრისპირი (ინვ. №448), (ტაბ. CXII-13; სურ. 257). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, (ცალი ფრთა მოტეხილი), აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხრის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.





34. ისრისპირი (ინვ. №463), (ტაბ. CXI-12; სურ. 256). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხარის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
35. ისრისპირი (ინვ. №464), (ტაბ. CXI-3; სურ. 256). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხარის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
36. ისრისპირი (ინვ. №465), (ტაბ. CXI-15; სურ. 256). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხარის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
37. ისრისპირი (ინვ. №466), (ტაბ. CXI-17; სურ. 256). ობსიდიანის, ამოღარულქუსლიანი, აღმოჩნდა მიცვალებულის წინამხარის ძვალზე. იდაყვის მახლობლად.
38. ანატკეცი (ინვ. №466 ა), (ტაბ. CXI-18; სურ. 259). ობსიდიანის აღმოჩნდა ბატკნის თავის ქვეშ.
39. ნატეხი (ინვ. №466 ბ), (ტაბ. CXI-19; სურ. 260). აქატის აღმოჩნდა კამერის იატაკზე, დასავლეთ კედელთან.

#### სამარხი № 86

მდებარეობდა XXXV ნაკვეთის მე-7 კვადრატში. (ტაბ. CXV; სურ. 261). წარმოადგენდა ქვაყრილს, რომელშიც დადასტურდა შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა, ძლიერ ფრაგმენტული. ქვაყრილის ქვეშ სამარხი არ დადასტურდა.

#### სამარხი № 87

მდებარეობდა XXXV ნაკვეთის მე-7 და 10 კვადრატებში. (ტაბ. CXV; სურ. 261). წარმოადგენდა ქვაყრილს, რომლის შევსებაში დადასტურდა შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა, ძლიერ ფრაგმენტული. ქვაყრილის ქვეშ სამარხი არ დადასტურდა.

#### სამარხი № 88

მდებარეობდა XXXVII ნაკვეთის მე-9 და მე-12 კვადრატებში. (ტაბ. CXVI; სურ. 262-266).

ქვაწრიანი ორმოსამარხი. ქვაწრე (დმ. – 3,5 მ) ძლიერ ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი. ქვაწრის გარე პირთან, ჩრდილოეთით დაფიქსირდა მცირე ზომის ქვების ყრილი (დმ – 0,50 მ), რომელშიც ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ქვაწრის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა სამარხი კამერა (1,16 X 0,65 X 0,40 მ) დამხრობილი გრძივი ღერძით ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ.

მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ დაშლილი იყო.

#### **სამარხში აღმოჩნდა:**

1. ღერგი (ინვ. 467) – მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ქვაყრილში.
2. მძივები (ინვ. 468) (ტაბ. CXXVII-1). – პასტის, თეთრი ფერის 10 ც., შავი ფერის – 1 ც. მიცვალებულის თავის ქალასთან.

#### **სამარხი № 89**

მდებარეობდა XL ნაკვეთის მე-6 და მე-9 კვადრატებში. (ტაბ. CXXVII-3; CXXVIII-3; სურ. 268-269).

ქვაწრიანი ორმოსამარხი. ქვაწრე (დმ. – 3,00 მ) შედგებოდა ბაზალტის დიდი ზომის ქვებისგან. მის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა მოყვითალო ფერის გრუნტში ჩაშვებული ორმოსამარხი (0,98 X 0,65 X 0,40 მ.), რომელიც დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ.

სამარხში დაკრძალული იყო მცირეწლოვანი ინდივიდი თავით ჩრდილოეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი.

#### **სამარხში აღმოჩნდა:**

1. ღერგი (ინვ. 469) – შავი ზედაპირით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შიდაპირითა და კეცით აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კედელთან.
2. კოჭობი (ინვ. 470) – მონაცრისფრო-მოყავისფრო ზედაპირით, მოხალისფრო შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით. შემკულია ამოღარული ტეხილი და კონცენტრული ხაზებით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხიდან 0,5 მ დაშორებით, თავის ქალის წინ.
3. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 471) – მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა ინვ. № 470 ჭურჭლის გვერდით.
4. მძივები (ინვ. 472) (ტაბ. CXXVII; სურ. 171, 172). – სარდიონის 1 ც., აქატის 4 ც. და პასტის, თეთრი ფერის 30 ც., შავი ფერის – 4 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

#### **სამარხი № 90**

მდებარეობს XL ნაკვეთის მე-7 – 12 კვადრატებში. (ტაბ. CXIX; CXXI - CXXVI; სურ. 274-287).

ქვაწრიანი ორმოსამარხია. ქვაწრე (დმ – 11,5 მ; სიგანე 1,0 მ) ძლიერ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, შედგებოდა წვრილი და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისაგან. ქვაწრის სამხრეთი ნაწილი სამშენებლო სამუშაოების დროს მთლიანადაა მოჭრილი.

ქვაწრის ცენტრალურ ნაწილში წაგრძელებული ოვალის ფორმის ქვაყრილია (5,0 X 2,0 მ) გამართული, რომლის ქვეშ დასკრძალავი კამერა დაფიქსირდა (სიგრძე 4,5 მ; სიგანე - ორმოს პირთან 1,5 მ, ორმოს იატაკთან 1,15 მ; სიღრმე 1,3 მ). ყრილის ქვები დასკრძალავ კამერაში ჩაყრილი იყო 0,7 მ სიღრმეზე. დასკრძალავ კამერაში, მისი ზედაპირიდან 1,15 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოშავო-მოყავისფრო ლაქა (2,8 X 1,2 მ), რომელშიც შეინიშნება ხის ძელების ანაბეჭდები.

სამარხი კამერის აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ დაფიქსირდა ორი, ერთმანეთის პარალელურად მდებარე ძელი. ერთ მათგანზე (2,8 X 0,08 მ), რომელიც აღმოსავლეთი კედლიდან 0,4 მ დაცილებით იდო, № 474 ჭურჭლის მახლობლად, ირიბად დავარდნილი ძელი დადასტურდა. დასვლეთ კედელთან მდებარე ძელზე (2,15 X 0,1 X 0,06 მ), ჩრდილოეთი ბოლოდან 0,2 მ დაშორებით, დაფიქსირდა წრიული ძელის ანაბეჭდი (დმ. 0,3 მ). ზემოთ აღწერილ, ორივე გრძელ ძელს ზემოდან ედო სამარხის განივ ღერძზე დაწყობილი ფიცრის ანაბეჭდები. ჩრდილოეთით მებარე ფიცარი (1,2 X 0,2 მ), სამხრეთით დაფიქსირებული ფიცრისაგან (1,1 X 0,3 მ) დაშორებული იყო 1,0 მეტრით. ორივე განივ ფიცარს შორის მდებარე ფართობზე დაფიქსირდა ასევე განივად განლაგებული, ვიწრო ძელები (სიგანე – 0,05 მ).

ხის კონსტრუქციის ნაშთების ქვეშ, 0,05 მ სისქის ფენის მოხნის შემდეგ გამოიკვეთა მიცვალებულის ჩონჩხი და თავის ქალა.

ზემოთ აღწერილი ძელების განლაგება მიუთითებს, რომ სარეცლისა (იხ. ქვემოთ) და მიცვალებულის თავზე გამართული იყო ხის კონსტრუქცია. ამ კონსტრუქციაში ასევე გამოყენებული იყო ხის წვრილი წნელები და ალბათ ტყავი. ხის ტოტების წნულის ანაბეჭდები დადასტურებულ იქნა სამარხი კამერის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებთან. ტყავის ანაბეჭდები კი შავ ფენაში მრავლად იყო. როგორც ჩანს, მიცვალებული კარვის ტიპის (ქოხი ?) კონსტრუქციის ქვეშ იყო დასვენებული.

აღნიშნული კონსტრუქციის აღების შემდეგ დაფიქსირდა სარეცელზე დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი.

სარეცელი წარმოადგენს ხის ძელებით შეკრულ მართკუთხედს (1,7 X 0,8 მ), რომელსაც ფიგურული თავებით დაბოლოებული სახელურები აქვს ჩრდილოეთ ნაწილში -- (სიგრძე – 0,8მ, სიგანე – 0,09მ, სისქე – 0,1მ, სამრეთ ნაწილში ნაწილობრივ არის შემორჩენილი (სიგრძე -- 0,2მ). დასავლეთი კედლის გასწვრივ, სარეცლის სახელურზე, 0,3მ დიამეტრის ხის ნაშთის ანაბეჭდი დაფიქსირდა.

სარეცელი ჩადგმულია სამარხი კამერის სამხრეთ ნაწილში. ოთხკუთხა ჩარჩოს ზომებია 1,7 X 0,8მ. ჩარჩოს გრძელი გვერდები 1,7 მ-ის სიგრძის, 0,1 მ სიგანის და სიმაღლის გათლილი ძელებია, ფეხებთან 0,8 მ სიგრძის, 0,5 მ სისქის და სიმაღლის ძელია. თავთან, ჩრდილოეთით 0,18 მ სიგანის და 0,5 მ სისქის ფიცარი.

მიცვალებულს თავი ამ ფიცარზე უდევს. იგი დასვენებულია ზურგზე, მარჯვენა ხელი მოხრილი აქვს და გულმკერდზე უდევს, მარცხენა ხელი ოდნავ, ისე აქვს მოხრილი, რომ ხელის მტევნები მენჯის არეში უწყვია. ფეხები მოხრილი აქვს და მარჯვნივ გადაკეცილი. მარცხენა ხელის მტევანთან პასტის გოფირებული მძივი აღმოჩნდა. მიცვალებულს თავთან, სარეცელზე მსხვილფეხა საქონლის (ცხენის ?) ძელები უწყვია. მიცვალებულის ქვეშ თხელი (0,03მ) და ვიწრო (0,05მ) ფიცრები დადასტურდა. სარეცლის განივად დაწყობილი ასეთი ფიცრები უფრო გრძელია, ვიდრე სარეცლის სიგანეა.

სამხრეთ ნაწილში დადასტურდა ცეცხლის კვალი, რომელიც სარეცლის ძელის ქვეშ შედიოდა. ძელის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა ნახევარწრის ფორმის თიხის ბორტი, (სიმაღლე -- 0,05 მ. სიგანე -- 0,4 მ) რომელიც ცეცხლის ანაბეჭდს სამხრეთიდან საზღვრავდა. შიდა სივრცე შევსებული იყო რიყის ქვებით, ნახშირის წვრილი ნაშთებით და ნაცრით.

სარეცლის სახელურებს შორის მოთავსებულია თიხის დიდი ზომის ჭურჭელი, მეორე ჭურჭელი კი მისგან 0,4 მ –ის მოცილებით დგას. აქვეა ჩასვენებული ცხვრის ორი სრული ჩონჩხი. მათი ფეხები №1 ჭურჭელთან დევს, თავები კი № 2 ჭურჭლის ძირთან უწყვიათ. ამავე ჭურჭელთან, სამარხის იატაკზე აღმოჩნდა ობსიდიანის ანატაკეცი.

სარეცლის დასავლეთი სახელურის აღების შემდეგ, მის და სარეცლის ჩრდილო – დასავლეთი კუთხის ქვეშ წრიული ფორმის (0,38 მ. დიამეტრის, 0,05 მ სისქის და 0,04 მ სიგანის) ხის კონსტრუქციის ნაშთი აღმოჩნდა.

შიგა სივრცეში, ხის ანაბეჭდების სახით, ხუთი სხივის ნაშთი შეინიშნება.

სამარხის სამხრეთ კედელთან სხვადასხვა ზომის ხის ანაბეჭდის კვალი დაფიქსირდა.

სამარხი კამერის ჩრდილოეთ ნაწილში სამარხეული ინვენტარი არ დადასტურდა.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. 473) - მოწითალო – მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეციტ, წვრილმარცვლოვანი მინარეგებით ამოღარული ტეხილი და კონცენტრული სახებით, ნაჭდეგებით. აღმოჩნდა ცხვრის ორ თავის ქალას შორის.

2. ღერგი (ინვ. 474) – შავი ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და კეციოთ, წვრილმარცვლოვანი მინარეგებით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სარეცლის სახელურებს შორის, №473 ჭურჭლის სამხრეთით.
3. მძივი (ინვ. 475) (ტაბ. CXXVIII-1; სურ. 288). – პასტის, მოლურჯო ფერის, გოფირებული ზედაპირით. აღმოჩნდა მიცვალებულის მაჯასთან.
4. ისრისპირი (ინვ. 476) (ტაბ. CXXVIII-11). – ობსიდიანის, აღმოჩნდა სამარხის იატაკზე.
5. ანატკეცი (ინვ. 477) (ტაბ. CXXVIII-3; სურ. 289). – ობსიდიანის, აღმოჩნდა №473 და №474 ჭურჭლებს შორის, მიწის ზედაპირიდან 1,25მ სიღრმეზე.
6. ანატკეცი (ინვ. 478) (სურ. 289). – ობსიდიანის, აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში 1მ სიღრმეზე.
7. ანატკეცი (ინვ. 479) (ტაბ. CXXVIII-10; სურ. 290). – ობსიდიანის, აღმოჩნდა მიცვალებულის ზედა კიდურებთან, მიწის ზედაპირიდან 1,20მ სიღრმეზე.
8. ანატკეცი (ინვ. 480) (ტაბ. CXXVIII-2; სურ. 291). – ობსიდიანის, აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო კედელთან 0,40მ დაშორებით 1,10მ სიღრმეზე.
9. ანატკეცი (ინვ. 481) (ტაბ. CXXVIII-8; სურ. 290). – ობსიდიანის,
10. ანატკეცი (ინვ. 482) (სურ. 290). – ობსიდიანის, აღმოჩნდა სამარხის ცენტრში.
11. ანატკეცი (ინვ. 483) (ტაბ. CXXVIII-3; სურ. 292). – ობსიდიანის, აღმოჩნდა კამერის ჩრდილოეთ მხარეს სამარხის კუთხეში.
12. ანატკეცი (ინვ. 484) (ტაბ. CXXVIII-9; სურ. 292). – კაჟის, აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში 1 მ. სიღრმეზე.
13. ანატკეცი (ინვ. 485) (ტაბ. CXXVIII-7; სურ. 292). – ანდეზიტის, აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში 1 მ. სიღრმეზე.

### სამარხი № 91

მდებარეობდა XXV ნაკვეთის მე-10 კვადრატში. (ტაბ. CXIX; სურ. 293-295).

ორმოსამარხია. დასაკრძალავი კამერა (2,00 X 1,55 X 0,65 მ.) დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ, ჩაჭრილია მოყვითალო ფერის გრუნტში. სამარხი კამერის პრეპარაციის დროს 0,30–0,40 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა ხის ძელების ნაშთი, შავი ლაქების სახით, რომლებიც მიმართული იყო სამარხის სიგრძივი და განივი ღერძის გასწვრივ.

ორმოსამარხში დაკრძალული იყო ერთი ინდივიდი, თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოსხრილი.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინვ. 486) – თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.
2. ქოთანი (ინვ. 487) – თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში № 486 ჭურჭლის გვერდით.
3. დერგი (ინვ. 488) – თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, ყავისფერი შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.
4. მძივი (ინვ. 489) (ტაბ. CXXXIII-1; სურ. 296). – მინისებური პასტის, თეთრი. აღმოჩნდა სამარხის ზედაპირზე.
5. ანატკეცი (ინვ. 490) (ტაბ. CXXXIII-2; სურ. 297). ობსიდიანის – აღმოჩნდა № 488 ჭურჭელში.
6. ანატკეცი (ინვ. 491) (ტაბ. CXXXIII-5; სურ. 298). ობსიდიანის – 3 ც. აღმოჩნდა სამარხში, სხვადასხვა სიღრმეზე.

## სამარხი № 92

მდებარეობდა LXXI ნაკვეთის მე-7 კვადრატში. (ტაბ. CXXX; სურ. 299).

მიწის თანამედროვე ზედაპირზე დაფიქსირდა თიხის ძლიერ დაზიანებული ორი ჭურჭელი.

სამარხში აღმოჩნდა:

1. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 492) – თიხა მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. მსხვილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში.
2. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 493) – ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში.
3. ანატკეცი ობსიდიანის (ინვ. 494) (ტაბ. CXXXIII-6; სურ. 300). – აღმოჩნდა № 492 და № 493 ჭურჭლებს შორის.

## სამარხი № 93

მდებარეობდა XL ნაკვეთის მე-8 კვადრატში. (ტაბ. CXXXI; სურ. 301-302).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. იგი მიბჯენილი იყო № 90 სამარხის ქვაწრეზე ჩრდილოეთიდან. ორმოსამარხში (1,30 X 1,10 X 0,35 მ.) დაფიქსირდა თიხის ორი ჭურჭელი.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქილა (ინვ. 495) – შავი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. თიხა წვრილმარცვლოვანი მინარევებით. ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან.
2. დერგი (ინვ. 496) – ლეგა-მოჩაღისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. თიხა წვრილმარცვლოვანი მინარევებით. ამოღარული ტეხილი ხაზებით, ნაჭდევებითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში – № 495 ჭურჭლის ჩრდილოეთ მხარეს.

## სამარხი № 94

მდებარეობდა CLXXXVIII ნაკვეთის მე-11 კვადრატში. (ტაბ. CXXXII; სურ. 303-304).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ქვაყრილი (2,2 X 1,7 მ) შედგება დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ფილებისგან, რომელთა შორის ჩაწყობილია მცირე ზომის ქვები. ყრილი დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ.

ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა ორმოსამარხი (1,75 X 1,25 მ). სამარხის პირიდან 0,20 მ სიღრმეზე, თითქმის მთელ ფართობზე დაფიქსირდა შავი ფერის ლაქა, რომელიც სამარხის იატაკამდე გრძელდებოდა.

სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით ჩრდილოეთისკენ, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. ჩონჩხი ძლიერ დაშლილი იყო. ქვედა ყბის ფრაგმენტები აღმოჩნდა ორმოსამარხის ჩრდილოეთ კედელთან; ზედა ყბის ფრაგმენტები და კბილები დაფიქსირდა ქვედა ყბის სამხრეთით 0,25 მ-ის დაშორებით.

სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა № 1 თიხის ჭურჭელი, რომელიც იდგა ორმოს იატაკიდან 0,40 მ-ით მაღლა, შავი ფერის მიწის მასაზე. № 1 ჭურჭელში აღმოჩნდა მცირე ზომის თიხის ჭურჭელი.

სამარხში ასევე დაფიქსირდა პასტის მძივების რამდენიმე ჯგუფი: ზედა და ქვედა ყბის მახლობლად, მენჯისა და ბარძაყის ქვეშ. ეს

უკანასკნელი ჯგუფი მძივებისა მჭიდროდ იყო მოფენილი 0,05 X 0,06 მ ფართზე.

სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. 497) – თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ჩალისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. თოკისებური ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან.
2. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 498) – ლეგა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით.
3. მძივები I ჯგუფი (ინვ. 499) (ტაბ. CXXXIII-7,9; სურ. 305). – სარდიონი მოწითალო 2 ც. პასტა 60 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის ნეკნებს ქვეშ.
4. მძივები II ჯგუფი (ინვ. 500) (ტაბ. CXXXIII-8; სურ. 306). – სარდიონი მოწითალო 4 ც. პასტა 26 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის ბარძაყის ძვალთან.
5. ანატკეცი (ინვ. 501) (ტაბ. CXXXIII-10; სურ. 307). – ობსიდიანის აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან.

#### სამარხი № 95

მდებარეობდა CLXXXIX ნაკვეთის 1 და მე-4 კვადრატებში. (ტაბ. CXXXIV; სურ. 308-311).

ორმოსამარხი. მოყვითალო ფერის თიხამიწაზე დაფიქსირდა შავი ფერის ლაქა (1,95X1,30მ), რომელზეც შემორჩენილი იყო რამდენიმე მცირე ზომის ქვა.

დასაკრძალავი ორმო გაჭრილია ყვითელი ფერის თიხნარში. დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ორმოს ზომებია 1,65X1,25X0,60მ.

სამარხ კამერაში დაუკრძალავთ ერთი ინდივიდი, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებულის ჩონჩხის ზედა ნაწილი გადაადგილებული ჩანს, ქვედა კიდურები დასავლეთის კედლის მახლობლად დაფიქსირდა. ჩონჩხი ცუდადაა შემორჩენილი.

სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. 502), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და კეცით, ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.
2. დერგი (ინვ. 503), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-მოჩალისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ამოღარული



ხაზებით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.

3. ქილა (ინვ. 504), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეციით. აღმოჩნდა №502 ჭურჭლის სამხრეთით.
4. ქოთანის (ინვ. 505), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევეებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეციით, გოფირებული. აღმოჩნდა №503 ჭურჭლის სამხრეთით.
5. მძივები (ინვ. 506), (ტაბ. CXXXIX; სურ. 312). სარდიონის, მოწითალო ფერის 7ც. აქატის 2ც. პასტის, მწვანე ფერის 1ც. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

### სამარხი № 96

მდებარეობდა CXXXIX ნაკვეთის მე-12 კვადრატსა და CLXXXIX ნაკვეთის მე-3 კვადრატში. (ტაბ. CXXXV; CXXXVI; სურ. 313-314).

ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. აღმოჩნდა №61 სამარხის ქვაწრეზე მიბჯენილი ჩრდილო-დასავლეთიდან. დიდი ზომის ბაზალტის ბრტყელი ფილის (1,36X0,87მ) ქვეშ დადასტურდა ორმოსამარხი (0,85X0,95X0,70მ), რომელშიც აღმოჩნდა თიხის ჭურჭლები.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. დერგი (ინვ. 507), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევეებით, ლეგა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და შავი კეციით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში.
2. დერგი (ინვ. 508), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევეებით, მოყავისფრო-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეციით, , ნაჭდევეებით და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა №507 ჭურჭლის სამხრეთით.

### სამარხი № 97

მდებარეობდა CLXXXVIII ნაკვეთის მე-7,10 კვადრატებში.

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ქვაყრილი დაზიანებული იყო ტექნიკის მიერ.

ორმოსამარხი (2,00 X 1,30 X 0,20მ) დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. აქვს ოვალური ფორმა. ჩრდილოეთ კედელთან დაფიქსირდა თიხის ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. ქილა (ინვ. 509), თიხის, შავი ზედაპირით, ჩალისფერი შიდაპირითა და შავი კეცით,
2. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 510), თიხის, შავი ზედაპირით, ჩალისფერი შიდაპირითა და შავი კეცით.

**სამარხი № 98**

მდებარეობდა CLXXXVIII ნაკვეთის მე-4 კვადრატში. (ტაბ. CXXXVII; სურ. 315-316).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. აღმოჩნდა მიბჯენილი №56 სამარხის ქვაწრეზე, ჩრდილოეთიდან. ყრილი (1,80X1,40მ) შედგებოდა მცირე და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისაგან.

ორმოსამარხში (1,06X0,86X0,17მ) დაფიქსირდა მხოლოდ თიხის ჭურჭელი.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. დერგი (ინვ. 511), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგამორუხო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით, თოკისებური ორნამენტით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში.
2. დერგი (ინვ. 512), თიხის წვრილმარცვლოვანო მინარევებით, შავი ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირით და კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა №511 ჭურჭლის ჩრდილოეთით.
3. ქილა (ინვ. 513), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, მოშავო-მორუხო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა №511 ჭურჭელში.

**სამარხი № 99**

მდებარეობდა CXCVIII ნაკვეთის მე-9 კვადრატში. (ტაბ. CXXXVIII; სურ. 317-318).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. აღმოჩნდა №52 სამარხის ქვაწრის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე მიბჯენილი. ქვაყრილი შემორჩენილია სამარხის სამხრეთ ნაწილთან.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. დერგი (ინვ. 514), (ტაბ. CXXXIX-4). თიხის, შავი ზედაპირით, მონაცრისფრო-მოყავისფრო შიდაპირითა და კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
2. დერგი (ინვ. 515), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ლევა მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მონაცრისფრო-მორუსო კეცით, დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა №514 ჭურჭლის სამხრეთით.
3. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 516), (ტაბ. CXXXIX-2). შავი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით, თიხა წვრილმარცვლოვანი მინარევებიანია. აღმოჩნდა №515 ჭურჭლის სამხრეთ-დასავლეთით.
4. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 517), (ტაბ. CXXXIX-3). მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა ორმოს დასავლეთ ნაწილში №514 და №518 ჭურჭლებს შორის.
5. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 518), (ტაბ. CXXXIX-5). შავი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით. აღმოჩნდა №517 ჭურჭლის სამხრეთით.

#### **სამარხი № 100**

მდებარეობდა CXCVIII ნაკვეთის მე-7 კვადრატში. (ტაბ. XLVII; სურ. 319-320).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. აღმოჩნდა №50-ე სამარხის ქვაწრის ჩრდილოეთით 3 მეტრის დაცილებით. ქვაყრილი ძლიერ ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, ორმოსამარხში (0,80X0,75X0,20მ) მხოლოდ თიხის ჭურჭლები დაფიქსირდა.

#### **სამარხში აღმოჩნდა:**

1. დერგი (ინვ. 519), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო კეცით, აღმოჩნდა ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.
2. დერგი (ინვ. 520), თიხის წვრილმარცვლოვანი მინარევებით, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, აღმოჩნდა №519 ჭურჭლის სამხრეთით.

#### **სამარხი № 101**

მდებარეობდა CCVIII ნაკვეთის მე-12 კვადრატში. (ტაბ. XXXIII; სურ. 321). ორმოსამარხი. მცირე ზომის ორმოში(1,0X0,7X0,3მ) დაფიქსირდა ერთმანეთზე მიდგმული თიხის ჭურჭლები.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ.521), მოშავო ზედაპირით, ყავისფერი შიდაპირითა და კეციტ. აღმოჩნდა ორმოს ჩრდილოეთ ნაწილში.
2. ქოთანი (ინვ.522), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევეებით, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და კეციტ, აღმოჩნდა №521 ჭურჭლის სამხრეთით.

### სამარხი № 102

მდებარეობს CCVIII ნაკვეთის მე-6 კვადრატში. (სურ. 322).  
ქვაყრილი გადის ენერგოდერეფნის ფარგლებს გარეთ.

### სამარხი № 103

მდებარეობდა CCVIII ნაკვეთის მე-12 კვადრატსა და CCXX ნაკვეთის მე-3 კვადრატში. (ტაბ. CXL; სურ. 323-325).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ყრილი დაზიანებული იყო, დაფიქსირდა რამდენიმე მცირე ზომის ქვა.

დასაკრძალავი კამერის (1,95X1,0X0,4მ) ზედაპირიდან 0,20მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა შავი ფერის ლაქა, რომელიც სამარხის იატაკამდე ვრცელდებოდა. სამარხი დამსრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, ჩონჩხი ძლიერ ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინვ. 523), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევეებით, მოშავო-მორუხო ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და კეციტ, ამოღარული კონცენტრული სარტყლებით. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან.
2. ქოთანი (ინვ. 524), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევეებით, მოშავო-მონაცრისფერო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეციტ, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა №525 ჭურჭლის ნატყეხებს შორის.
3. დერგი (ინვ. 525), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევეებით, ლეგა-მოშავო ზედაპირით, მოშავო-მოჩაღისფრო შიდაპირითა და რუხი კეციტ. ამოღარული კონცენტრული და ტალღოვანი ხაზებით, ნატყევეებით, თოკისებური ორნამენტითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.

4. ქოთანი (ინვ. 526), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეციტ, ამოღარული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან.
5. ქოთანი (ინვ. 527), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, მორუხო-მოჩაღისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეციტ, ამოღარული კონცენტრული ხაზებით, ნაჭდევებით, თოკისებური ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კედელთან.
6. ქოთანი (ინვ. 528), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეციტ, ამოღარული კონცენტრული ხაზით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
7. მძივები (ინვ. 529), (სურ. 326). სარდიონის 19ც. პასტის 20ც. მინის 1ც. აღმოჩნდა მიცვალებულის მაჯასთან და გულმკერდის არეში.
8. შურდულის ქვა (ინვ. 530), აღმოჩნდა სამარხის ზედაპირიდან 0,20 მ სიღრმეზე.

#### **სამარხი № 104**

მდებარეობდა CCXX ნაკვეთის მე-2,5 კვადრატებში. (ტაბ. CXLI; სურ. 328-329).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ყრილი დაზიანებული იყო, დაფიქსირდა რამდენიმე მცირე და საშუალო ზომის ქვა. სამარხი კამერა დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ორმოსამარხში შესაძლოა დაკრძალული იყო სამი მიცვალებული. ჩონჩხის ძვლები ძლიერ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

#### **სამარხში აღმოჩნდა:**

1. მძივების I ჯგუფი (ინვ. 531), (ტაბ. CXLII-2; სურ. 330). პასტის 17ც. აქატის 1ც. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
2. მძივების II ჯგუფი (ინვ. 532), (ტაბ. CXLII-3; სურ. 331). პასტის 72ც. აქატის 5ც. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.

#### **სამარხი № 105**

მდებარეობდა CCVIII ნაკვეთის მე-11 კვადრატში. (ტაბ. XXIII).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი.

ქვაყრილი საშუალო ზომის ქვებით იყო შემოფარგლული. ცენტრალურ ნაწილში იდო ბრტყელი ქვა, რომელსაც შემოწყობილი ჰქონდა წვრილი ქვები. ქვის ქვეშ დაფიქსირდა მცირე ზომის შავი ლაქა, რომლის გასუფთავების შემდეგ სამარხის რაიმე ნაშთი არ დადასტურდა.

## სამარხი № 106

მდებარეობდა CCXVIII ნაკვეთის მე-9 კვადრატში. (ტაბ. I, VI, XI).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. აღმოჩნდა №33 სამარხის ქვაწრის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ქვაყრილი (დმ-2,5) შედგებოდა საშუალო და მცირე ზომის ბაზალტის ქვებისაგან. ყრილის ქვეშ აღმოჩნდა ორმოსამარხი (1,00X0,75X0,27), რომელშიც მიცვალებულის ჩონჩხი არ შემორჩენილა, დაფიქსირდა მხოლოდ კბილების ფრაგმენტები.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი (ინვ. 533), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით. ლეგა ჩალისფერი ზედაპირით, შავი შიდაპირითა და კეცით, აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
2. ქილა (ინვ. 534), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. ლეგა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, აღმოჩნდა №533 ჭურჭელთან, აღმოსავლეთის მხრიდან.
3. მძივები (ინვ. 535), (ტაბ. CXLII-4; სურ. 332). პასტის 33ც. აქატი 3ც. აღმოჩნდა მიცვალებულის კბილებთან.

## სამარხი № 107

მდებარეობდა CCXVIII ნაკვეთის მე-9 კვადრატში. (ტაბ. I, VI, XI).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ქვაყრილი, რომელიც მცირე ზომის ბაზალტის ქვებისაგან შედგებოდა, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ორმოსამარხში (0,76X0,46X0,25 ) აღმოჩნდა მხოლოდ თიხის ჭურჭელი.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. 536), მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ამოღარული ტეხილი ხაზებით, თოკისებური ორნამენტით, კოპისებური დანაძერწითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
2. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. 537), შავი ფერის. აღმოჩნდა №536 და №538 ჭურჭლებს შორის.
3. ქოთანი (ინვ. 538), (ტაბ. CXLV-1). თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.
4. ანატკეცი (ინვ. 539), (ტაბ. CXLV-2; სურ. 333). ობსიდიანის, აღმოჩნდა №536 ჭურჭელში.

## სამარხი № 108

მდებარეობდა CCXVIII ნაკვეთის მე-2 კვადრატში. (ტაბ. CXLIII; სურ. 334).

ორმოსამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირზე, ტექნიკის მიერ ძლიერაა დაზიანებული. თიხის ჭურჭლის განლაგების მიხედვით სამარხის ზომებია 1,30X1,10მ.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანის (ინვ. 540), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, ლეგა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ნაჭდევებით, დაკეჭნილი ძირით.
2. ქილა (ინვ. 541), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით.
3. ქოთანის (ინვ. 542), თიხის, ლეგა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, დაკეჭნილი ძირით.
4. ქოთანის (ინვ. 543), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით.

## სამარხი № 109

მდებარეობდა XIII ნაკვეთის მე-7 კვადრატში. (ტაბ. CXLIV; სურ. 335).

ორმოსამარხი. აღმოჩნდა №69 სამარხის ქვაწრის ჩრდილოეთით 1,50მ-ზე. სამარხში (1,10X1,00X0,20მ) დაფიქსირდა მხოლოდ თიხის ჭურჭელი.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანის (ინვ. 544), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში.
2. ღერგი (ინვ. 545), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ჩალისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით, ამოღარული ხაზებითა და ნაჭდევებით. აღმოჩნდა №544 ჭურჭლის სამხრეთით.

## სამარხი № 110

მდებარეობდა CXCVIII ნაკვეთის მე-10 კვადრატში. (ტაბ. XLIV-XLVI; სურ. 336-341).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. აღმოჩნდა №50 სამარხის ქვაწრის შიგნით, ჩრდილოეთ ნაწილში. ქვაყრილის ქვეშ დაფიქსირდა ორმოსამარხი (1,60X1,20X0,70მ), დამხრობილი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ.

ორმოსამარხის ზედაპირიდან 0,45მ-ის სიღრმეზე, კამერის მთელ ფართობზე გამოიკვეთა მართკუთხედის ფორმის მოშავო-მოყავისფრო ლაქა, რომელიც იატაკამდე ვრცელდებოდა. სამარხი ორმოს გრძივი და განივი კედლების გასწვრივ მუქი ფერის ლაქების სახით დაფიქსირდა ძელების ანაბეჭდი.

№546 ჭურჭლის გარშემო აღმოჩნდა ნახშირის ნაშთი, მცირე ზომის რიყის ქვები და წვრილფეხა საქონლის კბილები.

### **სამარხში აღმოჩნდა:**

1. დერგი (ინვ. 546), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.
2. ბადია (ინვ. 547), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, მორუხო-მოყავისფრო შიდაპირითა და რუხი კეცით, გოფირებული. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.
3. მძივები (ინვ. 548), (ტაბ. CXLV-3; სურ. 342). პასტა, თეთრი ფერის 1ც. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, დამწვარი ძელების თავზე.
4. ანატეკეცი (ინვ. 549), (ტაბ. CXLV-5; სურ. 343). ობსიდიანის, აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან.
5. ლამელა (ინვ. 550), (ტაბ. CXLV-4; სურ. 343). ობსიდიანის, აღმოჩნდა ორმოში 0,30მ-ის სიღრმეზე.

### **სამარხი № 111**

მდებარეობდა CCXIX ნაკვეთის მე-4 კვადრატში.

ქვაყრილი გადის ენერგოდერეფნის ფარგლებს გარეთ.

### **სამარხი № 112**

მდებარეობს CXC VII ნაკვეთის მე-11, 12 კვადრატებში.

ქვაყრილი გადის ენერგოდერეფნის ფარგლებს გარეთ.



### სამარხი № 113

მდებარეობს CXC VII ნაკვეთის მე-4, 7 კვადრატებში.  
ქვის ფილები გადის ენერგოდერეფნის ფარგლებს გარეთ.

### სამარხი № 114

მდებარეობს XIII ნაკვეთის მე-2, 5 კვადრატებში. ქვაწრე გადის ენერგოდერეფნის ფარგლებს გარეთ.

### სამარხი № 115

მდებარეობს XIV ნაკვეთის მე-6 კვადრატში.  
ქვაწრე გადის ენერგოდერეფნის ფარგლებს გარეთ.

### სამარხი № 116

მდებარეობდა C უბნის XXIX ნაკვეთის მე-5,6,8,9 კვადრატებში.

ქვეყრილიანი ორმოსამარხი. ქვეყრილი დაზიანებულია ტექნიკის მიერ, შემორჩენილია მხოლოდ ყრილის ჩრდილოეთი ნაწილი. ორმოსამარხს ზემოდან ეფარა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული ბაზალტის დიდი ზომის ქვა (2,10X0,95X0,55მ), რომელიც სამხრეთიდან შემაგრებული იყო ორი საშუალო ზომის ქვით.

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილი დასაკრძალავი კამერა (1,70X1,15X0,80მ) ჩაჭრილი იყო მოყვითალო ფერის გრუნტში. ორმოსამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი.

ჭურჭლებში (ინვ. №552 და №553) დაფიქსირდა საქონლის ძვლები.

### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. 551), (ტაბ. CLVIII-1; სურ. 348). თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით და წნევით დატანილი სამკუთხედისებური ორნამენტით. აღმოჩნდა ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იატაკზე.
2. დერგი (ინვ. 552), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, მოყავისფრო-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით, ნაჭდევებით, თოკისებური ორნამენტითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იატაკზე.
3. ბადია (ინვ. 553), (ტაბ. CLVIII; სურ. 349). თიხის, ლევა-მონაცრისფრო ზედაპირითა და შიდაპირით, ამოღარული კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა ორმოს ცენტრალურ ნაწილში იატაკზე.

4. ბადია (ინგ. 554), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, შავი ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და კეცით, ამოღარული კონცენტრული ხაზით. აღმოჩნდა №551 და №552 ჭურჭლებს შორის.

#### სამარხი № 117

მდებარეობდა C უბნის XXIX ნაკვეთის მე-4,5,7,8 კადრატებში. (ტაბ. CLI-CLIV; სურ. 350-359).

ქვაწრიანი ორმოსამარხი. ქვაწრე შედგებოდა დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისაგან, რომლის შიდა სივრცე შევსებული იყო საშუალო ზომის ქვებით.

ქვაწრის (დმ.-3მ) ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა დიდი ზომის ოთხი ქვა, რომლის ქვეშ აღმოჩნდა ორმოსამარხი (1,50X0,90X0,60მ). დასაკრძალავ კამერაში, რომელიც დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დაფიქსირდა მიცვალებულის თავის ქალას ფრაგმენტები და კბილები.

ქვაწრის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთით 1მ-ზე აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცების დიდი გროვა.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინგ. 555), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, მოყავისფრო-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო კეცით, აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში, იატაკის დონეზე.
2. ქოთანის (ინგ. 556), თიხის, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეცით, ამოღარული ტეხილი და კონცენტრული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ცენტრში, იატაკის დონეზე.

#### სამარხი № 118

მდებარეობდა C უბნის XXIX ნაკვეთის მე-5,8 კვადრატებში. (ტაბ. CLV; სურ. 360-362).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ყრილი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი

ორმოსამარხი (1,20X1,00X0,40მ) ჩაჭრილია მოყვითალო ფერის გრუნტში.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. 557), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, მოყავისფრო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო კეცით, ამოღარული ტალღისებური ხაზებით, თოკისებური ორნამენტითა და დაკეჭნილი ძირით. აღმოჩნდა ორმოს სამხრეთ ნაწილში.
2. დერგი (ინვ. 558), (ტაბ. CLVIII-3). თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა №557 ჭურჭლის გვერდით ჩრდილოეთის მხრიდან.
3. კოჭობი (ინვ. 559), (ტაბ. CLVIII-4). თიხის, მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა №557 და №558 ჭურჭლებს მიყრდნობილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან.

### სამარხი № 119

მდებარეობდა C უბნის XXIX ნაკვეთის მე-2 კვადრატში. (ტაბ. CLVI-CLVII; სურ. 363-364).

ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ქვაყრილი ძლიერ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ორმოსამარხი (1,60X1,10X0,55) ჩაჭრილია მოყვითალო ფერის ქვალორდიან ნიადაგში. დასაკრძალავი კამერის სამხრეთ ნაწილში დაფიქსირდა მიცვალებულის თავის ქალა.

#### სამარხში აღმოჩნდა:

1. დერგი (ინვ. 560), თიხის, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით, მოყავისფრო ზედაპირით, მოჩაღისფრო შიდაპირითა და რუხი კეცით, აღმოჩნდა ორმოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.
დ). **ობსიდიანისაგან** დამზადებულია, როგორც სამეურნეო (საფხეკები, სახვრეტები, საჭრისები და სხვა) ისე საბრძოლო (ისრისპირები) იარაღები. ობსიდიანი გამოყენებულია დაკრძალვის რიტუალში.

ე). **მინისა და მინისებრი** პასტისაგან ძირითადად დამზადებულია სამკაული: მძივები, საბეჭდავები და სამაჯურები. მინის სამაჯურებს გარდა ყველა მასალა დაფიქსირებულია სამარხში.

ვ). **საფარ** – ხარაბას სამაროვანის სამარხებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა წინასწარული მონაცემებით თარიღდება ძვ. წ. მე-XV-XIV სს.

ზ). შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით.

დანართი 1

| არტეფაქტი                             | ძეგლზე<br>მოპოვებული<br>არტეფაქტების<br>რაოდენობა | შემთხვევით<br>მონაპოვარი<br>არტეფაქტების<br>რაოდენობა | საერთო<br>რაოდენობა |
|---------------------------------------|---------------------------------------------------|-------------------------------------------------------|---------------------|
| <b>კერამიკა</b>                       | –                                                 | –                                                     | –                   |
| სადა                                  | 65                                                | 71                                                    | 136                 |
| მოხატული                              | -                                                 | 5                                                     | 5                   |
| ნაჭდეგებიანი                          | 37                                                | -                                                     | 37                  |
| რელიეფური                             | 35                                                | -                                                     | 35                  |
| ამოღარული                             | 61                                                | -                                                     | 61                  |
| მოჭიქული                              | -                                                 | 107                                                   | 107                 |
| <b>კერამიკა სულ</b>                   | <b>198</b>                                        | <b>183</b>                                            | <b>381</b>          |
| <b>ქვა</b>                            | –                                                 | –                                                     | –                   |
| ნახევრადძვირფასი<br>(სარდიონი, აქატი) | 301                                               | 5                                                     | 306                 |
| ქვის ნაწარმი                          |                                                   | 21                                                    | 21                  |
| ობსიდიანი                             | 69                                                | 185                                                   | 254                 |
| <b>ქვა სულ</b>                        | <b>370</b>                                        | <b>211</b>                                            | <b>581</b>          |
| <b>მინა</b>                           | –                                                 | –                                                     | –                   |
| მინა                                  | 4                                                 | 8                                                     | 12                  |
| მინისებრი პასტა                       | 813                                               | -                                                     | 813                 |
| <b>მინა სულ</b>                       | <b>817</b>                                        | <b>8</b>                                              | <b>825</b>          |
| <b>ლითონი</b>                         | –                                                 | –                                                     | –                   |
| ბრინჯაო                               | 6                                                 | -                                                     | 6                   |
| რკინა                                 | -                                                 | 2                                                     | 2                   |
| სხვა (ოქრო)                           | 6                                                 | -                                                     | 6                   |
| <b>ლითონი სულ</b>                     | <b>12</b>                                         | <b>2</b>                                              | <b>14</b>           |
| <b>ძვლოვანი მასალა</b>                | –                                                 | –                                                     | –                   |



|           |                                                             |    |                                    |
|-----------|-------------------------------------------------------------|----|------------------------------------|
| ადამიანის | 44                                                          | -  | 44                                 |
| ცხოველის  | 41 ფრაგმენტი<br>და 4<br>წვრილფეხ<br>ა<br>საქონლის<br>ჩონჩხი | 10 | 51 ფრაგმენტი,<br>4 მთელი<br>ჩონჩხი |

## თავი IV

### ელისო ყვავაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი

#### საფარ-ხარაბას სამაროვანზე ჩატარებული საველე სამუშაოების (2005 წ.) შედეგად მოპოვებული მასალის პალინოლოგიური კვლევა

პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია 9 სამარხის მასალა. ჭურჭლის შიგთავსის გარდა, რომელიც ადრეც ხდებოდა, ჩვენს მიერ აღებული და გამოკვლეულია თითქმის ყველა ორგანიკის ნაშთი, რომელიც სამარხის ფენებში გამოსახულია მუქი ფერის ლაქებით. ამგვარი ახალი მიდგომა გამართლებული იქნა, რადგან სამარხის და ჩონჩხის სხვადასხვა არე ხასიათდება არაერთგვაროვანი პალინოლოგიური სპექტრებით (Kvavadze, Narimanishvili 2006). პალინოლოგიური მასალა დამუშავდა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში.

**პირველ ეტაპზე** მასალის ლაბორატორიული დამუშავება ხდება დღეისათვის არსებული მეთოდის მიხედვით. 100-150 გრამი ნიადაგი (ან სხვა სახის ქანი) თავსდება ფაიფურის 1000 გრამიან ჭიქაში, მას ვასხამთ მწვავე კალიუმის (ან ნატრიუმის) 10 პროცენტის ხსნარს და ვათავსებთ ანთებულ ქურაზე და ვადუღებთ 3-5 წუთის განმავლობაში (თან წკირით ვურევთ). შემდეგ ვაცივებთ და მიღებულ მასას ვხსნით სუფთა წყალში და ვატარებთ წვრილ საცერში, რომლის დანაყოფია 0,1 მილიმეტრი. მოხარშულ და საცერში გატარებულ ნიმუშს ვათავსებთ დიდ ჭიქაში და ვტოვებთ 24 საათის განმავლობაში.

**მეორე ეტაპი.** ნიმუშიდან ნალექს ცენტრიფუგირებით გამოვყოფთ. შემდეგ მას ვრეცხავთ დისცილირებულ წყლით, მანამ, სანამ განარეცხი წყალი არ გახდება გამჭირვალე. მიღებულ მასალას ვასხამთ კადმიუმის მძიმე სითხეს და 20 წუთის განმავლობაში ვახდენთ მის ცენტრიფუგირებას. ამ პროცესის დროს ხდება ნიადაგის და მტრვის მარცვლების განცალკევება. მტვერის მთელი მასა ზემოთ ამოტივტივდება, ჩვენ მას პატარა ჭიქაში გადმოვასხამთ, გავაზავებთ დისცილირებულ წყლით და დავტოვებთ 24 საათით. კადმიუმის მძიმე სითხე მზადდება შემდეგ ნაირათ: 1 კილოგრამი კადმიუმის იოდანი (CdI-2) და 800 გრამი კალიუმის იოდანი (KI) იხსნება 900 გრამ ცხელ დისცილირებულ წყალში, შემდეგ იფილტრება და კეთდება ხსნარი, რომლის კუთრი წონა უნდა იყოს 2,2.

**მესამე ეტაპი.** ვაწარმოებთ მიღებული ხსნარის ცენტრიფუგირებას პატარა სინჯარებში, ვრეცხავთ კადმიუმისგან და ვაკეთებთ

აცეტოლიზს, რის შედეგადაც მტვრის მარცვლები მუქდება. ამის შემდეგ მტვრის მარცვლების იდენტიფიკაცია საკმაოდ ადვილია. აცეტოლიზი კეთდება შემდეგ ნაირად: მზადდება ხსნარი, რომლის შემადგენლობაში შედის 9 წილი ძმრის ანჰიდრიდი და ერთი წილი მარილმჟავა. მასალას წინასწარ ვაშრობთ ძმარმჟავაში დამუშავებით და მისი ცენტრიფუგირებით. აცეტოლიზის ხსნარში მოთავსებულ ნიმუშს ვუკეთებთ აბაზანას (სინჯარას ვღებთ ცხელ წყალში, 2 წუთით, ხოლო წყლის ტემპერატურა უნდა იყოს არა ნაკლებ 80 გრადუსი). მას ისევ ვაცენტრიფუგირებთ 5 წუთით და შემდეგ ხდება ნიმუშის ჯერ გამშრალება ისევ ძმარმჟავის საშუალებით. ბოლოს ვაწარმოებთ ნიმუშის გარეცრვას დისტილირებული წყლით. მოგროვილ მტვერს ვაშრობთ და კვლევისთვის ვათავსებთ გლიცერინში. გამოკვლევისას ვიღებთ თითო წვეთ მასალას და ვამზადებთ პრეპარატს. მიკროსკოპში ხდება მტვრის მასალის იდენტიფიკაცია და მათი დათვლა. ერთ ნიმუშიდან საჭიროა დაითვალოს არა ნაკლებ 200-300 მტვრის მარცვალი.

**მეთხე ეტაპი.** მცენარეთა მტვრის მარცვლების საერთო რიცხვის მიღების შემდეგ ყველა ნიმუშისათვის ხდება პროცენტების გამოთვლა მცენარეთა ეკოლოგიური ჯგუფების მიხედვით და მათი დატანა დიაგრამაზე. პალინოგრამის არწერა და ანალიზი მცენარეული საფარის აღდგენის საშუალებას იძლევა. თავის მხრივ, მცენარეული საფარის ტიპი პალეოკლიმატის რეკონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს. (პირველ ეტაპზე მასალა იხარშებოდა კალიუმის ტუტეში, მეორე ეტაპზე ხდებოდა მისი ცენტრიფუგირება მძიმე სითხეში და მესამე ეტაპზე კი ტარდებოდა მასალის აცეტოლიზი, ანუ შეღებვა), გამოყოფილი იქნა საკმარისი მცენარეთა მტვრის რაოდენობა.

არქეოლოგიური მასალის გარდა ჩვენს მიერ შესწავლილია თანამედროვე ნიადაგი, რომელიც აღებულია გათხრების მიდამოებში და აგრეთვე აქ არსებულ ხორბლიც ნათესებში. დადგინდა რომ აქაურ ნიადაგებში მტვრის მარცვლები კარგად ინახება და თავად პალინოლოგიური სპექტრი კარგად ასახავს მცენარეული საფარის ტიპს.

გამოყენებულია დღეისათვის მიღებული სტანდარტული მეთოდი (პირველ ეტაპზე მასალა იხარშებოდა კალიუმის ტუტეში, მეორე ეტაპზე ხდებოდა მისი ცენტრიფუგირება მძიმე სითხეში და მესამე ეტაპზე კი ტარდებოდა მასალის აცეტოლიზი, ანუ შეღებვა).

**სამარხი 67.** განხილულ სამარხში ახალგაზრდა ქალი იყო დაკრძალული. სამარხიდან აღებული და შესწავლილია 10 სინჯი (სურ. 1, ცხრილი I). განსაზღვრულია 44 მცენარის სახეობა და უამრავი



არაპალინოლოგიური ხასიათის მიკრონაშთი. ყველაზე მდიდარი სპექტრი აღმოჩნდა თავის ქალას ქვეშ აღებული ნიმუშში, სადაც დათვლილია 171 მტვრის მარცვალი. ბალახოვნების გარდა არის აგრეთვე ხემცენარეთა მტვერი. აქ აღმოჩენილია ფიჭვის (*Pinus*), მუხის (*Quercus*) და კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლები. არის აგრეთვე კულტურული სათესი მარცვლოვნების და მათთან არესბული სარეველები. მაგალითად მატიტელა (*Polygonum*), ჩვეულებრივი მატიტელა (*Polygonum aviculare*), ნარშავი (*Carduus*). ადამიანის საცხოვრებლის ეზოს რუდერალებიდან ნაპოვნია მრავალძარევეს და სამყურას მტვრის მარცვლები. ძალზედ საინტერესოა რომ თავის ქალას აღეშა აღებულ ნიმუშში უხვადაა ქარმოდგენილი კურდღლისფრჩხილას (*Lotus*) მტვერი. ბევრია მისი მტვრის შეცვებული გუნდები რას დამახასიათებელია ყვავილის მტვრიანასთვის. ამიტომ უნდა ვიგულისხმოდ, რომ მიცვალებულს თავთან ამ ყვავილის თაიგული ჩაატანეს. ანალოგიური შემთხვევა სხვა სამარხებშიც გვხვდება არა მარტო გვიან ბრინჯაოს პეროდში. ადრებრინჯაოს ფარანის ყორღანშიც დაფიქსირდა კურდღლისფრჩხილას ყვავილების არსებობა (Kvavadze, Kakhiani at al. 2007). ეს მცენარე პარკოსნებთა ოჯახს მიეკუთვნება, მის ყვავილებს კარგი სურნელი აქვს, იგი საუკეთესო საკვებია და თაფლოვანი მცენარეცაა.

არაპალინოლოგიური ნამარხების შორის ბევრია ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები და სამარხში ისინი სავარაუდოდ იმ ფიჭვის ხის ნაშთებია, რომელიც ადამიანს ან თავაქვეშ დაუდეს, ან ფიჭვისგან სამარხის სხვა კონსტრუქციები უნდა ყოფილიყო დამზადებული.

აქ ნაპოვნია აგრეთვე 48 ტექსტილის ბოჭკო, რომლებიც ბამბას და სელს მიეკუთვნებიან. არის ცისფერი და ყვითელი ძაფების ნაშთები.

დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ნიმუში №2, რომელიც კბილებს შორის დარჩენილი ორგანული ნაშთის ანაფხეკია. კულტურულ მცენარეთაგან აქ ნაპოვნია ყურძნის, კაკლის და თხილის მტვრის მარცვლები. ამ სამ კომპონენტებს შორის ჭარბობს ვაზი. მისი მტვრის მარცვლების დაცულობა ძალიან კარგია (ტაბულა I). მტვრის მარცვლები კარგად ღვინოში ინახება. ამიტომ სიკვდილის წინ მიცვალებულს შესაძლოა ღვინო დააღვინეს.

ველური მცენარეთაგან დომინირებს მუხის (*Quercus*) და ლაქაშის (*Typha*) მტვერი. აღნიშნული ორივე მცენარეს სამკურნალო თვისები აქვს და როგორც ჩანს მიცვალებულს მათ ნახარშს ან ნაყენს ასმევდნენ. მუხის მერქნის კანს დღესაც ხმარობენ ზოგიერთი

დაავადების სამკურნალოდ. საინტერესოა ის ფაქტიც რომ განხილულ ნიმუშში მუხის მტვრის მარცვლების გარდა ნაპოვნია მისი მერქნის პარენქიმული უჯრედები.

მუხლებთან აღებულ სინჯშიც კარგადაა წარმოდგენილი როგორც ხემცენარეთა ისე ბალახოვნების მტვერი. ნაპოვნია მუხის, რცხილის, სოჭის, ნაძვის და ფიჭვის მტვრის მარცვლები. ბალახოვნებში ბევრია ეზოს რუდერალები. არის აგრეთვე ხორბლის და მის ნათესებთან არსებული სარეველათა მტვრის მარცვლები. მაგრამ ეზოს და გზისპირა მცენარეთა მტვერი ჭარბობს.

არაპალინოლოგიურ ფოსილების ჯგუფში ბევრია ბამბის ტექსტილის ბოჭკო. არის შეღებილი ძაფების ნაშთებიც (მწვანე და ცისფერი). აღინიშნება ნაკელის სოკოს სპორები, ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, ცხვრის ბეწვები და წყლის მცენარეების (*Dinoflagellata*) ნაშთები.

ბარძაყსა და ფეხების ქვედა ნაწილის არეში აღებულია 4 ნიმუში (ცხრილი I). კულტურული მცენარეთაგან აღმოჩენილია ვაზის და ხორბლის მტვრის მარცვლები. არის ნათესების და ეზოს სარეველები. ნაპოვნია ის სპეციფიური სარეველები, რომლებიც მხოლოდ ვენახში იზრდებიან. ეს არის მაგალითად თაღგამულა (*Brassicaceae*).

არაპალინოლოგიური ნამარხებიდან აღინიშნება ბამბის და სელის ბოჭკოები, ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, კობროფაგების სპორები. ქუსლის ადგილას აღებულ სინჯში ნაპოვნია პარაზიტული ჭიის კვერცხი. ეს არის *Paragonimus ringeri*.

ჩონჩხის ზედა ნაწილში მოპოვებულ ნიმუშებში (ხელების ფალანგები, ბეჭი და ნეკნების არე) ვიპოვეთ მუხის, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის და კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები. ბალახოვნებიდან წარმოდგენილია ხორბალი, მინდვრების და ეზოს სარეველები. არის აგრეთვე კურდღლისფრჩილას ბევრი მტვერი, განსაკუთრებით ხელებთან, რომლებიც სახის არესთან მდებარეობს. არაპალინოლოგიური ფოსილებიდან ბევრია სელის და ბამბის ქსოვილის ბოჭკო, განსაკუთრებით კი ნეკნების ქვეშ, რადგან სინჯში ალბათ მიცვალებულის ტანისამოსის ნაშთი მოხვდა. არის სოკო *Coryneum*-ის ნაშთები, ნაკელის სოკოს სპორები, წყალმცენარეები და ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები.

მაშასადამე, სამარხში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები და მათი ეკოლოგია საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ,

რომ გვიან ბრინჯაოში განხილულ ტერიტორიაზე დღევანდელთან შედარებით უფრო თბილი კლიმატური პირობები არსებობდა. აქ იზრდებოდა მუხის ტყე, ადამიანი მიწათმოქმედებას მისდევდა. მოყავდა ხორბლეული, განვითარებული იყო მებაღეობა და მევერახეობა.

**სამარხი 56.** ეს სამარხიც ქალისაა, სადაც აღებული და შესწავლილია 13 ნიმუში. პალეოლოგიური მასალა გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე 67 სამარხის. მტვრის მარცვლების რაოდენობა აქ საშუალოდ შეადგენს 300-150. მაგრამ აღმოჩენილი მცენარეთა რაოდენობა თითქმის იგივე, რაც ზემოაღნიშნულ სამარხში. აქაც თავის ქალის ქვეშ აღებული სინჯი აღმოჩნდა ყველაზე მდიდარი, სადაც დათვლილია 310 მტვრის მარცვალი (ცხრილი 2). დომინირებს კურდღლისფრჩხილას (Lotus) მტვერი. არის მისი მტვრის შეწებული გუნდები, რაც გამოწვეულია სამარხში მისი ყვავილების არსებობით. ბევრია აგრეთვე ხორბლის და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი. კარგადაა წარმოდგენილი ნათესების სარეველები. არის ხვართქლა, ნაცარქათამა, მატიტელა და სხვა. ეზოს სარეველები კი ცოტაა. საერთოდ არ არის აღმოჩენილი ვაზის მტვრის მარცვლები ან ვენახისთვის დამახასიათებელი სარეველები. ხემცენარეთაგან წარმოდგენილია თხილის, ნაძვის და ფიჭვის მტვრის მარცვლები. არაპალეოლოგიური ხასიათის ნამარხი ბევრია. ჭარბობს ბამბის და სელის ძაფის ნაშთი და დათვლილია 56 ბოჭკო. ფერადი ბოჭკო არ აღინიშნა. არის ფიჭვის მერქნის უჯრედები და სოკოს სპორები. საინტერესოა ის ფაქტიც რომ აქ ნაპოვნია ტკიპების განამარხებული ჯაგრისებიც, რომლებიც შესაძლოა სამარხში ჩატანებულ ყვავილებს ჩაყვა.

თითქმის ანალოგიურა მიცვალებულის სახესთან აღებული ნიმუშის პალეოლოგიური სპექტრი. არის კურდღლისფრჩხილას ბევრი მტვერი. უხვადაა წარმოდგენილი აგრეთვე ხორბლეულობის და მათი ნათესების სარეველები. მაგრამ აქ ეზოს რუდერალების კომპლექსში გამოჩნა ჭინჭრის მტვრის მარცვლებიც. ხემცენარეთა შორის არის რცხილის, ეფედრის, ტყემლის, და ასევე წიწვოვნების მტვრის მარცვლები. რაც შეეხება არაპალეოლოგიური ტიპის ნამარხებს, ბევრია ფიჭვის და მუხის მერქნის უჯრედები, ასკოსპორები და ნაპოვნია ბამბის ქსოვილის რამოდენიმე ბოჭკო.

კბილებშორის მოპოვებული სინჯში მცენარეთა მტვრის ტაქსონომიური სია ძალზედ დიდია (ცხრილი II). კარგია მისი კონსერვაციაც (ტაბულა II). კულტურულ მცენარეთაგან ნაპოვნია კაკლის (Juglans) და ხორბლის (Triticum) მტვერი. დომინირებს ნარშავის (Carduus) მტვრის მარცვლების რაოდენობა. ამ მცენარის ნორჩი ყლორტები კარგი საკვებია და ვფიქრობთ რომ მიცვალებულმა



ნარშავის მხალი მიირთვა და ეს კერძი ნიგვზით შეკაზმული უნდა ყოფილიყო. მხალეულობას მიეკუთვნება აგრეთვე განხილულ სპექტრში აღმოჩენილი ჭინჭრის, მუაუნას და ნაცარქათამას მტვრის მარცვლები.

მუხლების და ფეხების არეში აღებულია 3 სინჯი, რომლის პალინოლოგიური სპექტრები ასევე მდიდარია. ჭარბობს ხორბლის ნათესების სარეველები, თუმცა ეზოს რუდერალებიც მრავალფეროვნებით და სიუხვით ხასიათდება. ხემცენარეთა შორის არის მუხა (Quercus), ცაცხვი (Tilia), ეფედრა (Ephedra), კაკალი (Juglans), თხილი (Corylus), ძახველი (Viburnum) და წიწვოვნები. უნდა აღინიშნოს რომ სოჭის მტვრის რაოდენობა მეტია ნაძვზე, რადგან სოჭი უფრო სითბო და ტენის მოყვარულია. ნაძვს კი უფრო ცივი კლიმატური პირობები ურჩევნია. ტყის ელემენტებს მიეკუთვნება გვიმრა გველის ენა და კილამურა, რომლის სპორები ნაპოვნი მუხლებთან აღებულ სინჯში. განხილულ ნიმუშებში ბევრია ბამბის და სელის ტექსტილის ბოჭკო. არის ფიჭვის მერქნის უჯრედები, ტკიპების ჯაგრები, ასკოსპორები, წყალ მცენარეების ნაშთები.

არანაკლებ საინტერესოა სინჯი, რომელიც აღებულია ბრინჯაოს სამაჯურთან. ეს ნივთი მიცვალებულს ხელზე ეკეთა. ბრინჯაოს უანგმა აქ შესანიშნავად შეინახა არა მარტო მტვრის მარცვლები არამედ ტესტილის ძაფის ბოჭკოები. აქ ბამბის და სელის გარდა ნაპოვნია მატყლის ქსოვილის ბოჭკოებიც, რომელიც ძალზედ იშვიათად თუ გვხვდება ნამარხებში. მისი კონსერვაციისთვის განსაკუთრებული პირობებია საჭირო.

პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს ხორბლის მტვერი და მისი ნათესების სარეველები. არის აგრეთვე ეზოს რუდერალები.

ბრინჯაოს საკინძთან აღებულ მეათე ნიმუშშიც იგივე კანონზომიერებანია როგორც სამაჯურთან. კარგადაა დაცული როგორც მცენარეთა მტვერი ასევე სხვა სახის ნამარხი. საკინძთან აღმოჩენილი იქნა პატარა ზომის კარგად დაცული ქსოვილი (ტაბულა III). მისმა მიკრისკოპიულმა შესწავლამ აჩვენა რომ იგი ბამბისაა (ტაბულა II, სურ. 2, 3). ქსოვილი მიცვალებულის სამოსის ნაშთი უნდა იყოს, რადგან მასში ბევრია მცენარეთა მტვრის მარცვლები. აქ აღმოჩნდა კაკლის და უამრავი ხორბლის მტვერი. ბევრია ეზოს სარეველებიც, მაგრამ ხორბლეულობის მტვრის მარცვლები როგორც სხვა ნიმუშებში აქაც ჭარბობს (ცხრილი II). ხორბალი აღმოჩნდა აგრეთვე პირველი ჭურჭლის შიგთავსში, სადაც დათვლილია 55 ხორბლის მტვრის მარცვალი. თუ რატომ არის ბევრი ხორბლის ნაშთი განხილულ სამარხში, ამაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია. ხორბლის მოყვანა შესაძლოა მიცვალებულისთვის ძირითადი საქმიანობა იყო. ანდა იქნებ ეს დასაკრძალავ რიტუალთანაა

დაკავშირებული და ხორბლის თავთავები ან მარცვლები მოყრილი იქნა მიცვალებულის ირგვლივ. ანალოგიური შემთხვევა მეორდება სამარხ №90-ში (ცხრილი III).

**სამარხი 90.** განხილულ სამარხში მამაკაცია დაკრძალული და პალინოლოგიურად ჯერ-ჯერობით შესწავლილია 11 ნიმუში (ცხრილი III). ამ სამარხის ნიმუშებში ბევრია ხემცენარეთა მტვერი. ესენია მუხა (*Quercus*), რცხილა (*Carpinus*), ცაცხვი (*Tilia*), კაკალი (*Juglans regia*), თელა (*Ulmus*), მურყანი (*Alnus*) და სხვა. ტყის ელემენტების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა აღინიშნება თავის ქალას ქვეშ აღებულ ნიმუშში. ეს მაჩვენებლები 4-5 ჯერ მეტია ვიდრე სამარხების №67 და №56 სინჯებში, სადაც ქალებია დაკრძალული. ხემცენარეთა მტვერი და უამრავი ტყის გვიმრების სპორები ნაპოვნია ფეხების არეშე აღებულ სინჯში. გარდა ამისა პალინოლოგიურ სპექტრში უხვადაა წარმოდგენილი ხორბალი და მისი ნათესების სარეველები. განსაკუთრებით კი ბევრია ხორბლის მტვერი მუცლის, ბარძაყის და ხელების არეშე. მაგრამ ყველაზე დიდი მისი რაოდენობა აღმოჩნდა მეორე ჭურჭელში. აქ დათვლილია 204 ხორბლის მტვერის მარცვალი. ღომის და ქერის მტვერი არის ნაპოვნი ალაპის ჭურჭელში.

საინტერესოა ის ფაქტიც რომ მუხლის ქვეშ და ტერფთან აღებულ სინჯში ნაპოვნია პარაზიტული ჭიის ღორის სოლიტერის (*Taenia solium*) კვერცხები (იხ.სურ.). გარდა ამისა თითქმის ყველა ნიმუშში აღმოჩენილია სელის და ბამბის ტექსტილის ბოჭკო. ზოგიერთ მათგანში კი ნაპოვნია მატყლის ბოჭკო. არის ფიჭვის, მუხის და სხვა ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. აღმოჩენილია ტკიპების და ხოჭო ტყავიჭამიას მატლის ჯაგრები. ბევრია სხვადასხვა სოკოს სპორები და მათ შორის ნაკელის სოკოსიც (*Sordaria*, *Neurospora*, *Sporormiella*).

**სამარხი 89.** აქ 5-6 წლის ბავშვია დამარხული, საიდანაც პალინოლოგიურ ანალიზისთვის აღებული და შესწავლილია 8 ნიმუში. სპექტრებისთვის დამახასიათებელი ბალის, ვენახის და ეხოს სარეველების მრავალფეროვნება და მათი დიდი რაოდენობა (ცხრილი IV). ეს იმ გარემოს ასახვაა, სადაც ბავშვი იზრდებოდა. აგლეფევი საინტერესოა მუცლის არეშე და ფეხებთან აღებული სინჯის სპექტრის შემადგენლობა. აქ ნაპოვნია პარაზიტული ჰელმინთის ღორის სოლიტერის კვერცხების საკმაოდ დიდი რაოდენობა (ტაბულა 7,8). შესაძლოა სწორედ ამ დაავადების გამო მოხდა ბავშვის დაღუპვა.

**სამარხი 85.** განხილულ სამარხში, სადაც მამაკაცია დაკრძალულია პალინოლოგიურად შესწავლილია 11 ნიმუში (ცხრილი V). ამ სამარხშიც მიცვალებულს კუტდღლისფრჩხილას ყვავილები

ჩააყოფეს, რომლის მტერის მარცვლები უხვადაა აღმოჩენილი თავის ქალას და კბილების არეში. ბევრია ხორბლეულების და მათი ნათესების სარეველები. ტყის ელემენტებიც კარგადაა წარმოდგენილი. არის მუხის, რცხილის, მურყნის, ეფედრის, ღვიის, თხილის მტერის მარცვლები. არაპალინოლოგიური ნაშთებიც ბევრია. ესენია სელის და ბამბის ტექსტილის ბოჭკო, ფიჭვის და მუხის მერქნის უჯრედები, ასკოსპორები.

**სამარხი 78.** აქაც მამაკაცი იყო დაკრძალული. აღებული და პალინოლოგიურად შესწავლილია 10 ნიმუში (ცხრილი VI). მასალა მდიდარია, რადგან მტერის დაცულობა კარგია. თავის ქალას ქვეშ აღებულ ნიმუშში 14 ხემცენარეთა და 24 ბალახოვნების მტვერი არის აღმოჩენილი. გარდა ამისა უხვადაა წარმოდგენილი ფიჭვის და სხვა ხეების მერქნის უჯრედები, სოკოს სპორები, ტექსტილის ბოჭკოები, მათ შორიც ფერადებიც.

ხემცენარეთის უგუფიდან პალინოსპექტრში წარმოდგენილია ფიჭვის, ნაძვის, სოჭის, ღვიის, რცხილის, მუხის, ცაცხვის, ეთედრის, ასკილის, თხილის, მურყნის, კაკლის და ძელქვას მტერის მარცვლები. დომინირებს მუხა. არის აგრეთვე კულტურული ვაზის მტვერი. ბალახოვნებში ჭარბობს ხორბლეული ნათესების სარეველები. არის ხორბლის მტერის მარცვლებიც. ნაპოვნია საძოვრების სარეველების მტვერი. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ეზოს რუდერალები. აღმოჩენილია ტყის გვომრების სპორებიც. კბილებიდან აღებულ სინჯში ბევრია ცაცხვის, მრავალძარღვას, ნარშავის და სხვა სამკურნალო მცენარეთა მტვერი. ასეთივე შემადგენლობა, სადაც ბევრია სამკურნალო მცენარე აღმოჩნდა მუცლის არეში. აქვეა მუხის ქერქის და მერქნის პარენქიმული უჯრედები, რომელებიც ასევე მათი ნაყენის ნაშთი უნდა იყოს. ნაპოვნია პარაზიტული ჭიის კვერცხი. არის სელის, ბამბის და შალის ქსოვილის ბოჭკოები.

**აღაპების ჭურჭლის მასალა.** აღაპი №54, ჭურჭელი №1. განხილულ ქოთბიდან ამოღებულ ნიმუშში უხვადაა ქარმოდგენილი ხორბლის მტერის მარცვლები (ცხრილი VII). ბევრია ხორბლის ნათესების სარეველები. ესენია ხვართქლა, მატიტელა, ჩვეულებრივი მატიტელა და სხვა. ცხადია რომ ჭურჭელში ხორბალი ან მისგან დამზადებული საჭმელი უნდა ყოფილიყო. ძალზედ საინტერესოა ამ ჭურჭლის ქვეშ აღებული ნიმუშიც სპექტრი, სადაც აღმოჩენილია 51 კულტურული ვაზის მტვერი. კარგადაა წარმოდგენილი ვენახის სარეველები. უნდა ვიგულისხმოდ რომ ქოთბაბი მოათავსეს ვაზის ფოთლების გროვაზე. ვაზის ფოთოლი კი უებარია წამალია ქალური დაავადების დროს (მაგალითად სისხლის დენის დროს, სკლიაროვსკი 1975) და მისი ნახარში ასევე კურნავს უამრავ სხვა დაავადებებსაც.



ჭურჭელი №2-იც მოთავსებული ოფილა ეთედრის (ცხენის მუხლა) ტოტებზე. ეფედრიდან დღესაც მზადდება ბევრი წამალი.

**აღაპი 79.** პირველ ჭურჭელში აღმოჩენილია ცხვრის ბეჭვები, შესაძლოა აქ ან მისი ხორცი იყო, ან მის ჩხიმზე დამზადებული საჭმელი. აქ მეორე ჭურჭელში ხორბლეულის პროდუქტი უნდა ყოფილიყო (ცხრილი VII). მესამე ქოთანში ალბათ წყალი იყო, რადგან აქ არის წყალმცენარეების ნაშთები. ჭყალი იყო აგრეთვე აღაპი № 72-ის მეორე ჭურჭელში.

მაშასადამე, განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ გვიან ბრინჯაოს პერიოდში საფარ-ხარაბას მიდამოებში სულ სხვა ლანდშაფტები იყო. თბილი კლიმატი საშუალებას იძლეოდა რომ აქ გაზრდილიყო ფართოფოთლოვანთა ტყე, სადაც დომინირებდა მუხა, ცაცხვი, რცხილა. იყო ძელკქვა. ამ პირობებში ადამიანი მიწათმოქმედებას მიყვებოდა. მოყავდა ხორბალი, ქერი და სხვა მარცვლოვნები. კარგად განვითარდა მეზღვრობა და მევენახეობა. მეცხოველეობაც იყო, მაგრამ მას დიდი გაქანება არ უნდა ქონოდა.

იმ დროს ადამიანი ხმარობდა სელის, ბამბის და შალის ქსოვილს. ამ პერიოდისთვის ბამბის აღმოჩენა სრულიად ახალია არა მარტო კავკასიის რეგიონისთვის, არამეთ ახლო აღმოსავლეთისთვისაც, რადგან ყველაზე ადრეული ბამბის ტექსტილის ნაშთი აღმოჩენილია თურქეთში ძვ. პირველ ათასწლეულის ძეგლში (Zohary, Hopf 1993).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Складковский Л.Я. 1975. Целебные свойства пищевых растений. Россельхозиздат, Москва.
2. Kvavadze E., Kakhiani K. 2007. Extrafossils in pollen spectra of the samples of organic formation from the Paravani Kurgan (the Early Bronze Age, Georgia). *Vegetation History and Archaeobotany* (in pres).
3. Kvavadze E., Narimanishvili G. 2006a. An experimental approach to the palynology of remains from Middle Bronze Age Burials in Saphar-Kharaba, southern Georgia). *Abstr. of 7-th European Palaeobotany-Palynology Conference, Prague* , p.77-78.
4. Kvavadze E., Narimanishvili G. 2006b. The remains of *Gossipium*, *Linum* and sheep hairs as textile fibers of cotton, flax and wool in palynological material from Bronze Age burials. *Palyno-Bulletin*, vol.2. No.1-4, Innsbruck, p.34-37.
5. Zohary, D., Hopf, M., 1993. *Domestication of plants in the Old World*. Oxford: Clarendon Press.

ტაბულების აღწერილობა:

- ტაბულა I. საფარ-ხარაბა, სამ. 67. კბილების შორის აღმოჩენილი კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები (x600).
- ტაბულა II. საფარ-ხარაბა, სამ. 56. სამარხის იატაკის ორგანულ ნაშთებიდან მოპოვებული მცენარეთა მტვრის მარცვლები (გადიდება 300); 1- spirogira (Spirogira); 2-ფიჭვი (Pinus); 3-თხილი (ჩორელუს); 4,5 – გვიმრუჭა (Dryopteris); 6,7-ეთედრა (Ephedra); 8- გვიმრანაირი (Polypodiaceae); 13,14-ნარი (ჩარდელუს); 15-ციხორიუმი (Cichorioidae); 16-undif. NAP; 17-ქერი (Hordeum); 18- კურდღლისფრჩხილა (Lotus); 19-21-ხორბალი (Triticum); 22, 23-ავშანი (Artemisia).
- ტაბულა III. საფარ-ხარაბა, სამ.56-ში აღმოჩენილი ბამბის ქსოვილის ნაშთი (1) და მისი ბოჭკო (2,4).
- ტაბულა IV. საფარ-ხარაბა, სამ. 90, ნიმუში №16ა. 1,2 – ქერი (Hordeum); 3-ნარი (Carduus); 4-Serratula; 5-ციხორიუმი (Cichorioidae); 6-ღორის ბირკა (Xanthium); 7-ნაცარქათამა (Chenipodium album); 8,9,12 – მიხაკისნაირები (Caryophyllaceae); 10-მატიტელა (Polygonum); 11-ბაია (Ranunculus); 13-ვაზი (Vitis vinifera); 14,15-ნაცარქათამასნაირები (Chenopodiaceae).
- ტაბულა V. საფარ-ხარაბა, სამ. 90, ნიმუში 17ა. 1,2-სოჭი (Abies); 3-5 თხილი (Corylus); 7-ცაცხვი (Tilia); 8-რცხილა (Carpinus caucasica); 9- კაკალი (Juglans regia); 10-გვიმრანაირი (Polypodiaceae); 11-ფიჭვი (Pinus); 12-მურყანი (Alnus), გადიდება 300 ჯერ.
- ტაბულა VI. საფარ-ხარაბა, სამ. 90, ნიმ. 30ა. მარყელის ძაფის ბოჭკო, გადიდება x700.
- ტაბულა VII. საფარ-ხარაბა, სამ. 89, მუცლის არე. 1,2-სოჭი (Abies); 4- ცრიპტოგრამა (Cryptogramma crista); 5-გვიმრა გველის ენა (Ophiolossium vulgatum); 5,6- სოკოს სპორა; 7- olypodiaceae; 8- ხორბალი (Triticum); 9,10 – Sordaria; 11,12,20,21 – ციხორიუმუ (Cichorioidae); 14-მურყანი (Alnus); 15,28 – ასტრა (Astewr); 16-თელა (Ulmus); 17- ია (Viola); 19-რცხილა (Carpinus orientalis); 22,25 – მიხაკისნაირები (Caryophyllaceae); 23-მუხა (Quercus); 26,29 – ნაცარქათამასნაირები (Chenopodiaceae); 27-მურყანი (Alnus); 30- Zygnema; 31-სოკოს გიფი; 32, 33-ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები.
- ტაბულა VIII. საფარ-ხარაბა, სამ. 89, მუცლის არე. 1-13 – პარაზიტული ჭიის ღორის სოლიტერის (Taenis solium) განამარხებული კვერცხები; 14-17 ნაკელის სოკო სორდარია (Sordarya type); 18-20 ღვიმრა ვენერას თმა (Anograma)



### ცხრილების აღწერილობა:

ცხრილი I. საფარ-ხარაბა, სამარხი 67. ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის და სპორების რაოდენობა.

ცხრილი II. საფარ-ხარაბა, სამარხი 56. ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის და სპორების რაოდენობა.

ცხრილი III. საფარ-ხარაბა, სამარხი 90. ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის და სპორების რაოდენობა.

ცხრილი IV. საფარ-ხარაბა, სამარხი 89. ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის და სპორების რაოდენობა.

ცხრილი V. საფარ-ხარაბა, სამარხი 85. ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის და სპორების რაოდენობა.

ცხრილი VI. საფარ-ხარაბა, სამარხი 78. ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის და სპორების რაოდენობა.

ცხრილი VII. საფარ-ხარაბა, სამარხი 54, 79. ორგანულ ნაშთებში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის და სპორების რაოდენობა.


### სურათების აღწერვა:

სურ. 1. სამარხი 67: ა – გათხრების პირველი ეტაპი; ბ-გათხრების ბოლო ეტაპი. წითელი რგოლებით და ისრებით ნაჩვენებია ნიმუშების აღების ადგილების მახვენებელია.

სურ. 2. ქალისა და მამაკაცის თავის ქალის არედან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრების შედარება.



საფარხარაბა, სამარხი 67 კბილებს შორის აღმოჩენილი  
ვაზის მტვერი



საფარხარაბა, სამარხი 56










Plate I.1-Fossil cotton textile from bur.56,x20; 2,3-Fossil fibers of cotton from bur.56; 4,5-Fossil fibers of cotton from bur.71.All -x600




საფარ-ხარაბა, სამარხი 90 ცხვარი






სამარხო 90, 17ა




საფარ-ხარაბა, სამარხი 90 30ა





საფარხარაბა, სამარხი 89


VIII



საფარხარაბა, სამარხი 89




სურათები




სურ. 1

Men's



Women's



■ Cultivated

■ Wild

სურ. 2



# ცხრილი 1

| სფარ-ხარაბა, სამარხი №6     | ქალასოა | კბილეობან | მუსლეები | ბარბაქოა | ფესებთან | წვივთან | ქუსლთან | ხელეობან | ბუჭთან | ნეკნებთან |  |  |  |
|-----------------------------|---------|-----------|----------|----------|----------|---------|---------|----------|--------|-----------|--|--|--|
| ნიმუშის ნომერი              | 1       | 2         | 3        | 4        | 5        | 6       | 7       | 8        | 9      | 10        |  |  |  |
| ხემცენარეთა ჯგუფი:          |         |           |          |          |          |         |         |          |        |           |  |  |  |
| <i>Abies nordmanniana</i>   | 0       | 2         | 1        | 1        | 0        | 0       | 1       | 0        | 0      | 2         |  |  |  |
| <i>Picea orientalis</i>     | 0       | 0         | 1        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 1      | 0         |  |  |  |
| <i>Pinus</i>                | 6       | 7         | 7        | 5        | 0        | 6       | 2       | 5        | 2      | 5         |  |  |  |
| <i>Juglans regia</i>        | 0       | 1         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Carpinus caucasica</i>   | 0       | 0         | 1        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Carpinus orientalis</i>  | 0       | 1         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Alnus</i>                | 0       | 4         | 0        | 0        | 1        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Quercus</i>              | 1       | 24        | 2        | 0        | 1        | 2       | 0       | 0        | 0      | 1         |  |  |  |
| <i>Corylus</i>              | 0       | 1         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Vitis vinifera</i>       | 1       | 3         | 0        | 0        | 0        | 1       | 0       | 0        | 1      | 0         |  |  |  |
| ხემცენარეთა ჯგუფის ჯამი     | 8       | 43        | 12       | 6        | 2        | 9       | 3       | 5        | 4      | 8         |  |  |  |
| ბალახოვანთა ჯგუფი:          |         |           |          | 8        |          |         |         |          |        |           |  |  |  |
| Poaceae                     | 3       | 7         | 5        | 6        | 4        | 2       | 4       | 4        | 0      | 3         |  |  |  |
| <i>Triticum</i>             | 0       | 0         | 2        | 3        | 0        | 4       | 0       | 4        | 0      | 3         |  |  |  |
| <i>Cerealia</i>             | 4       | 0         | 4        | 7        | 2        | 0       | 0       | 0        | 1      | 6         |  |  |  |
| Chenopodiaceae              | 0       | 3         | 0        | 0        | 2        | 3       | 2       | 2        | 0      | 2         |  |  |  |
| <i>Artemisia</i>            | 0       | 0         | 1        | 0        | 0        | 0       | 2       | 0        | 0      | 1         |  |  |  |
| <i>Aster type</i>           | 2       | 2         | 3        | 0        | 0        | 3       | 3       | 3        | 5      | 3         |  |  |  |
| <i>Achillea</i>             | 0       | 0         | 0        | 0        | 6        | 0       | 2       | 0        | 0      | 3         |  |  |  |
| Cichorioideae               | 5       | 6         | 8        | 5        | 21       | 5       | 10      | 11       | 4      | 13        |  |  |  |
| <i>Carduus</i>              | 3       | 4         | 2        | 2        | 1        | 3       | 0       | 1        | 3      | 2         |  |  |  |
| <i>Fagopyrum</i>            | 0       | 0         | 0        | 0        | 2        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Polygonum type</i>       | 4       | 2         | 2        | 6        | 2        | 6       | 0       | 5        | 3      | 0         |  |  |  |
| <i>Polygonum bistorta</i>   | 0       | 0         | 0        | 0        | 0        | 1       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Polygonum persicaria</i> | 0       | 0         | 0        | 0        | 1        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Alisma</i>               | 0       | 1         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Convovulus</i>           | 0       | 0         | 0        | 2        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Ranunculus</i>           | 0       | 0         | 2        | 3        | 1        | 0       | 1       | 0        | 1      | 1         |  |  |  |
| <i>Knautia</i>              | 0       | 0         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 1         |  |  |  |
| Apiaceae                    | 0       | 3         | 0        | 0        | 2        | 2       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| Caryophyllaceae             | 0       | 0         | 2        | 0        | 5        | 0       | 0       | 2        | 0      | 2         |  |  |  |
| Saxifragaceae               | 0       | 0         | 0        | 3        | 2        | 0       | 2       | 1        | 0      | 1         |  |  |  |
| Boraginaceae                | 0       | 0         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 2        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Plantago m/m</i>         | 1       | 0         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 1        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Plantago lanceolata</i>  | 0       | 0         | 1        | 0        | 0        | 0       | 0       | 1        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Typha</i>                | 0       | 15        | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Lotus type</i>           | 135     | 0         | 4        | 6        | 0        | 12      | 2       | 35       | 0      | 13        |  |  |  |
| <i>Trifolium</i>            | 2       | 0         | 1        | 3        | 1        | 0       | 0       | 2        | 0      | 0         |  |  |  |
| Brassicaceae                | 0       | 0         | 0        | 0        | 1        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Sphagnum</i>             | 0       | 1         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 1        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Bothrychium lunaria</i>  | 0       | 0         | 3        | 1        | 0        | 0       | 0       | 2        | 0      | 0         |  |  |  |
| Polypodiaceae               | 3       | 2         | 2        | 2        | 9        | 4       | 3       | 5        | 2      | 2         |  |  |  |
| <i>Polypodium vulgare</i>   | 1       | 0         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 0         |  |  |  |
| <i>Asplenium</i>            | 0       | 0         | 0        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 1         |  |  |  |
| Undeterminate NAP           | 0       | 0         | 3        | 0        | 0        | 0       | 0       | 0        | 0      | 6         |  |  |  |
| ბალახოვანთა ჯამი            | 163     | 46        | 45       | 49       | 62       | 45      | 31      | 82       | 19     | 63        |  |  |  |
| პალინომორფების საერთო ჯამი: | 171     | 89        | 57       | 55       | 64       | 54      | 34      | 87       | 23     | 71        |  |  |  |

## ცხრილი 2

| საფარ-ხარაბა, სამარხი №5   | კლასი | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე | სახე |
|----------------------------|-------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| ნიმუშის ნომერი             | 1     | 2    | 3    | 4    | 5    | 6    | 7    | 8    | 9    | 10   | 11   | 12   | 13   | 14   | 15   | 16   | 17   |
| ნიმუშის ნომერი             | 1     | 2    | 3    | 4    | 5    | 6    | 7    | 8    | 9    | 10   | 11   | 12   | 13   | 14   | 15   | 16   | 17   |
| სემკენარეთა ჯგუფი:         |       |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Abies                      |       | 6    | 3    | 8    | 5    | 5    | 10   | 3    | 6    |      |      |      |      |      |      |      | 2    |
| Picea orientalis           | 1     | 1    | 3    |      | 1    | 1    | 4    |      |      |      |      |      |      |      |      |      | 3    |
| Pinus                      | 15    | 22   | 18   | 33   | 40   | 11   | 60   | 21   | 12   | 4    | 19   | 17   |      |      |      |      |      |
| Juglans regia              |       |      | 2    | 1    |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Carpinus caucasica         |       | 2    | 1    |      |      |      | 2    |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |
| Carpinus orientalis        |       |      |      |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Alnus                      |       |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Quercus                    |       |      | 1    | 1    |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |
| Tilia                      |       |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Corylus                    | 2     |      |      | 3    |      |      | 3    |      |      |      |      |      |      |      |      |      | 2    |
| Ephedra                    |       | 1    | 1    | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |
| Evonymus                   |       |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Prunus                     |       | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Rosaceae                   |       |      |      |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Viburnum                   |       |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| სემკენარეთა ჯგუფის ჯამი    | 18    | 33   | 31   | 48   | 47   | 17   | 79   | 28   | 20   | 6    | 24   | 24   | 4    |      |      |      |      |
| ბალახოვანთა ჯგუფი:         |       |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Poaceae                    | 9     |      | 1    |      |      |      |      | 4    | 5    | 6    | 6    | 2    | 1    | 2    |      |      |      |
| Triticum                   | 17    | 1    | 5    | 4    | 4    |      | 29   | 3    | 39   | 49   | 55   | 3    |      |      |      |      |      |
| Cerealia                   | 19    | 2    | 4    |      | 1    | 1    | 14   | 4    | 13   | 32   | 12   | 2    |      |      |      |      |      |
| Chenopodiaceae             | 4     | 2    | 2    | 2    | 2    | 3    | 3    |      | 1    | 1    |      |      |      |      |      |      |      |
| Chanopodium album          | 1     |      |      |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Artemisia                  | 3     |      |      |      | 1    | 2    | 2    |      | 1    |      | 3    |      |      |      |      |      |      |
| Artemisia annua            |       | 4    | 4    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Aster type                 | 5     | 2    | 6    | 15   |      | 6    | 4    | 3    |      |      | 8    | 6    | 3    |      |      |      |      |
| Achillea                   |       |      | 1    | 7    |      | 4    |      |      | 1    | 1    |      |      |      |      |      |      |      |
| Cichorioideae              | 16    | 23   | 15   | 88   | 62   | 19   | 16   | 16   | 2    | 3    | 18   | 32   | 5    |      |      |      |      |
| Carduus                    | 3     | 26   | 38   | 13   | 12   | 12   | 3    | 10   | 1    | 2    | 12   | 1    | 2    |      |      |      |      |
| Cirsium                    |       |      | 2    | 3    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Fagopyrum                  | 1     |      | 2    | 2    | 3    |      |      | 5    |      | 2    | 5    |      |      |      |      |      |      |
| Serratula                  | 2     |      | 2    | 2    |      |      | 1    |      | 2    | 2    | 1    |      |      |      |      |      |      |
| Polygonum type             | 7     | 12   | 8    | 5    | 10   | 18   | 5    | 11   | 4    | 1    | 14   | 3    |      |      |      |      |      |
| Polygonum aviculare        |       |      |      |      |      |      |      |      |      |      | 3    |      |      |      |      |      |      |
| Polygonum bistorta         |       |      |      |      |      |      |      | 1    | 3    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Convolvulus                | 1     |      |      |      | 1    |      | 1    |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |
| Ranunculus                 | 3     |      | 2    | 2    | 4    | 7    | 4    |      |      | 3    |      | 1    |      |      |      |      |      |
| Knautia                    |       |      |      |      | 1    |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Xanthium                   |       |      | 1    |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Rumex                      |       |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Apiaceae                   |       |      | 4    | 5    |      | 3    |      | 2    |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Caryophyllaceae            | 2     | 5    | 9    | 4    | 5    | 1    | 4    | 3    | 2    |      | 2    | 2    | 2    |      |      |      |      |
| Cerastium                  |       |      |      |      | 2    | 4    |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |
| Saxifragaceae              |       |      |      |      |      | 6    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Boraginaceae               |       |      |      | 3    | 5    | 6    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Plantago m/m               |       |      |      |      | 2    | 3    |      | 1    |      | 2    |      |      |      |      |      |      |      |
| Plantago lanceolata        |       |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Fragaria type              |       |      | 2    |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Urtica                     |       | 1    | 2    |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Lotus type                 | 180   | 88   | 6    |      | 8    | 20   | 30   | 2    | 6    | 30   |      |      |      |      |      |      |      |
| Brassica                   |       |      |      |      |      |      |      |      | 2    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Sphagnum                   |       |      |      |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |
| Bothrychium lunaria        | 5     | 1    | 2    | 1    | 1    | 2    | 4    | 2    |      |      | 4    |      |      |      |      |      |      |
| Ophioglossum               |       |      | 1    | 1    |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |
| Polypodiaceae              | 3     | 10   | 10   | 5    | 2    | 8    | 10   | 21   | 3    | 2    | 5    | 2    | 1    |      |      |      |      |
| Polypodium vulgare         |       |      |      | 1    | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Polypodium serratum        |       |      |      |      |      |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Asplenium                  |       |      | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Cryptogramma crispa        |       |      |      | 1    | 1    |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |      |
| Undeterminate NAP          | 9     | 11   | 5    | 5    |      | 5    | 8    | 6    | 4    | 3    |      |      |      |      |      |      |      |
| ბალახოვანთა ჯამი           | 290   | 188  | 134  | 169  | 128  | 130  | 144  | 96   | 94   | 142  | 144  | 53   | 15   |      |      |      |      |
| პალეონორგების საერთო ჯამი: | 308   | 221  | 165  | 217  | 175  | 147  | 223  | 124  | 114  | 148  | 168  | 77   | 19   |      |      |      |      |

### ცხრილი 3

| საფარ სარაბა, ს.მ. № 90       | ქალასთან მუხლები | ბარბაქოსი | ფეხი მარ | ფეხი მარ | ქუსლიანი | ხელების | მუცელთა | ჭურჭ.№2 | აღაბი ჭ.1 | აღაბი ჭ.2 |     |
|-------------------------------|------------------|-----------|----------|----------|----------|---------|---------|---------|-----------|-----------|-----|
| ნიმუშის ნომერი                | 1                | 2         | 3        | 4        | 5        | 6       | 7       | 8       | 9         | 10        | 11  |
| ხემცენარეთა ჯგუფი:            |                  |           |          |          |          |         |         |         |           |           |     |
| <i>Abies nordmanniana</i>     | 7                | 17        | 12       | 4        | 5        | 6       | 3       | 13      |           | 2         | 6   |
| <i>Picea orientalis</i>       | 2                | 5         | 1        |          | 1        | 16      | 3       | 3       |           |           | 2   |
| <i>Cedrus libani</i>          |                  |           |          | 1        |          |         |         |         |           |           |     |
| <i>Pinus</i>                  | 32               | 37        | 42       |          | 8        |         | 23      | 25      | 9         | 4         | 54  |
| <i>Juniperus</i>              |                  |           |          |          |          |         | 1       |         |           |           |     |
| <i>Betula</i>                 |                  |           |          |          |          |         |         |         | 1         |           |     |
| <i>Juglans</i>                | 1                |           |          |          |          |         |         |         |           |           |     |
| <i>Fagus orientalis</i>       |                  |           |          |          |          |         |         |         |           |           |     |
| <i>Carpinus caucasica</i>     | 1                |           |          |          |          |         | 1       | 1       |           |           | 1   |
| <i>Carpinus orientalis</i>    |                  | 2         |          |          |          |         |         |         | 1         |           |     |
| <i>Alnus</i>                  | 27               | 9         | 4        |          | 1        |         | 2       | 1       | 3         |           |     |
| <i>Ulmus</i>                  | 1                |           |          |          |          |         |         |         |           |           |     |
| <i>Quercus</i>                |                  | 1         |          |          |          |         |         |         | 2         |           |     |
| <i>Tilia</i>                  |                  | 1         |          |          |          |         |         |         |           |           |     |
| <i>Plantago m/m</i>           |          | 1                  |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Plantago lanceolata</i>    | 1        |                    |                    | 2                  |                    |                    |          |          | 1  |
| <i>Lotus</i>                  |          |                    |                    |                    | 1                  |                    |          |          |    |
| Liliaceae                     |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Colchicum</i>              |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Trifolium</i>              |          | 1                  |                    | 1                  |                    |                    |          |          |    |
| Brassicaceae                  | 1        |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Typha</i>                  |          | 1                  |                    | 2                  |                    |                    |          |          |    |
| <i>Alisma</i>                 |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Sparganium</i>             |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Phragmites</i>             |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Sphagnum</i>               |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Lycopodium</i>             |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Lycopodium selago</i>      |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Bothrychium lunaria</i>    | 3        | 1                  |                    |                    | 1                  |                    | 1        |          |    |
| <i>Ophioglossum</i>           |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| Polypodiaceae                 | 3        | 3                  | 4                  | 4                  | 3                  |                    | 19       | 4        | 3  |
| <i>Polypodium serratum</i>    |          |                    |                    |                    |                    |                    |          | 1        |    |
| <i>Polypodium vulgare</i>     |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Asplenium</i>              |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Asplenium ruta-muraria</i> |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Dryopteris</i>             |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Cryptogramma crispa</i>    |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Pteris cretica</i>         |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| <i>Adiantum</i>               |          |                    |                    |                    |                    |                    |          |          |    |
| Undeterminate NAP             |          |                    |                    | 2                  |                    |                    | 2        |          | 2  |
| ბალახოვანთა ჯამი              | 73       | 62                 | 33                 | 41                 | 34                 | 17                 | 84       | 80       | 58 |
| პლანტორუმების საერთო ჯამი:    | 79       | 123                | 49                 | 99                 | 38                 | 19                 | 122      | 129      | 71 |

თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (KP-120)  
საფარ-ხარაბას სამაროვნის ოსტეოლოგიური მასალის შესწავლის  
შედეგები

ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა ტიპობრივად საკმაოდ ერთგვაროვანი სურათი. სამარხების უმრავლესობაში აღმოჩნდა არა ზრდასრული ცხვრების ნაშთები (სამ შემთხვევაში – თოხლი ცხვრისა და ერთში ბატკნის) სრული ჩონჩხის სახით. მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩენილია ზრდასრული ცხოველების ძვლები. ცხვრების ძვლების გარდა ზოგიერთ სხვა სამარხებში აღმოჩნდა აგრეთვე ძროხის ნაშთიც, უფრო ხშირად კიდურების ძვლების და მალეების სახით.

რაც შეეხება საფარ-ხარაბაში აღმოჩენილ ძროხის ჯიშს, პატარა ტანის იყო და სავარაუდოდ, ახლო იდგა ეგრეთ წოდებულ ხევსურულ ძროხასთან. ასეთი ჯიშის ძროხების ნაშთი დიდი რაოდენობით მოიპოვება მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიურ ძეგლების უმრავლესობაზე, გარდა თრიალეთის კულტურის ძეგლებისა, სადაც ორი ჯიშის ძროხა არის დადასტურებული: პატარა ხევსურული აბორიგენული ძროხა (*Bos taurus brachyceros*) და დიდი ძროხა (*Bos taurus primigenius*) №85 სამარხში აღმოჩენილი ბეჭი და კოჭი (ინგ№705) სავარაუდოდ სწორედ *Bos primigenius*-ის ჯიშის წარმომადგენელს ეკუთვნის. თრიალეთის კულტურის ყორღანებში თავდაპირველად ამ საკმაოდ დიდი ზომის ძროხის ნაშთები აღმოაჩინა ბ. კუფტინმა. ცნობილი პალეოზოოლოგის ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის აზრით, ამ ჯიშის ხარის თავისქალისა და სხვა ძვლების მორფოლოგია არ განისაზღვრება მსგავსი უკრაინული და უნგრული რუხი ჯიშებისგან და ამიტომ ამ მეცნიერის აზრით იგი შეგვიძლია იგივე *Bos taurus primigenius*-ის ფორმას მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება თრიალეთის დიდი ზომის ძროხის ჯიშს, არ გამოვრიცხავთ, რომ ეს განსაკუთრებით დიდი ზომის ძროხის ჯიში გამოიყენებოდა სარიტუალო დანიშნულებით ძვ.წ. II ათასწლეულებში თრიალეთის კულტურის შემქმნელი ტომების მიერ. საინტერესოა, რომ უფრო ადრინდელ პერიოდში (ადრებრინჯაოს ხანაში) დიდი ზომის ძროხების ნაშთი არ დგინდება. იმდროინდელ ძეგლებში ნაპოვნი იქნა მხოლოდ პატარა ზომის ჯიში, მსგავსი ხევსურული ჯიშის ძროხისა (*Bos taurus brachyceros*).



ამ ორი ცხოველის ძვლების გარდა საფარხარაბაში ნაპოვნი იქნა აგრეთვე გოჭის ნაშთი რომელიც აღმოჩნდა (სამარხი №110) კედელთან.

გარდა ზემოთ აღნიშნული შინაური ცხოველების ნაშთისა საფარხარაბას №50 სამარხში აგრეთვე აღმოჩნდა გარეული ცხვრის *Ovis orientalis*-ის მხრის ძვალი. ეს მონაპოვარი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვინაიდან, თანამედროვე ეპოქაში გარეული ცხვარი ანუ მუფლონი, კავკასიის რეგიონში, მხოლოდ სომხეთშია შემორჩენილი.



სურ. 1. სამარხი № 85, ინვ.1008



სურ.2. სამარხი № 90, ობგ.1022



სურ. 3. სამარხი № 90, ობგ.1014





სურ. 4. სამარხი № 50, ინვ.991



სურ. 5. სამარხი № 36, ინვ.989





სურ. 6. სამარხი № 50, ივ.991



სურ. 7. სამარხი № 91, ივ.716



თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საფარ-ხარაბას სამაროვნის (KP-120) მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება.

საფარ-ხარაბას სამაროვანი შუაბრინჯაოს ხანითაა დათარიღებული (გ. ნარიმანაშვილი). საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ანთროპოლოგიური მასალა, რომელიც ამ პერიოდს განეკუთვნება ძალზედ ფრაგმენტულია. 18 მამაკაცის თავის ქალაზე ნიშანთა უმეტესობა შესწავლილია მხოლოდ ოთხზე. დედაკაცების (20) თავის ქალას დაცულობის ხარისხი კიდევ უფრო ცუდია, ამიტომ შუაბრინჯაოს ხანის ნებისმიერი მასალა იქნეს დიდ მნიშვნელობას.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე ნავთობსადენის დერეფანში გათხრილი სამარხებიდან მხოლოდ 31-ში დაფიქსირებულია ადამიანის ძელოვანი ნაშთი, რომელთა იდენტიფიკაცია სქესისა და ასაკის მიხედვით, ასევე ფაქტობრივი მასალის დეტალური აღწერა მოყვანილია ცხრ.№1-ში.

თანამედროვე პალეოდემოგრაფიული გამოკვლევები ეფუძნება მოკვდავობის ცხრილებს, რომელთა საშუალებით შეიძლება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განისაზღვროს მოკვდავობის დონე, სიცოცხლის უნარიანობა, სიკვდილის ალბათობა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (Acsadi, Nemeskeri, 1970). სრული პალეოდემოგრაფიული გამოკვლევის ჩატარება ამ მასალაზე დაყრდნობით შეუძლებელია, რადგან აუცილებელია სამაროვანი მთლიანად იყოს გათხრილი, მოიცავდეს ყველა ძელოვან ნაშთს, მოპოვებული მასალის ზუსტ იდენტიფიკაციას სქესისა და ასაკის მიხედვით.

დაკრძალულთა განაწილება სქესის მიხედვით (ცხრ.№2, ნახ.1) გვიჩვენებს, რომ 28,2 % მამაკაცი, 41,0 % დედაკაცი და 25,6 % ბავშვი შეადგენს. მოკვდავობის ასაკობრივი სტრუქტურა ასახავს მოსახლეობაში მიმდინარე პროცესებს. ადრეულ საზოგადოებაში მაღალი იყო მოკვდავობა ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში. რთულია თქმა, რამდენაა შესაძლებელი სამაროვნის ამ მონაკვეთში მიღებული მონაცემების გავრცელება მთლიანად საფარ-ხარაბას მოსახლეობაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მამაკაცების (30,7) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 5,7 წლით მეტია ვიდრე ქალების (25,0), ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ბავშვთა მოკვდავობის გათვალისწინებით 23,7 წელს შეადგენს. უკანასკნელზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის აღწარმოება ძალიან ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. პოპულაციის საშუალო ასაკი ხშირად თაობების ხანგრძლივობას უტოლდება და პრაქტიკულად ემთხვევა კიდევც. ამ შემთხვევაში განსაზღვრული მოსახლეობის სიცოცხლის

საშუალო ხანგრძლივობა დაბალ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო აღწარმოების ტემპი დაჩქარებულიად.

საქართველოს შუაბრინჯაოს მოსახლეობის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა ბავშვთა მოკვდავობის გათვალისწინების გარეშე 36,9 წელს შეადგენს. მამაკაცებში ის 40,2 , დედაკაცებში 32,2 წელია (ბითაძე, 2005.) შუაბრინჯაოს აწყურის გორა-სამარხის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ძალიან დიდი სხვაობა სქესთა შორის (ბითაძე და სხვ., 2002). მამაკაცები 10 წლით მეტს ცხოვრობდნენ ვიდრე ქალები , თუმცა აწყურის მამაკაცები (40,9) 10,2 წლით, ხოლო დედაკაცები (30,9) 5,9 მეტ წელს ცხოვრობდნენ ვიდრე საფარ-ხარაბას მოსახლეობა. განსხვავებულია ასევე მოკვდავობის ასაკობრივი სტრუქტურა. აწყურში გარდაცვლილ ქალთა 55% 25-29 და 30-34 ასაკობრივ ჯგუფშია დაფიქსირებული, ხოლო საფარ-ხარაბაზე დაკრძალულ ქალთა ნახევარი (50.0%) 20-25 ასაკობრივ ჯგუფში იმყოფებოდა დაკრძალვისას. მთლიანობაში გარდაცვლილ ქალთა 87,5 % და მამაკაცთა 81,8 % რეპროდუქციულ ასაკში იმყოფებოდა . ეს უკანასკნელიც აღწარმოების სწრაფ ტემპზე მიუთითებს.

საფარ-ხარაბას მოსახლეობის სრული კრანიოლოგიური დახასიათება მონაცემთა იმ ბაზით რომელიც ჩვენ გვაქვს შეუძლებელია. არცერთი თავის ქალა არ აღდგა იმ მდგომარეობამდე (სურ. 1-4), რომ განგვესაზღვრა სახის სიგანე და სიმაღლე, შუბლის უმცირესი სიგანე, ყვრიმალთშუა დიამეტრი და სხვა მნიშვნელოვანი ნიშანი. ზოგადად, ამ დროის საქართველოს მოსახლეობა ხასიათდება დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, უმეტეს წილად საშუალო ქალას სიმაღლით, დიდი ქალას ფუძის სიგრძით, დიდი სახის სრული სიმაღლით, განიერი შუბლით, მცირე სახის შუა სიგანით, მცირე ყვრიმალთაშორის დიამეტრით, მკვეთრად პროფილირებული პორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ სიბრტყეში სახით.

ერთადერთი თავის ქალა, რომელზეც რაიმეს თქმა შეგვიძლია მოპოვებულია სამარხ № 85-ში. მამაკაცის თავის ქალას ახასიათებს მცირე გრძივი დიამეტრიც (177მმ.), დაქანებული შუბლი და კეფა, მაღალი ქალასარქველი (po-b), მცირე ზომის დვრილისებრი მორჩი. თავის ქალას ფორმა ზემოდან (norma verticalis) კვერცხისებრია (ovoides). მიუხედავად იმისა, რომ, განივი დიამეტრის (eu-eu) გაზომვა შეუძლებელია, თავის ქალას ფორმა ზემოდან და ზოგადი ხედი პროფილში (სურ.№1) იძლევა საშუალებას განვსაზღვროდ თავის ქალას კრანო ტიპი, როგორც მეზოკრანული.

სხეულის სიმაღლე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ნიშანია, რომელიც განსაზღვრავს სხეულის სხვა ზომებს. იგი ამჟღავნებს როგორც მაღალ ინდივიდუალურ ცვალებადობას, ასევე ასაკობრივ, სქესობრივ და ტერიტორიალურ

განსხვავებებს. 9 მამაკაცის და 5 დედაკაცის ლულოვანი ძვლების მიხედვით განვსაზღვრეთ სხეულის სიმაღლე. მამაკაცებში სხეულის სიმაღლე ცხალებადობს 154,5-175,0 სმ. ფარგლებში, საშუალოდ 165,2 სანტიმეტრია, რაც მამაკაცების საშუალო სიმაღლეზე მიგვიითობს. დედაკაცების სხეულის სიმაღლე 151,3-165,3 სმ. ფარგლებში ვარიებს, ხოლო საშუალო სიმაღლე 155,5 სმ.. საფარ-ხარაბას დედაკაცები საშუალო მონაცემების მიხედვით ისევე როგორც მამაკაცები საშუალო სიმაღლისა იყვნენ. აქ ხაზი უნდა გაესვას გამოკვლევულთა რაოდენობრივ მხარეს და ამონაკრევის შემთხვევითობას.

სიმაღლის მიხედვით გამოანგარიშებული იქნა მოსახლეობის სხეულის პროპორციები (დოლოქომორფია, მეზომორფია, ბრაქიმორფია). მამაკაცებში სხეულის პროპორციების ყველა ტიპი გამოვლინდა (1 დოლოქომორფული, 2 მეზომორფული, 2 ბრაქიმორფული), ხოლო დედაკაცებში მეზომორფული ტიპი და ბრაქიმორფული ტიპი ვლინდება.

სხეულის მასა გამოთვლილია რეგრესიის განტოლების საფუძველზე და მამაკაცებში 55,7-70,0კგ., საშუალოდ 63,1კგ. ქალებში 52,7-65,5 საშუალოდ 59,6კგ-ია. ეს მონაცემები ასაევე წინასწარულია, რადგან აუცილებელია მასალის როცხოვნობის გაზრდა რათა მიღებული მონაცემები სტატისტიკურად საიმედო იყოს.

ცხრილი № 2


საფარ-ხარაბას სამარონის მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

| ასაკი | მამაკაცი |     | ქალი |     | ბავშვი |      | სულ |      |
|-------|----------|-----|------|-----|--------|------|-----|------|
|       | ნ        | %   | ნ    | %   | ნ      | %    | ნ   | %    |
| 0-4   |          |     |      |     |        | 2.6  |     | 2.6  |
| 5-9   |          |     |      |     |        | 10.3 |     | 10.3 |
| 10-14 |          |     |      | 2.6 |        | 12.8 |     | 12.8 |
| 15-19 | 2        | 5.1 |      | 7.7 |        |      |     | 12.8 |


|               |   |      |  |      |  |      |   |      |
|---------------|---|------|--|------|--|------|---|------|
|               |   |      |  |      |  |      |   | 5.4  |
| 20-24         | 2 | 5.1  |  | 20.5 |  |      |   | 28.2 |
| 25-29         | 1 | 5.1  |  | 5.1  |  |      |   | 7.7  |
| 30-34         | 3 | 7.7  |  | 2.6  |  |      |   | 10.2 |
| 35-39         | 2 | 5.1  |  |      |  |      |   | 5.1  |
| 40-44         |   |      |  |      |  |      |   |      |
| 45-49         |   |      |  |      |  |      |   |      |
| 50-54         | 1 | 2.6  |  | 2.6  |  |      | 2 | 5.1  |
| 55->          |   |      |  |      |  |      |   |      |
| სულ           |   | 28.2 |  | 41.0 |  | 25.6 |   | 99.9 |
| საშუალო ასაკი |   | 30.7 |  | 25.0 |  | 9.4  |   | 23.7 |

- ინდივიდები, რომლებიც ამ ასაკში გარდაიცვალენ და სქესი დაუდგენელია.






ა) მამაკაცები



ბ) დედაკაცები



გ) მოსახლეობა მთლიანად

**ნახ. 1.** საფარ-ხარაბას მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით.



სურ 1. სამარხი №85 კრანოლოგიური მასალა



სურ 2. სამარხი №85 კრანო და ოსტეოლოგიური მასალა





სურ 3. სამარხი №61 კრანო და ოსტეოლოგიური მასალა



სურ 4. სამარხი №90 კრანო და ოსტეოლოგიური მასალა

საფარ-ხარაბას სამაროვნის ქვის ინვენტარის შევისწავლეთ  
ტრასოლოგიური მეთოდით კვლევის  
შედეგები

საფარ-ხარაბას სამაროვნის ქვის ინვენტარი შევისწავლეთ ტრასოლოგიური მეთოდით (Семенов, 1957, 1968). ქვის მასალის კამერალური შესწავლა მოიცავს ტიპოლოგიურ და ფუნქციონალურ კვლევებს. თუ ტიპოლოგიური ანალიზი იძლევა იარაღის ტექნიკურ-მორფოლოგიურ განსაზღვრას, ფუნქციონალური არკვევს იარაღის გამოყენების კონკრეტულ დანიშნულებას. ჯამში ვიღებთ ინფორმაციას, როგორც იარაღის დამზადების ტექნიკაზე, ასევე მის გამოყენების პრიორიტეტებზე. ამის საფუძველზე შეიძლება წარმოვადგინოთ დასკვნები ქრონოლოგიური და ეკონომიკური თავისებურებების შესახებ. კვლევის ინტერპრეტაცია ტარდებოდა კომპლექსურად: მაკროანალიზისა - იარაღის ვიზუალური შესწავლა (Коробкова Г.Ф., Скакун Н.Н., Шаровская Т.А. 1983) და მიკროანალიზის გამოყენებით - ხაზოვანი კვალი, სიპრიალე, ამონატეხები (გადიდება  $100^{\times}$ ). ასეთი მიდგომით, არსებითად, დავაკონკრეტეთ იარაღის ფუნქცია, რაოდენობა, განვსაზღვრეთ მათი მუშაობის ხანგრძლივობა და დავადგინეთ დასამუშავებელი მასალის რაობა.

საფარ-ხარაბას ქვის ინვენტარი წარმოდგენილია 27 (ზედაპირული) და 44 (სამაროვნის) ერთეულით. ტიპოლოგიურად ზედაპირულ მასალაში აღმოჩენილია 5 იარაღი: ისრისპირი (1), სალესი (1), ცული (1), სანაყი (1), ხელცული (1). ამდენივე (5) სამაროვანზე: წვეტანისებური იარაღი (4) ისრისპირი (1). პრაქტიკულად, წარმოდგენილ მასალაში, ვიზუალურად მეტი იარაღი არ ფიქსირდება, მაშინ როცა მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია.

კოლექციის საერთო რაოდენობიდან (71 ერთეული), ტიპოლოგიურად დაფიქსირებული იარაღები წარმოადგენენ მხოლოდ 14%, რაც ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით (ესაკია, მარგველაშვილი 2004), მიეკუთვნება მეორეხარისხოვან ჯგუფს და არ იძლევა იარაღის წარმოების პროცესის რეკონსტრუქციისათვის საკმარის ინფორმაციას.

### საფარ-ხარაბას სამაროვანი

ტრასოლოგიური ანალიზი ჩატარდა საფარ-ხარაბას სამაროვანზე 17 სამარხიდან მოპოვებულ ქვის ინვენტარს (საერთო რაოდენობა 44). აქედან ორი ანატეხია, 23 ანატეკეცი, ორი ლამელა და ერთი ნუკლეუსის ნარჩენი.



მიკროსკოპიული შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ სამაროვანზე მოპოვებული 44 ნივთიდან 26 სამუშაო იარაღია, ხოლო 15 - ანატკეც-ანამტვრევი მეორადი დამუშავებისა და გამოყენების კვალის გარეშე.

მთლიანად სამაროვნის ქვის ინვენტარში ჭარბობს ხორცის საჭრელი დანები (სამარხები №32, 39, 78, 90, 94) - სულ შვიდი ერთეული.

შემდეგ მოდის ექვსი სახოკი (სამარხები №32, 39, 78, 90, 91).

ექვსი საფართი (სამარხები №56, 63, 90, 91).

ოთხი სახვრეტი (სამარხები №39, 63, 75).

ოთხი ქლიბი (სამარხები №38, 85, 110).

ორი საფხეკი (სამარხი №63, 94).

თითო-თითო: რეტუმორი (სამარხი 78), საჭრისი (სამარხი №90), წვეტანა (სამარხი №90) და ისრისპირი (სამარხი №78).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგი იარაღის სამუშაო პირი რამდენიმე ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას (კომბინირებული იარაღები), ფუნქციონალურად იარაღების რაოდენობა 36 ერთეულამდე გაიზარდა.

სტატისტიკური დამუშავებისთვის ქვემოთ მოგვეყვას სამაროვნისა და ზედაპირული ქვის მასალის ფუნქციონალური მონაცემები.

სამარხი №32 / № 281-3, სიღრმე 0,5 მ. (სამარხის სამხრეთ ნაწილში)

1. ანატკეცი, პატარა ზომის, ურეტუმო, გამოყენების კვალის გარეშე, ობსიდიანი.

სამარხი №32 / № 279-1, სიღრმე 0,5 მ. (სამარხის სამხრეთ ნაწილში)

2. სახოკი ერთპირიანი, დიდი ზომის ანატკეცზე, სამუშაო პირი ოდნავ ამოღარულია და ძლიერ დაბლაგვებული (თითქმის გაშლიფული). ხაზოვანი კვალი ჩანს ნაწიბურის გასწვრივ ძალიან პატარა მონაკვეთზე მოკლე, პერპენდიკულარული ხაზების სახით. ურეტუმო. ძვლისა და რქის დასამუშავებელი. ობსიდიანი.

სამარხი №32 / № 280-2, სიღრმე 0,6 მ.

3. დანა ერთპირიანი, დიდი ზომის ანატკეცზე. დანის პირი ოდნავ შეზნექილი, სუსტად გამოფხვნილია ზურგისა და მუცლის მხრიდან, გაპრიალებული. ხაზოვანი კვალი სუსტად არის გამოხატული. მეორე პირი დაბლაგეპებულია მსხვილი დამაბლაგეპებელი რეტუშით. ობსიდიანი.

სამარხი №38 / № 250-302 (სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში)

4. ქლიბი ერთპირიანი, პატარა ზომის უსწორო ლამელაზე. სამუშაო პირი გატეხილია ნაწილობრივ. შერჩენილი პატარა მონაკვეთი გამოფხვნილი და წვრილად დაკბილულია. ხაზოვანი კვალი ჩანს მოგრძო, პარალელური შტრიხებით პირის გასწვრივ. აქვს სასაჭრისე ჩამონატეხი. ხის დასამუშავებელი. ურეტუშო ობსიდიანი.

სამარხი №40 / № 251-305 (მიცვალებულის ბარძაყის ძვალთან)

5. სახვრეტი ასიმეტრიული წატეხილი ბოლოთი საშუალო ზომის ანატკეცზე, მხრები ზურგის მხრიდან უმნიშვნელოდ გამოფხვნილია, სამუშაო პირზე უტილიზაციის რეტუში ჯაჭვისებურად მიყვება, ხაზოვანი კვალი არა აქვს, სიპრიალე სუსტი. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №39 / № 204-315 (თავის ქალის სამხრეთით, 20 სმ-ის დაშორებით)

6. სახოკი ერთპირიანი, ერთპირიან დანაზე, დიდი ზომის ანატკეცზე, ერთი ამოღარული სამუშაო პირით, წვრილი ამონატეხებით ზურგისა და მუცლის მხრიდან. ხაზოვანი კვალი დანაზე შემონახულია ნაწიბურზე მოკლე ნაკაწრის სახით იარაღის პარალელურად, ხოლო სახოკზე – უფრო ღრმაა და სამუშაო პირის პერპენდიკულარული. ურეტუშო. კაჟი.

სამარხი №51 / № 332-252, სიღრმე 0,6 მ. ცენტრის ნაწილში

7. ანატკეცი, დიდი ზომის, ურეტუშო, მუშაობის კვალის გარეშე (ობსიდიანი)

სამარხი №56 / № 356-253, სიღრმე 0,6 მ. (სამარხის W კვადრატთან)

8. ანატკეცი, დიდი ზომის, ურეტუშო, მუშაობის კვალის გარეშე. ობსიდიანი.

სამარხი №56 / № 254, (სამარხის S<sup>1</sup> ნაწილში)

9. საფართი, პატარა ზომის ანატეხზე, მასიური სამუშაო პირით (დარტემის ბურცობთან), რომელიც გამოფხვნილია ზურგისა და

მუცლის მხრიდან. ხის დასამუშავებელი იარაღი. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №56 / № 356-355 (სამარხის S ნაწილში)

10. საფართი, პატარა ზომის ანატეხზე, მასიური სამუშაო პირით, გამოფხენილი ორივე მხარეს. ხის დასამუშავებელი. ურეტუშო. კაჟი.

სამარხი №62 / № 366-256, სიღმე – 0,8-1 მ.

11. ანატეხი, საშუალო ზომის, ურეტუშო, მუშაობის კვალის გარეშე. ობსიდიანი.

სამარხი №62 / № 366-256, სიღმე – 0,8-1 მ.

12. საფხეკი პატარა ზომის ანატეკეზე, ხმარებაში ძლიერ მოცვეთილი (დაბლაგვებული) სამუშაო პირით და ოდნავ მომრგვალებული ნაწიბურით (ჩანს განივი ხაზოვანი კვალი და სიპრიალე). ტყავის დასამუშავებელი. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №62 / № 366-256, სიღრმე – 0,8-1 მ.

13. ანატეხი, პატარა ზომის, ურეტუშო, მუშაობის კვალის გარეშე. ობსიდიანი.

სამარხი №63 / № 367-257 (2), (სამარხის ორმოში, 0,25 სმ. სიღრმეზე, აღმოსავლეთ კედელთან)

14. ანატეკეცი, დიდი ზომის, ურეტუშო, მუშაობის კვალის გარეშე. ობსიდიანი.

სამარხი №63 / № 367-257 (4), (0,25 სმ. სიღრმეზე, აღმოსავლეთ კედელთან)

15. სახვრეტი, სამკუთხედის ფორმის პატარა ზომის ანატეკეზე, სიმეტრიული სამუშაო პირით. ერთ პირზე მიკროსკოპიული ამონატეხებით. ბასრკუთხიანი. წვერი წატეხილი აქვს. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №63 / № 367-257 (1), (0,25 სმ. სიღრმეზე, სამხრეთ კედელთან)

16. საფართი, პატარა ზომის ანატეკეზე, გატეხილი სამუშაო პირით, გამოფხენილი ორივე მხარეს. ხის დასამუშავებელი. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №63 / № 367-257 (3), (0,25 სმ. სიღრმეზე, აღმოსავლეთ კედელთან)

17. საფართო, ნუკლეუსის წვერზე გატეხილი სამუშაო პირით, გამოფხვნილი ორივე მხარეს, შერჩენილი სამუშაო პირი პრიალებს, ხის დასამუშავებელი. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №75 / № 401-259, (0.45 სმ. სიღრმეზე, სამხრეთ კედესთან)

18. სახვრეტი, საშუალო ზომის ანატეხებზე, გატეხილი სამუშაო პირით, უტილიზაციის რეტუში ერთ მხარეს, შერჩენილი სამუშაო პირი პრიალებს, სამუშაო პროცესში უმნიშვნელო დროით არის ჩართული. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №85 / № 466ა-264 (ბატკნის თავის ქალაში (V) კისრის მალეებთან)

19. ქლიბი ერთპირიანი, ძლიერ დაბლაგვებული სამუშაო პირით, საშუალო ზომის ანატეხზე, ზურგი მხრიდან წვრილი დამაბასრებელი რეტუშით, ხაზოვანი კვალი ჩანს მოგრძო შტრისებით. ხის დასამუშავებელი. ობსიდიანი.

სამარხი №78 / № 408-262 (2) (სამარხის ცენტრალურ ნაწილში, დასავლეთ კედელთან მდებარე ბატკნის ბეჭის ქვეშ)

20. დანა, ერთპირიანი, დიდი ზომის ანატეხზე, ერთი ამოღარული პირით. სამუშაოდ გამოყენებულია პატარა მონაკვეთი, რომელსაც კარგად ეტყობა ხაზოვანი კვალი და სიმქრალე. ურეტუშო.

სამარხი №78 / № 409-219 (ქვაყრილის დასავლეთ ნაწილში)

21. ისრისპირი – სახოკი, საშუალო ზომის სამკუთხა მოყვანილობის ანატეხზე, ორიმხრივდამუშავებული რეტუშით. სახოკის პირი განლაგებულია ისრისპირის კუთხეში, დაბლაგვებულია უტილიზაციის შედეგად. ისრისპირი უყუნწოა. ობსიდიანი.

სამარხი №78 / № 480-273 (7) (სამარხის ჩრდილო კედლიდან  $\approx$  40 სმ. დაშორებით 1.10 მ. სიღრმეზე)

22. დანა ერთპირიანი, გატეხილი, მასიურ ანატეხზე, შერჩენილი კაჭრის კანით დარტყმის მოედანზე. ერთი პირი ოდნავ ამოღარულია უტილიზაციის რეტუშით. სუსტად გამოფხვნილი ზურგისა და მუცლის მხრიდან, ოდნავ გაპრიალებული. ხაზოვანი კვალი სუსტად არის გამოხატული: ნაწიბურს ირიბად მიყვება და კვეთს ერთმანეთს. ურეტუშო. ობსიდიანი.

საფარ-ხარაბას სამაროვანი, სამარხი №78 / № 410-260 (სამარხის ზედაპირი ფენიდან)

23. სახოკი ერთპირიანი – რეტუშორი, დიდი ზომის ოთხკუთხა ანატეხზე, ამოღარული სამუშაო პირით. რეტუშორად



გამოყენებულია ორივე ზედაპირი. იარაღი მთლიანად მოგლუვებულია. ხეზე სამუშაო. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №90 / № 483-267 (1) (კამერის ჩრდილოეთ კუთხეში, კამერის თავზე)

24. სახოკი ერთპირიანი, დიდი ზომის ანატეხზე, ოდნავ ამოღარული სამუშაო პირით, ერთ უბანზე ჩანს სამუშაო პირის პერპენდიკულარული წვრილი ხაზები. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №90 / № 476-274 (სიღრმე 1. 20 სმ)

25. ისრისპირის ნამზადი, პატარა ზომის სამკუთხედის ფორმისა. გამოყენების კვალის გარეშე. ობსიდიანი.

სამარხი №90 / № 477-276 (1) (№ 1 და № 2 ჭურჭლებს შორის მიწის ზედაპირიდან 1, 25 მ სიღრმეზე)

26. ანატეცი დიდი ზომის, სამკუთხა ფორმის, გამოყენების კვალით, ზურგის მხარე დაფარულია კაჭრის კანით. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №90 / № 478-271 (5) (სამარხის სამხრეთ ნაწილში)

27. საჭრისი, საშუალო ზომის ანატეხზე, სასაჭრისე ჩამონატეხით, ნისკარტისებური სამუშაო პირით, გაპრიალებული. ხის დასამუშავებელი. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №90 / № 479-271 (9) (ზედა კიდურებთან, მიწის სწდაპირიდან 1, 20 სმ. სიღრმეზე)

28. დანა ერთპირიანი, საშუალო ზომის ანატეციზე, ზურგისა და მუცლის მხრიდან წვრილი ამონატეხებით. შერჩენილი მონაკვეთი გაპრიალებულია. ხაზოვანი კვალი სუსტად არის გამოხატული. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №90 / № 481-270 (10) (სიღრმე 0,75)

29. ანატეხი, საშუალო ზომის, ურეტუშო, გამოყენების კვალის გერეშე. ობსიდიანი.

სამარხი №90 / № 48279-271 (3) (სამარხის კუთხიდან 0,75 მ. დაშორებით ცენტრში)

30. დანა გატეხილი სამუშაო პირით დიდი ზომის ანატეხზე. ერთი სწორი პირი დამუშავებულია ბრტყელი დამაბასრებელი რეტუშით, მეორე გატეხილია, კვალი სუსტად ჩანს. ობსიდიანი.

საფარ-ხარაბას სამაროვანი, სამარხი №90 / № 485-272 (6) (სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში 1,0 მ. სიღრმეზე)

31. ანატკეცი, საშუალო ზომის. მუშაობის კვალის გარეშე. ურეტუშო. ანდეზიტი.

სამარხი №90 / № 484-268 (2) (სამრხის ცენტრალურ ნაწილში 1,0 მ. სიღრმეზე)

32. წვეტანა-საფართი, სამკუთხა ფორმის ანატკეცზე, ორგვერდამოდარული, იარაღი მთლიანად გადაგლუვებულია. ხის დასამუშავებელი. ურეტუშო. კაჟი.

სამარხი №91 / № 490-277 (1) (თ.ჭ. №3-ში)

33. სახოკი ერთპირიანი, ოთხკუთხა ფორმის ანატკეცზე, ორი ამოდარული პირით, მუშაობის კვალი ჩანს ზურგის მხრიდან: ამონატეხები ქერცლისებური, ბრტყელი, არათანაბარი. სიპრიალე და ხაზოვანი კვალი შერჩა მხოლოდ სამუშაო პირის სტაბილურ უბნებზე: ოდნავ გადადის იარაღის ორივე სიბრტყეზე. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №91 / № 491-279 (2)

34. საფართი, მასიური სამუშაო პირით, საშუალო ზომის ანატეხზე, ერთი გვერდი ჩამოთლილი აქვს სასაჭრისე ჩამონატეხით (მუშაობის კვალი არ იკითხება წარწერის გამო), მეორე მოგლუვებულია მთლიანად. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №91 / № 491-279 (3,4)

35. ანატეხი პატარა ზომის. გამოყენების კვალის გარეშე. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №92 / № 495-280 (№1 და №2 თიხის ჭურჭლებს შორის)

36. ანატეხი პატარა ზომის. გამოყენების კვალის გარეშე. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №94 / № 501-281 (თიხის ჭურჭლის დასავლეთით, დასავლეთ კედელთან)

37. საფხეკი ერთპირიანი - ერთპირიან დანაზე, სამკუთხა ფორმის ანატკეცზე, სწორპირიანი, მუცლის მხრიდან მსხვილი ფაცეტებით. ოდნავ დაყვება სიპრიალე, რომელიც იარაღის სტაბილურ უბნებზეა შერჩენილი. ურეტუშო. (ობსიდიანი)

სამარხი №107 / № 539-288

38. ანატეხი, საშუალო ზომის. გამოყენების კვალის გარეშე. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №110 / № 550-284 (2) (ორმოში, 30 სმ სიღრმეზე)

39. ქლიბი ერთპირიანი, პატარა ზომის თავბოლოგადამტვრეულ ლამელაზე, ერთი ამოდარული და მეორე სწორი პირით, დაბლაგვებული. წვრილად გამოფხვნილი სამუშაო პირით და ორივე მხრიდან პარალელური ხაზოვანი კვალით. ძვლის დასამუშავებელი. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №110 / №549-283 (1) (სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან)

40. ანატკეცი მასიური, ოთხკუთხა ფორმის. გამოყენების კვალის გარეშე. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №122 / №580-283 (1) (აღმოჩნდა №1 დერგში)

41. ანატკეცი, საშუალო ზომის. მუშაობის კვალის გარეშე. ურეტუშო. ობსიდიანი.

სამარხი №122 / №580-283 (1) (აღმოჩნდა №1 დერგში)

42. დანა, საშუალო ზომის ანატკეზე, გატეხილი სამუშაო პირით, ძალიან პატარა უბანზე ჩანს წვრილი და ხშირი ნაკაწრები. ურეტუშო. ობსიდიანი.

#### **სულ 44 ერთეული**

სამარხებში იარაღებად გამოყენებულია შემთხვევითი ანატკეცები, რომლებიც ადგილზე რაღაც კონკრეტულ სამუშაოს ასრულებდნენ. ფუნქციონალური სტატისტიკით, არსებული იარაღებით ხდებოდა ხისა და ძვლის დამუშავება. კონკრეტულად:

1. №№38 და 85 სამარხებში აღმოჩენილი ქლიბები ასრულებდნენ ხეზე სამუშაოს, ხოლო №110 სამარხის ქლიბი - ძვალზე. ეს ფაქტი სამარხში ხისა და ძვლის არსებობას (გამოყენებას) ადასტურებს;
2. №№32, 39, 78, 90, 94 და 122 სამარხებში აღმოჩენილი დანები გამოიყენება ხორცის საჭრელად.
3. №№56, 63 და 91 სამარხებში საფართო იარაღებით ხეზე გახვრეტილი ხვრელი ფართოვდებოდა.
4. №78 სამარხში აღმოჩენილი ისრისპირი გამოყენებულია საფხეკად.
5. სახოკ იარაღებზე (სულ ორი ეგზემპლარი) ხეზე ნამუშევარი კვალი აღინიშნება.

#### **ზედაპირულ მასალა**

ზედაპირული მასალის ნედლეულად გამოყენებულია ობსიდიანი (21), კაჟი (ხუთი), ბაზალტი (ერთი) და რიყის ქვა (ერთი). ზედაპირული მასალის ინდუსტრიას ახასიათებს,

თავბოლოგადამტვრეული და თავგადამტვრეული საშუალო ზომის ლამელები (22).

მორფოლოგიურად გამოსატული იარაღებია თითო ისრისპირი, სახვრეტი და სანაყი. ოთხი ანატკეცი და ერთი ც ნუკლეუსის ნარჩენი.

ფუნქციონალურმა კვლევამ 28 ერთეულიდან, 26 იარაღი დააფიქსირა. ამას თუ მივუმატებთ კომბინირებულ სამუშაო პირებს, იარაღთა რიცხვი გაიზრდება 33-მდე. ქვემოთ ვახასიათებთ თითოეულ იარაღს ცალ-ცალკე.

KP - 120 / 720, სიღრმე 40-45 სმ.

1. ქლიბი ერთპირიანი, ერთპირიან დანაზე, საშუალო ზომის თავბოლოგადამტვრეულ ლამელაზე. ქლიბის სამუშაო პირი დაკბილულია მუშაობის პროცესში. ზურგის მხრიდან აქვს დიდი ზომის ფაცეტები და ქლიბისათვის დამახასიათებელი ღრმა, პარალელური ხაზები, ხოლო მუცლის მხრიდან – იგივე შედარებით პატარა ზომისა. დანის სამუშაო პირი მოგლუვებულია ხმარებისაგან. ხის დასამუშავებელი იარაღი, ურეტუშო ობსიდიანი.

KII - 120 / 798. 05. სიღრმე 0,40-0,45 მ.

2. რეტუშორი, დიდი ზომის, მასიურ ლამელაზე. ორივე პირი შეხნეკილი და დაბლაგვებულია. სამუშაო სრულდებოდა მუცლის მხრიდან. ურეტუშო. ობსიდიანი.

KP - 120 / 741, სიღრმე 0,40-0,45 მ.

3. ქლიბი ერთპირიანი, საშუალო ზომის თავბოლოგადამტვრეულ, სწორ ლამელაზე, ერთი სწორი სამუშაო პირით, ქლიბისათვის დამახასიათებელი ხაზოვანი კვალით. მეორე პირი დაბლაგვებულია დამაბლაგვებელი რეტუშით, ოდნავ ამოღარული. ნედლი ხის დასამუშავებლად. ობსიდიანი.

KP - 120 / 773, სიღრმე 40-45 სმ.

4. ქლიბი ერთპირიანი, საშუალო ზომის თავბოლოგადამტვრეული სწორ ლამელაზე, ერთი ოდნავ დაკბილული და მეორე დაბლაგვებული სწორი სამუშაო პირით. კარგად შენახული მუშაობის კვალით. ნედლი ხის დასამუშავებლად. ობსიდიანი.

KP - 120 / 595, სიღრმე 0,40-0,45 მ.

5. საფხეკი გვედითი, საშუალო ზომის თავბოლოგადამტვრეულ ლამელაზე, დამაბლაგვებელი რეტუშით, ერთი სწორი და მეორე



ამოღარული პირით. სამუშაო პირი განლაგებულია ლამელის ბოლოს, პატარა მონაკვეთზე. ტყავის დასამუშავებელი. ობსიდიანი.

KP - 120 / 770, სიღრმე 40-45 სმ.

6. დანა ორპირიანი, დიდი ზომის თავბოლოგადამტვრეულ ლამელაზე, ერთი სწორი სამუშაო პირით. ზურგის მხრიდან პატარა ზომის ფაცეტებით. მეორე გატეხილია. ურეტუშო. ობსიდიანი.

KP - 120 / 782, სიღრმე 40-45 სმ.

7. დანა ერთპირიანი, პატარა ზომის თავბოლოგადამტვრეულ ლამელაზე, წვრილი ამონატეხებით. სამუშაო პირი გადაგლუვებულია, ხაზოვანი კვალი შერჩენილი აქვს ძალიან პატარა უბანზე. ურეტუშო ობსიდიანი.

KP - 120 / 855, სიღრმე 40-45 სმ.

8. გვერდითი საფხეკი – ქლიბი, საშუალო ზომის თავბოლოგადამტვრეულ ლამელაზე. საფხეკის პირს ზურგის მხრიდან მუშაობის შედეგად აქვს წვრილი ფაცეტები, მუცლის მხრიდან პირი მოგლუვებულია. ქლიბის პირი ოდნავ დაკბილული და დაბასრებულია, ეტყობა ღრმა ხაზოვანი კვალი და ორმხრივი გამოფხვნა. ურეტუშო. ობსიდიანი.

KP - 120 / 781, სიღრმე 40-45 სმ.

9. დანა, ორპირიანი, საშუალო ზომის თავბოლოგადამტვრეულ ლამელაზე, ხაზოვანი კვალი ორივე ზედაპირზე აქვს შერჩენილი. დიდხანს მუშაობისაგან მოგლუვებულია. ურეტუშო. ობსიდიანი.

KP - 120 / 899, სიღრმე 40-50 სმ.

10. დანა, ერთპირიანი, საშუალო ზომის თავგადამტვრეულ ლამელაზე, სამუშაო პირი მოგლუვებული. ურეტუშო. ობსიდიანი.

KP - 120 / 769, სიღრმე 40-45 სმ.

11. საფხეკი ბოლოკიდურა, ერთპირიანი ქლიბზე, საშუალო ზომის თავგადამტვრეულ ლამელაზე, საფხეკის სამუშაო პირი მომრგვალებულია. ქლიბის ერთ პირი გაფორმებულია მსხვილი დამაბლავებელი, ხოლი მეორე - წვრილი დამაბასრებელი რეტუშით. ობსიდიანი.

KP - 120 / 770, სიღრმე 40-45 სმ.

12. სახოკი, დიდი ზომის უსწორო ლამელაზე, სამუშაო პირი ამოღარული, ძლიერ გამოფხვნილი, ხაზოვანი კვალი თითქმის წაშლილია, ზურგის მხრიდან ერთ პირზე მსხვილი ფაცვებები, მეორე პირზე მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუში. ობსიდიანი.

KP - 120 / 858, სიღრმე 40-45 სმ.

13. დანა ერთპირიანი, პატარა ზომის თავბოლოვადამტვრეულ ლამელაზე, სამუშაო პირი დაბასრებული, წვრილად დაკბილული, ფაცვებები ძალიან წვრილი, ზედაპირული, სიპრიალე სუსტი. ხაზოვანი კვალი შერჩენილ მონაკვეთებზე არის ღრმა. იარაღის მეორე, არასამუშაო, პირი ნაწილობრივ შლიფით არის დაბლაგვებული, ურეტუში. ობსიდიანი.

KP - 120 / 832, სიღრმე 40-45 სმ.

14. დანა ერთპირიანი, საშუალო ზომის თავგადამტვრეულ ლამელაზე, პროფილში ოდნავ შეხნეკილი, პირი ამოღარული. ურეტუში. ობსიდიანი.

KP - 120 / 684, სიღრმე 40-45 სმ., ზედაპირული

15. დანა ერთპირიანი, დიდი ზომის, თავგადამტვრეულ ლამელაზე, ერთი პირი ამოღარული, ზურგზე დიდი ზომის უსწორო ფაცვებები. ურეტუში. ობსიდიანი.

KP - 120 / 767, სიღრმე 40-45 სმ.

16. ქლიბი – ერთპირიანი დანა, მასიური, თავბოლოვადამტვრეული ლამელის პირზე. დაკბილული სამუშაო პირით. პატარა ზომის ფაცვებები ორივე ზედაპირზე, ხაზოვანი კვალი ორივე იარაღს შერჩენილი აქვს პატარა მონაკვეთზე. ურეტუში. ობსიდიანი.

KP - 120 / 766, სიღრმე 40-45 სმ.

17. სახოკი - ბოლოკიდურა საფხეკი, დიდი ზომის სწორპროფილიან ლამელაზე კაჭრის ნარჩენით ზურგის მხრიდან. საფხეკის სამუშაო პირი დაბლაგვებულია ციცაბო რეტუშით. სახოკი ოდნავ ამოღარული, დაბლაგვებული, ღრმა ხაზოვანი კვალით. ძვლისა და რქის დასამუშავებელი. ობსიდიანი.

-1 KP - 120 / 597, სიღრმე 0,40-0,45 სმ., ზედაპირული

18. საფხეკი გვერდითი – ერთპირიანი დანა, დიდი ზომის ფოთლისებურ ანატეკცზე, მომრგვალებული სამუშაო პირით და ციცაბო რეტუშით. ზურგის მხრიდან შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. დანის პირი სწორია ორივე მხრიდან აქვს მიკროსკოპიული ამონატეხები. ობსიდიანი.

KP - 120 / 773, სიღრმე 0,40-0,45 სმ.

19. სახოკი ერთპირიანი, ერთპირიან ქლიბზე, საშუალო ზომის თავგადამტვრეულ ლამელაზე. ხერხის პირი ოდნავ დაკბილულია, ზურგის მხრიდან აქვს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში, ხოლო მუცლის მხრიდან მიკროსკოპული ამონატეხები. ხეზე სამუშაო იარაღი. ობსიდიანი.

KP - 120 / 768, სიღრმე 0,40-0,45 სმ.

20. ქლიბი ერთპირიანი, ერთპირიან დანაზე, დიდი ზომის თავბოლოგადამტვრეულ ლამელაზე. თავი წაკვეთილი აქვს ირიბად. ერთი პირი ამოღარულია მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუშით ზურგის მხრიდან. ხერხის სამუშაო პირი დაკბილულია. ხის დასამუშავებელი. ობსიდიანი.

KP - 120 / 688, სიღრმე 0,40-0,45 სმ.

21. ისრის პირი, უყუნწო, დამზადებულია სამკუთხა ფორმის პატარა ზომის ანატკეცზე, ორმხრივდამუშავებული ტექნიკით. ობსიდიანი.

KP - 120 / 823, სიღრმე 0,40-0,45 სმ.

22. ლამელა, უსწორო ფორმის, რეტუშისა და მუშაობის კვალის გარეშე. კაჟი.

KP - 120 / 747, სიღრმე 0,40-0,45 სმ.

23. ნუკლეუსის ნარჩენი სასაჭრისე ჩამონატეხით, პატარა ზომის, რეტუშისა და მუშაობის კვალის გარეშე. კაჟი.

-1

KP - 120 / 748, სიღრმე 0,40-0,45 სმ.

24. სახოკი ერთპირიანი, საშუალო ზომის ანატკეცზე, ერთი ამოღარული პირით, რეტუშისა და მუშაობის კვალის გარეშე. კაჟი.

KP - 120 / 709, სიღრმე 0,40-0,45 სმ.

25. სახვრეტი ასიმეტრიული სამუშაო პირით, საშუალო ზომის ანატკეცზე, გამოყოფილი სამუშაო პირით, ერთი გვერდი დაბლაგვებულია, მეორეზე აქვს სასაჭრისე ჩამონატეხი, კაჟი.

KP - 120 / 686, სიღრმე 0,40-0,45 სმ

26. საფხეკი ბოლოკიდურა ორი სამუშაო პირით - გვერდითი საფხეკი, პატარა ზომის სწორპროფილიან ლამელაზე. მაღალი ციცაბო, მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუში. კაუი

KP - 120 / 901, სიდრმე 0,40-0,45 სმ

27. დანა ერთპირიანი, დიდი ზომის სამკუთხა ფორმის ლამელაზე, ერთი ამოდარული პირით, რომელიც განლაგებულია დანის წვერსა და გვერდის ერთ უბანზე. ურეტუშო. ბაზალტი.

KP - 120 / 697, სიდრმე 40-45 სმ

28. სანაყი საღებავის დასაჩეჩკვად, საშუალო ზომის რიყის ქვაზე, საღებავის კვალით, რომელიც პერიფერიებზე ქრება. შეუიარაღებელი თვალით ეტყობა პატარა, ღრმა ამონატეხები.

ამგვარად, ზედაპირული მასალა წარმოდგენილია ძირითადად ლამელებით. პირველადი შესწავლისას, ზოგზე აღინიშნებოდა მხოლოდ სუსტი გამოყენების კვალი, ზოგიერთზე რეტუშის.

ფუნქციონალურად, აღნიშნულმა მასალამ, გამოავლინა დამატებით ოთხი ფუნქციონალური ჯგუფი. ესენია: ხორცის საჭრელი დანები (13), ქლიბები და საფხეკები (7-7) და სახოკები (5).

მთლიანად საფარ-ჰარაბას ქვის იარაღების დახასიათება შეიძლება გავაკეთოთ ჰისტოგრამაზე მოყვანილი მონაცემების მიხედვით.

ჰისტოგრამაზე მონაცემები ნორმირებულია მთავარი ჯგუფის (დანები) მიხედვით. ჩვენს მიერ შედგენილ ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (Эсакия, 2003, с.136-146) როგორც სამაროვნის, ისე ზედაპირული ირადები მიეკუთვნება შიდა მეურნეობის ამსახველ ჯგუფს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნულ ძეგლზე არ არის მოპოვებული იმ ტიპის იარაღები, რომლის მიხედვით დგინდება ძეგლის ძირითადი მეურნეობის მომართულება და ეკონომიკის განვითარების დონე.

დამატებით დადგინდა:

1. იარაღთა ფუნქციონალური ჯგუფები (ხორცის საჭრელი დანები, ქლიბები, სახოკები, საფხეკები, სახვრეტები, რეტუშორები) იყო გამოყენებული დაგრძალვის კონკრეტული პროცესისთვის.
2. სამაროვანზე იარაღები, ერთი-ორის გამოკლებით, სპეციალურად არ არის დამზადებული;



3. სამარხებში იარაღების სახით, ძირითადად, ჩნდება ანატკეცები, რაც მათ შემთხვევით გამოყენებაზე მეტყველებს. თუ გავითვალისწინებთ სამარხებში მათ ადგილმდებარეობას, ნაკლებად სავარაუდოა საუბარი კონკრეტული იარაღის სპეციალურ ჩაყოლებაზე. ანატკეცი იარაღად იყო გამოყენებული ადგილზე რაღაც კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად და იქვე დატოვებული. ფუნქციონალური სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ არსებული იარაღებით ხდებოდა ხისა და ძვლის დამუშავება. კონკრეტულად:
- ა). №№ 38 და 85 სამარხებში აღმოჩენილ ქლიბებზე იკითხება ხეზე, ხოლო №110 სამარხში აღმოჩენილ ქლიბზე კი ძვალზე მუშაობის კვალი, რაც სამარხში ხის არსებობას (გამოყენებას) ადასტურებს;
  - ბ). №№32, 39, 78, 90, 94 და 122 სამარხებში არმოჩენილი დანები გამოიყენება ხორცის საჭედად. თუ გავითვალისწინებთ სამარხებში დანების სიჭარბეს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადგილზე ხდებოდა ხორცის დამუშავება. ამაზე მეტყველებს ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილი ჩონჩხი.
4. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი კვლევა წარმართული იქნებოდა პლანიგრაფიული სქემის მიხედვით, არქეოლოგიური არტეფაქტები შეიძლება გამხდარიყო უფრო გამიზნული დასკვნების გასაკეთებლად.

ლითონის მასალის კვლევის შედეგები

თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (IV-156, Kp-120) ლითონის მასალის სარესტავრაციო და ტექნოლოგიური გამოკვლევის შედეგები

რესტავრირებულია ექვსი ბრინჯაოს არტეფაქტი:

1. ბრინჯაოს საკინძი №1-351
2. ბრინჯაოს სამაჯური №2-352
3. ბრინჯაოს საკინძი №3-388
4. ბრინჯაოს ბუნიკი №4-435
5. ბრინჯაოს სატევარი ძვლის ტარით №5-436
6. ბრინჯაოს სამაჯური №6-564

სპექტრული ანალიზით დადგენილია ოთხი არტეფაქტის ქიმიური შედგენილობა (ცხრ. 1), (ფოტო 1).

1. სატევარი ძვლის ტარით №5-436 დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსგან (Cu-82,0; Sn-16,3). ხასიათდება მაღალი მექანიკური თვისებებით.
2. სამაჯური, სამარხი №119, №6-564 დამზადებულია მინარევებიანი სპილენძისგან (Cu-98,0; Sn-0,75; Pb-0,002; Ag-0,023) მასალა მაღალპლასტიკურია.
3. სამაჯური, (არასრული დაცულობის) სამარხი №56, №2-352. დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსგან (Cu-89,5; Sn-9,25; Pb-0,35). ოპტიმალური მექანიკური მაჩვენებლებით.
4. ბუნიკი, სამარხი №85, №4-435 დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსგან (Cu-93,5; Sn-6,0). ოპტიმალური მექანიკური მაჩვენებლებით.

სპექტრული ანალიზის შედეგებით შესამჩნევია თრიალეთის რეგიონალური ლითონდამუშავების ცენტრისათვის კალიანი ბრინჯაოს გამოყენების ტენდენცია. შენადნობის მასალა გამოყენებულია ნივთის დანიშნულების შესაბამისად, რაც ტიპურია გვიანბრინჯაოს ადრეული პერიოდის ბრინჯაოს წარმოებისათვის.

ბრინჯაოს მასალის სარესტავრაციო სქემა:

რესტავრაციის წინ თითოეული ნივთი დაექვემდებარა მაკროსტრუქტურულ-მორფოლოგიურ შესწავლას და ფოტო ფიქსაციას (ფოტო 2).

ბრინჯაოს არტეფაქტები დამუშავდა მექანიკურად (ღანცეტისა და სხვა ბასრი იარაღების გამოყენებით). მექანიკური წმენდა ჩატარდა მიკროსკოპის ქვეშ მაღალი განათების პრობებში. გაწმენდილი ნივთი დამუშავდა აცეტონით და განხორციელდა კონსერვაცია ზედაპირის თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერით პარალოიდ ბ72 დაფარვით (პარალოიდ ბ72 + აცეტონი (40გ.+1,5ლ.)) (ფოტო 3).



ფოტო 1



ფიგურა 2





ფოტო 3

სუპერტული ანალიზის შედეგები

არქეოლოგიური უბნის ნომერი: IV-156, KP - 120

| № | ლაბორატორიის შიფრი | ნივთის დასახელება   | აღმონენის ადგილი     | Cu   | Sn   | Pb   | Zn | Bi    | Ag    | Sb | As    | Fe    | Ni | Co | Au |
|---|--------------------|---------------------|----------------------|------|------|------|----|-------|-------|----|-------|-------|----|----|----|
| 1 | U-699              | სატევარი ძეღის ტარი | №5-436               | 82,0 | 16,3 | 0,06 |    |       | 0,08  |    | 0,019 | 0,035 |    |    |    |
| 2 | U-700              | ბრინჯაოს სამაჯური   | სამარხი №119; №6-564 | 98,0 | 0,75 | 0,02 |    |       | 0,023 |    |       | 0,009 |    |    |    |
| 3 | U-701              | ბრინჯაოს სამაჯური   | სამარხი №56; №2-352  | 89,5 | 9,25 | 0,35 |    | 0,003 | 0,08  |    | 0,06  | 0,06  |    |    |    |
| 4 | U-713              | ბრინჯაოს ბუნიკი     | სამარხი №85; №4-435  | 93,5 | 6,0  |      |    |       |       |    | 0,03  | 0,009 |    |    |    |

BTC-ის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა არქეოლოგიური ძეგლიდან მოპოვებული არტეფაქტების ნუსხა

არქეოლოგიური უბნის ნომერი: IV-156, KP - 120

12/11/2006

| ნაკრების ნომერი | არტეფაქტების ნომერი | აღმოჩენის ადგილი (ძეღის ნომერი, თხრილის ნომერი, კორდინატები) | სიღრმე ნიშნულის მიითიობით (მეტრი) | მასალის ტიპი          | ფუნქცია   | სახეობა             | სებმენტი  | დაცულობის ხარისხი              | მასხისათებლები |          |                                 | როდენობა/ჩახონაოვანი | ნატარებელი საბუჯაო                                         | კომპეტარი                       | თარიღი/კულტურული პერიოდი |
|-----------------|---------------------|--------------------------------------------------------------|-----------------------------------|-----------------------|-----------|---------------------|-----------|--------------------------------|----------------|----------|---------------------------------|----------------------|------------------------------------------------------------|---------------------------------|--------------------------|
|                 |                     |                                                              |                                   |                       |           |                     |           |                                | 1              | 2        | 3                               |                      |                                                            |                                 |                          |
| 1               | 351                 | ნაკვეთი CLXXXVIII კვ. 7                                      | 0,78                              | ბრინჯაო               | სამკაული  | საკინი              | შითელი    | კორდირებული                    | სხმული         | ჭედურობა | მრგვალ განიკეკეთიანი, კოპებიანი | 1                    | სუპერტული ანალიზი, მექანიკური წმენდა, კონსერვაცია, „.....“ | შესადარებული კოლექცია           | ძვ.წ. 15-14 სს.          |
| 2               | 352                 | „.....“                                                      | „.....“                           | „.....“               | „.....“   | სამაჯური            | შითელი    | „.....“                        | ჭედვა          | ჭედურობა | სადა                            | 1                    | მექანიკური წმენდა, კონსერვაცია, „.....“                    | „.....“                         | „.....“                  |
| 3               | 388                 | ნაკვეთი CXCIX კვ. 7; 8                                       | 0,80                              | „.....“               | „.....“   | საკინი              | შითელი    | კორდირებული                    | სხმული         | ჭედურობა | მრგვალ განიკეკეთიანი, კოპებიანი | 1                    | „.....“                                                    | „.....“                         | „.....“                  |
| 4               | 435                 | ნაკვეთი XXXIII კვ. 12 სამარხი №85                            | 1,0                               | „.....“               | სარიტუალო | ბუნიკი              | შითელი    | კარგად დაცული                  | სხმული         |          | კოპებიანი                       | 1                    | სუპერტული ანალიზი, მექანიკური წმენდა, კონსერვაცია, „.....“ | „.....“                         | „.....“                  |
| 5               | 436                 | ნაკვეთი XXXIII კვ. 12                                        | 1,0                               | 1. ბრინჯაო<br>2. ძეღი | იარაღი    | სატევარი ძეღის ტარი | შითელი    | 1. კორდირებული, 2. დაზიანებული | ჭედვა          | ნაჭედი   | სადა                            | 1                    | სუპერტული ანალიზი, მექანიკური წმენდა, კონსერვაცია, „.....“ | ნატარებელი ფორმის რეკონსტრუქცია | „.....“                  |
| 6               | 564                 | ნაკვეთი XXIX კვ. 3 სამარხი №119                              | 1,15                              | ბრინჯაო               | სამკაული  | სამაჯური            | ფრაგმენტი | მინერალიზებული                 | ჭედვა          | ჭედურობა | სადა                            | 1                    | „.....“                                                    | შესადარებული კოლექცია           | „.....“                  |

კერამიკის მასხისათებლები: 1-ფერი, კეცი/გამოწვა; 2-ხედაბრის დამუშავება/დეკორი; 3-ნაწილი/ფორმა.  
ლითონის მასხისათებლები: 1-დამზადების ტექნოლოგია; 2-დამუშავება; 3-დეკორი.